



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თინათინ მეძმარიაშვილი

**ბიზნესის ჩართულობა საქართველოს
ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო
შესყიდვებში**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა
შაბურიშვილი

თბილისი

2018

შინაარსი

| | |
|---|-----|
| შესავალი | 6 |
| თავი I სახელმწიფო შესყიდვების ბიზნესზე ზემოქმედების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები..... | 25 |
| 1.1 სახელმწიფო შესყიდვების არსი და მეთოდები..... | 25 |
| 1.2 სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება..... | 55 |
| 1.3 სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში | 75 |
| თავი II სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე..... | 95 |
| 2.1 კონკურენციის რეგულირების პრინციპები და მეთოდები სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში | 95 |
| 2.2 ელექტრონული სისტემების ეფექტიანობა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში..... | 111 |
| 2.3 საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი..... | 122 |
| თავი III საქართველოს ინფრასტრუქტურული სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობა..... | 133 |
| 3.1 ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები..... | 133 |
| 3.2 კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი..... | 142 |
| 3.3 სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში..... | 162 |
| დასკვნები და რეკომენდაციები..... | 169 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 182 |
| დანართები..... | 198 |

ცხრილების ნუსხა

| | |
|---|-----|
| ცხრილი 1.1.1: შესყიდვების პროცესში პასუხისმგებლობების განაწილების ტიპური მაგალითი | 32 |
| ცხრილი 1.1.2: ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები | 44 |
| ცხრილი 1.2.1: ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესი | 63 |
| ცხრილი 1.3.1: სპეციფიკაციების შემუშავების ტიპური ეტაპები | 81 |
| ცხრილი 2.1.1: გამარტივებული შესყიდვები 2017 წელი | 105 |
| ცხრილი 2.1.2: კონსოლიდირებული ტენდერები 2017 წელი | 108 |
| ცხრილი 2.3.1: სამშენებლო შესყიდვები 2017 წელი | 131 |
| ცხრილი 3.3.1: ფულის ხარჯვის ოთხი გზა | 163 |

დიაგრამების ნუსხა

| | |
|--|-----|
| დიაგრამა 1.3.1: 2010-2017 წლებში რეგისტრირებული მიმწოდებლების განაწილება | 89 |
| დიაგრამა 2.1.1: დაგების საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა | 100 |
| დიაგრამა 2.1.2: დაგების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი საჩივრების მოთხოვნები 2017 წელი | 102 |
| დიაგრამა 2.1.3: დაგების განხილვის საბჭოში შესული საჩივრების სტატუსების განაწილება 2017 წელი | 103 |
| დიაგრამა 2.2.1: ქალაქური წესის ტენდერებისა და ელექტრონული ტენდერების რაოდენობების შედარება 2010-2017 წლები | 117 |
| დიაგრამა 2.2.2: ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიები 2011-2016 წლები | 118 |

| | |
|--|-----|
| დიაგრამა 2.3.1: 2015-2017 წლებში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების სტატუსის გადანაწილება | 128 |
| დიაგრამა 2.3.2: სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერები 2011-2017 წლები | 129 |
| დიაგრამა 3.2.1: ინფორმაცია კომპანიის კაპიტალის წარმოშობის შესახებ | 143 |
| დიაგრამა 3.2.2: ბაზარზე ოპერირების გამოცდილება წლების მიხედვით | 144 |
| დიაგრამა 3.2.3: კომპანიის საშუალო წლიური ბრუნვა | 146 |
| დიაგრამა 3.2.4: კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა | 147 |
| დიაგრამა 3.2.5: ადმინისტრაციის თანამშრომლების საშუალო ხელფასი | 148 |
| დიაგრამა 3.2.6: დამხმარე პერსონალის საშუალო ხელფასი | 149 |
| დიაგრამა 3.2.7: შესრულებული სამუშაოს რა ნაწილს შეადგენს სახელმწიფო დაკვეთები | 150 |
| დიაგრამა 3.2.8: მოთხოვნები გამოცდილებასთან დაკავშირებით | 151 |
| დიაგრამა 3.2.9: მოთხოვნები სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით | 153 |
| დიაგრამა 3.2.10: მოთხოვნები შესასრულებელი სამუშაოს ვადებთან დაკავშირებით | 154 |
| დიაგრამა 3.2.11: მოთხოვნები საგარანტიო პირობებთან დაკავშირებით | 155 |
| დიაგრამა 3.2.12: სატენდერო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები | 157 |
| დიაგრამა 3.2.13: ინფორმაცია დავეების პრაქტიკის თაობაზე | 158 |
| დიაგრამა 3.2.14: დავეების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება | 159 |
| დიაგრამა 3.2.15: დაწესებული ნორმები ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებულ შესყიდვასთან მიმართებაში | 160 |

დანართების ნუსხა

დანართი №1: სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი

დანართი №2: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი

დანართი №3: კითხვარი სახელმწიფო შესყიდვების სამშებლო სფეროში ჩართული კომპანიები

შესავალი

თემის აქტუალობა. სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს და მასზე მთლიანი შიგა პროდუქტის 12% მოდის.¹ შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, სამართლიანი და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებას, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიწოდებას. სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისათვის. ამასთან, განსაკუთრებით პრიორიტეტულია ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ადგილობრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს ზრდის და მოსახლეობისთვის ღირსეული გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

გარდა იმისა, რომ განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო სახსრების რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ზრდა, კერძო სექტორში კონკურენციის განვითარება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათი შემოსავლების ზრდას. ამასთან, ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციების მაქსიმალური მობილიზება და შედეგზე ორიენტირებული შესყიდვების განხორციელება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სფეროს სამართლებრივი რეგულირება, რომელსაც საფუძვლად 1998 წლის კანონმდებლობა უდევს და ამ დროის მანძილზე კანონმა ძირეული ცვლილებები განიცადა. ჩამოყალიბდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რამაც უზრუნველყო შესყიდვების სისტემის ელექტრონიზაცია და ქაღალდის ტიპის ტენდერებიდან ტენდერების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა. ელექტრონულმა

¹ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

სახელმწიფო შესყიდვების სისტემამ მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადა სფერო ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ უზრუნველყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მოდერნიზება. ელექტრონული შესყიდვების სისტემამ გაზარდა შესყიდვების პროცესის ეფექტიანობა და დღეისათვის იზოგება ფინანსური, ადამიანური და დროითი რესურსები.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მარეგულირებელი კანონმდებლობა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს, რადგან მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას კერძო სექტორის მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მიდგომა. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნას ჯანსაღი კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ კომპანიებს შორის. შესაბამისად, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის რეგულირება.

მიმდინარე ეტაპზე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე დასავლურ ღირებულებებს და გამონაკლისს არც სახელმწიფო შესყიდვების სფერო წარმოადგენს. შესაბამისად, განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე საქართველოში ბოლო წლების მანძილზე სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. დღეისათვის დღის წესრიგში დგას საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან მაქსიმალური ჰარმონიზაცია.

გარდა სამართლებრივი ბაზის დახვეწისა, ევროკავშირთან თანამშრომლობის მნიშვნელოვან ასპექტს შესყიდვების ბაზრის გახსნა წარმოადგენს. ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის მოცულობა 400 მილიარდ ევროზე მეტია და თავისთავად ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებს ხელს შეუწყობს ბიზნესის გაფართოების თვალსაზრისით, ამასთან საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში

ევროპული კომპანიების ჩართულობის ზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის კონკურენციის განვითარებას და კომპანიების დონის ამაღლებას.

დღეისათვის, საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ინფრასტრუქტურის სრულყოფა და პროექტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელება. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო შესყიდვების როლი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. შესაბამისად, მეტად აქტუალურია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხი ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით და არსებული ბაზრის ანალიზი. ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დარგში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ფორმირება, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი და თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას და მისი საშუალებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გამოვავლინოთ ინფრასტრუქტურის სფეროში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სპეციფიკა, დავადგინოთ მისი ზემოქმედება საქართველოში ბიზნესის გარემოსა და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობაზე და შევიმუშაოთ რეკომენდაციები სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გასაუმჯობესებლად.

მოცემული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- სახელმწიფო შესყიდვების თეორიული საფუძვლების სისტემური ანალიზი;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროს სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლა;
- სახელმწიფო შესყიდვების საშუალებების კვლევა;
- საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი;
- სახელმწიფო შესყიდვებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების კვლევა;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის რეგულირების ანალიზი;

- სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული სისტემების ეფექტიანობის ანალიზი;
- საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზების მოძიება;
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი. ნაშრომის კვლევის საგანია სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობა და მისი გავლენა ბიზნესზე. კვლევის ობიექტია ერთი მხრივ სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი სუბიექტები და მეორე მხრივ ის ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ სახელმწიფო დაკვეთები.

კვლევის მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის დიალექტიკური, მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები. საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევა დაიგეგმა ტრიანგულაციური მიდგომის საფუძველზე, რაც გულისხმობს ერთზე მეტი კვლევის მეთოდის კომბინაციურ გამოყენებას. კვლევის ფარგლებში განხორციელდა თეორიული და ემპირიული – რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინირება, მათი უპირატესობების მაქსიმიზაცია და შეზღუდვების მინიმიზაცია.² კვლევის საწყის ეტაპზე მოპოვებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა და სტატისტიკური მონაცემები. ინტერნეტის საშუალებით მოძიებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მონაცემები, რის საფუძველზეც განხორციელდა ლიტერატურის, დოკუმენტებისა და ინფორმაციის ანალიზი. კერძოდ, შეგროვებულ იქნა:

- სამეცნიერო ნაშრომები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
- სამართლებრივი აქტები;

² Flick U., An Introduction to Qualitative Research, Berlin: SAGE Publications, 2014

- სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული ორგანიზაციების სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო ლიტერატურა;
- სტატისტიკური ინფორმაცია.

ლიტერატურის მოძიება მოხდა ოთხ ენაზე: ქართული, ინგლისური, რუსული და გერმანული ენები. დოკუმენტების ანალიზის მეთოდი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოპოვებულ იქნა საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამასთან, დოკუმენტების შეგროვებისასთვის გამოყენებულია ინტერნეტ ძებნა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში და ხელით ძებნა. მონაცემების შესაგროვებლად ვისარგებლეთ სიტყვა-გასაღებების სხვადასხვა კომბინაციებით.

მონაცემების შეგროვების შემდგომ მოხდა აღნიშნული დოკუმენტების შეფასება. შეფასდა მონაცემების სიზუსტე და ღირებულება. დოკუმენტების ვალიდობის დასადგენად გამოყენებულ იქნა მანიონისა და კოჰენის ვალიდობის განმსაზღვრელი 4 კრიტერიუმი: ავთენტურობა, დამაჯერებლობა, რეპრეზენტატულობა და მნიშვნელობა.³ შეგროვებული დოკუმენტების შეფასებისა და ვალიდობის დადგენის შემდგომ განხორციელდა მათი შედარება, კომპონენტებად დაშლა და დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის მეცნიერული დამუშავების დონე. ეს საკითხი აქტუალური მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა, როდესაც შემუშავდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები. სახელმწიფო შესყიდვების საკითხები გაშუქებულია შემდეგი უცხოელი ავტორების ნაშრომებში: ე. სტროემბეკი, გ. მილერი, კ. ჰანდლერი, ჯ. ფრანკი, პ. ერიკსონი, ჯ. ჩიკოტის, რ. ანდერსონის, ს. ბალდი, მ. ამბროზი, პ. დეივისი და სხვა. საქართველოში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებობს ეკონომიკის დოქტორისა და ექსპერტის ნაშრომი თემურ ხომერიკის სახელმძღვანელო „სახელმწიფო შესყიდვა“, რომელიც 2006 წლით თარიღდება და ასახავს იმ პერიოდისათვის არსებულ საკანონმდებლო გარემოს.

³ Cohen L., Manion L., Morrison K., Research Methods in Education, sixth edition

აღნიშნულ სფეროს ეხმიანება ეკონომიკის დოქტორის გიორგი გაფრინდაშვილის სადისერტაციო ნაშრომი სახელწოდებით „შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე“, რომელშიც სახელმწიფო შესყიდვების რაციონალური პოლიტიკის როლი სამართლიანი კონკურენტული გარემოს ფორმირებასა და განვითარებაში და მეწარმეობის განვითარებაზე სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის წინააღმდეგობრივი შედეგები და მათი დაძლევის მექანიზმები საქართველოში. თემის ცალკეული ასპექტები განხილულია, როგორც ქართველი ასევე უცხოელი მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში. ამასთან, არსებობს შესაბამისი პრაქტიკული სახელმძღვანელოები სახელმწიფო შესყიდვების დარგში პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციების მხრიდან. თუმცა უშუალოდ საკვლევი თემა მეცნიერულად სიღრმისეულად დამუშავებული არ არის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. დისერტაციის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- სისტემატიზირებულია მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერის შეხედულებები და საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომები ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების ბიზნესზე ზემოქმედების შესახებ, დადგენილია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმის სრულყოფა აუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს და ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანობის ზრდას;
- საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის შედარებითი და რეტროსპექტიული ანალიზის შედეგად გამოვლენილია ძირითადი ხარვეზები, რომელთა გამოსწორება ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებას. ამასთან, გამოკვლეულია საქართველოს და ევროკავშირის საკანონმდებლო ჰარმონიზაციის ჰარმონიზაციის ძირითადი მიდგომები, გაანალიზებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ

შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების საკითხი. განხილულია საქართველოს ვეროკავშირის ძირითად სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან დაახლოების ეტაპები;

- განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების ურთიერთქმედების მოდელი, გამოკვლეულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საჯარო და კერძო ორგანიზაციების ურთიერთქმედების საშუალებები, ამასთან, განხილულია შუამავალი ორგანიზაციის – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლება-მოვალეობები და მისი გავლენა სახელმწიფო შესყიდვების სფეროზე. დარგში არსებული ძირითადი მიდგომები სახელმწიფო და კერძო სუბიექტების მიმართ;
- გამოკვლეულია სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე, კერძოდ, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების საშუალებები და მმართველი ორგანოების გავლენა ადგილობრივ ბიზნესში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაზე. ამასთან, გამოვლენილია სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კონკურენციის შემზღვეველი და ხელშემწყობი ფაქტორები, განხილულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გავლენა ბიზნესის კონკურენციაზე;
- განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული სისტემის ეფექტიანობის კომპონენტები. კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარების ეტაპები. ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაძლებლობები და მისი გავლენა სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვასა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაზე;
- გაანალიზებულია საქართველოს ინფრასტრუქტურული შესყიდვების პროექტები და შესაბამისი სტატისტიკა. განხილულია სამშენებლო სამუშაოს და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სატენდერო კითხვარების ტიპური მაგალითები. ამასთან, გამოკვლეულია

საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში არსებული პრობლემატიკა და განსაზღვრულია ხარვეზების აღმოფხვრის გზები;

- შემოთავაზებულია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის მექანიზმები და ჩამოყალიბებულია საჭირო ცვლილებების განხორციელების შესაბამისი მიმართულებები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც საბიუჯეტო სახსრების განმკარგავი შესყიდველი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მაკონტროლებელი ორგანოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი დაინტერესებული ბიზნეს სუბიექტების მიერ. ამასთან, ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ნაშრომის პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი თეორიები და კვლევის შედეგები გადმოცემულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ წყაროებში:

1. ევროკავშირის სტანდარტები და სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში - რეცენზირებადი და რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი X – № 4, თბ., 2017 წ., გვ. 40-47., (ISSN: 1987-5789);

2. სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 3 (46) 2017 წ., გვ. 50- 53., (Iშმ : 1512-4649);

3. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები – სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, № 3, თბ., 2017 წ., გვ. 109-112;

4. State Procurement Electronic System Efficiency in Georgia - European Journal of Economics and Business Studies (EJES)., Vol 10 - № 1, Rottenburg., 2018 (January-April), pp. 152-155., (ISSN: 2411-4073; online).

გარდა ამისა, კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნა:

1. 2018 წლის 2-3 მარტს ქ. ფრანკფურტში გამართულ სოციალური მეცნიერებების ICSS მე-14 საერთაშორისო კონფერენციაზე;

2. 2017 წლის 17-18 ნოემბერს ქ. თბილისში გამართულ პირველ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“;

3. 2017 წლის 3-4 ნოემბერს ქ. თბილისში გამართულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“;

4. 2017 წლის 2-6 ოქტომბერს ქ. ერევანში გამართულ მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე;

5. 2017 წლის 26-26 სექტემბერს ქ. თბილისში გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაზე: „გზა ევროინტეგრაციისაკენ – ევროპული ინტეგრაცია და ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“;

6. 2017 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში გამართულ მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე: „ცოდნის ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“;

7. 2017 წლის 24 ივნისს ქ. ბათუმში მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საერთაშორისო ბიზნესის კათედრის სხდომაზე 2018 წლის 20 ივლისის (საერთაშორისო ბიზნესის კათედრის სხდომის ოქმი №4).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 221 გვერდს. ნაშრომი შედგება შესავლისაგან სამი თავისგან და დასკვნითი ნაწილისგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

პირველ თავი. ნაშრომის პირველ თავი ეთმობა სახელმწიფო შესყიდვების ბიზნესზე ზემოქმედების საკითხს, განხილულია შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. პირველი თავის პირველ პარაგრაფში მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების არსის განმარტება. ასახულია სახელმწიფო შესყიდვების თეორიული საფუძვლები და მოყვანილია შესაბამისი კლასიფიცირება, როგორც ქართული ასევე უცხოური ლიტერატურიდან. მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული მიდგომები და მისი ადმინისტრირების სხვადასხვა ვარიანტები. განხილულია საერთაშორისო პრაქტიკა სახელმწიფო შესყიდვების სისტემებთან მიმართებაში – ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის მიდგომები. მოყვანილია შესყიდვის ობიექტის კლასიფიცირების შესაძლებლობა და განსაზღვრულია შესყიდვების განხორციელების პროცესის ეტაპები. განხილულია შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის ძირითადი საფეხურები და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მართვის და განხორციელებული შესყიდვის შეფასების/ანალიზის ეტაპები. მოცემულია შესყიდვების მთლიანი ციკლის ფარგლებში შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვების წარმართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განაწილების ტიპური მაგალითი. განსაზღვრულია შესყიდვების განხორციელების წინამოსამზადებელ ეტაპზე ბაზრის შესწავლის მიხეზები და ძირითადი მიმართულებები. ამასთან, მოყვანილია მიწოდების ბაზრის სპეციფიკაციის არასათანადო შესწავლის შედეგად მიღებული პრობლემური საკითხები. განხილულია საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების საშუალებები და მათი გამოყენების შესაძლებლობები. მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ვადებისა და ფორმირების პირობები.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირების ძირითად მიმართულებებს. განხილულია არსებული საკანონმდებლო ბაზა. მოცემულია ინფორმაცია, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების სფეროს სამართლებრივ მიდგომებთან დაკავშირებით. გაანალიზებულია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მნიშვნელობა და მისი გავლენა ქვეყნის განვითარებაზე. განხილულია საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ისტორიული ეტაპები

სახელმწიფო შესყიდვების რეგულირებასთან მიმართებაში. მოცემულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გავრცელების არეალი, შესაძლებლობები და არსებული გამოწვევები. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია კანონმდებლობის მიზნები და მნიშვნელობა. ამასთან, გაანალიზებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი. განხილულია ვალდებულებების შედეგად განხორციელებული ცვლილებები და მათი შედეგები. ამასთან, მოცემულია განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და მათი შესრულების მნიშვნელობა. გაანალიზებულია საქართველოს ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან დაახლოების ძირითადი საშუალებები, მიდგომები და უპირატესობები. განხილულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესი და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. გაწერილია საკანონმდებლო დაახლოების ფაზები და შესაბამისი ეტაპები. განხილულია საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოება სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში და ორმხრივი ბაზრის გახსნის მნიშვნელობა.

პირველი თავის მესამე პარაგრაფში მოიცავს სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედებების ძირითად მიმართულებებს სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით. განხილულია შესყიდვების პროცესის ორივე მხარის შესაძლებლობები და მნიშვნელობა. გაანალიზებულია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძირითადი მიდგომები ქვეყნის სტრატეგიაზე დაყრდნობით. გაანალიზებულია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სატენდერო მოთხოვნები და მონაწილე პრეტენდენტების მიმართ განსაზღვრული კრიტერიუმები. მოცემულია სატენდერო პირობების წარმოებისას შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული სპეციფიკაციებისა და მოთხოვნების ძირითადი მიმართულებები. განხილულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში პროპორციულობის, თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციული მიდგომების ფორმირების მნიშვნელობა. გაანალიზებულია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობები.

მოცემულია სახელმწიფოსა და კერძო სუბიექტებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის მიზნით განხორციელებული რეფორმები და მათი მნიშვნელობა შესყიდვების განხორციელების პროცესში. გაანალიზებულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კერძო სუბიექტთა ჩართულობის მაჩვენებელი. ამასთან, განხილულია სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა უპირატესობები და შემზღვეველი ფაქტორები.

მეორე თავი. ნაშრომის მეორე თავი მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე გავლენის ძირითად მიმართულებებს. მეორე თავის პირველი პარაგრაფში მოცემულია კონკურენციის რეგულირების პრინციპები და მეთოდები სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში. განხილულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის ფორმირების ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა. მოყვანილია ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და თავისუფალი კონკურენციის განვითარებისასთვის აუცილებელი ძირითადი საჭიროებები. განხილულია სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის გამჭვირვალე და საერთაშორისო დონეზე არსებული კონკურენტუნარიანობის ასპექტები. გაანალიზებულია შესაძლო დისკრიმინაციული მიდგომები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მონაწილე გარკვეული ჯგუფის სუბიექტების მიმართ. გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო სფეროში მოქმედი რეგულაციები ჯანსაღი კონკურენტული ბიზნეს გარემოს ფორმირების მიმართულებით. მოცემულია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავეების განხილვის საბჭოს მნიშვნელობის საკითხი. ამასთან, განხილული და გაანალიზებულია დავეების საბჭოში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა, მათ სტატუსებზე - საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. გაანალიზებულია გამარტვებული შესყიდვების განხორციელების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმებების მარეგულირებელი ნორმები. გაანალიზებულია გამარტივებული შესყიდვების შეთანხმებების სტატისტიკა და მისი მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების მიმართულებით. მოცემულია კონსოლიდირებული ტენდერების განხორციელებისას მიღებული შედეგები და გაანალიზებულია მისი გავლენა სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის, წარმოქმნილი ეკონომიების და ბაზარზე არსებული კონკურენტუნარიანი მდგომარეობის თაობაზე.

მეორე თავის მეორე პარაგრაფი მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ელექტრონული სისტემების ეფექტიანობის ძირითად მიმართულებებს. განხილულია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. გაანალიზებულია სახელმწიფო და კერძო სექტორისათვის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე დაფუძნებული შესყიდვების პროცესის ძირითადი

უპირატესობები და შესაძლებლობები. განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით მიღწეული ღია, ინოვაციური და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი პირობები. გაანალიზებულია ელექტრონული პროცედურების განხორციელებისას მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკი და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმისწარმოების მნიშვნელობა. განხილულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონიზაციის ძირითადი ეტაპები. გაანალიზებულია ქალაქდური წესისა და ელექტრონული ტენდერების სტატისტიკა და ელექტრონული სისტემის არსებობის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიები. გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაძლებლობები და უპირატესობები. განხილულია თანამედროვე ტექნოლოგიების შედეგად სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის საკითხი.

მეორე თავის მესამე პარაგრაფში განხილულია საქართველოს ინფრასტრუქტურულ სახელმწიფო შესყიდვების სფერო. გაანალიზებულია საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტები და მასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების პროცესი. განსაზღვრულია მშენებლობის კუთხით შესყიდვების არსი და მოთხოვნების დაკმაყოფილების კონკრეტული საჭიროებების ფორმირების საკითხი. განხილულია სამშენებლო ტიპის სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკაცია. გაანალიზებულია გასული წლის მანძილზე სამშენებლო სფეროში განხორციელებული შესყიდვების სტატისტიკა, წარმოქმნილი ეკონომიებისა და შესულებების საკითხი. გაანალიზებულია სამშენებლო მიმართულებით გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რიცხოვნობა და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია. განხილულია სამშენებლო სამუშაოებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხო მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული სატენდერო დოკუმენტაციის ტიპური მაგალითები. ამასთან, განხილულია აღნიშნულ ტენდერებში დამდგარი შედეგები და მონაწილეთა რაოდენობა, პრეტენდენტთა დისკვალიფიკაციის მიზეზები. განხილულია პროექტის შესყიდვისას სამი ძირითადი განზომილების – ღირებულება, დრო და ხარისხი – დამოკიდებულება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას. ამასთან, გაანალიზებული ინფრასტრუქტურული

პროექტების სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მნიშვნელობა ქვეყნის განვითარების მიმართულებით, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული თვალსაზრისით.

მესამე თავი. ნაშრომის მესამე თავია საქართველოს ინფრასტრუქტურული სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობა. მესამე თავის პირველ პარაგრაფში გაანალიზებულია საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში არსებული პრობლემები და მოყვანილია მათი გადაჭრის გზები. შესაბამისად, განხილულია დარგში არსებული პრობლემატიკა. კერძოდ, გაანალიზებულია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული სატენდერო მოთხოვნებისა და შესყიდვის განხორციელების პროცესში მიკერძოების საკითხი. განხილულია შესაძლო მოთხოვნები, რომელთა მორგებაც დისკრიმინაციულად ახდენს გავლენას სატენდერო პროცედურების განხორციელებაზე და უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო შესყიდვებში ჯანსაღი გარემოს ფორმირებასა და კონკურენციის განვითარებაზე. განხილულია სახელმწიფო შესყიდვებში კორუფციის წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსთან მიმართებაში და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვისა და სისტემის გამჭვირვალედ ფუნქციონირებისათვის განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. გაანალიზებულია პრობლემა არაპროპორციულად მაღალი საჯარიმო სანქციების განსაზღვრის თვალსაზრისით და მოცემულია სააგენტოს რეკომენდაციები ოპტიმალური პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. გაანალიზებულია სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. განხილულია ანალოგიური გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარვეზები, კერძოდ შესყიდვის ობიექტის ღირებულებასთან მიმართებაში არაგონივრულად მაღალი თანხის განსაზღვრა. გაანალიზებულია პრობლემა უშუალოდ ანალოგიური გამოცდილების თვისობრივ განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, მაღალი კვალიფიკაციისა და უფრო რთული კატეგორიის გამოცდილების არსებობის საკითხი. გაანალიზებულია პრობლემატიკა საქართველოში ეროვნული სამშენებლო ნორმებისა და წესების არარსებობის თაობაზე, მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში 1992 წლამდე გამოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმები, წესები და რეგულირების სხვა დოკუმენტები. ამასთან

გაანალიზებული პრობლემა პროექტირების მიმართულებით ლიცენზიის ან/და აკრედიტაციის გამცემი ორგანო რომელიც მონიტორინგს გაუწევს საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობას. შესაბამისად, მოცემულია აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზები და სფეროში შესაბამისი რეგულაციების არსებობის უპირატესობა და მისი მნიშვნელობა.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიასა და ძირითად შედეგებს. განსაზღვრულია კვლევის ინსტრუმენტი – კითხვარი, რომლის შევსებაც სახელმწიფო შესყიდვების სამშენებლო სფეროში ჩართულმა კომპანიებმა უზრუნველყვეს. მოცემულია საკვლევი პოპულაციის, შერჩევის მოცულობისა და რეპრეზენტატულობის ხარისხი. გაანალიზებულია ჩატარებული კვლევის შედეგები სამშენებლო სექტორის ბიზნესსუბიექტების მიერ კითხვარში მოცემული შეკითხვების პასუხების მიხედვით. განსაზღვრულია კომპანიები კაპიტალის წარმოშობის, საშუალო წლიური ბრუნვის, დასაქმებულთა რაოდენობის, ადმინისტრაციის და დამხმარე თანამშრომლების ხელფასების მიმართულებით, გაანალიზებულია გამოკითხული ორგანიზაციების შეფასებები სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრულ შემდეგ მოთხოვნებზე: გამოცდილების, შესასრულებელი სამუშაოს ვადების, საგარანტიო პირობების მიმართებაში. ასევე, გაანალიზებულია დამოკიდებულება სატენდერო კომისიებისა და დაგების საბჭოს გადაწვეტილებთან მიმართებაში. გამოვლენილია კერძო სუბიექტების მიერ დარგში არსებული პრობლემები.

მესამე თავის მესამე პარაგრაფში განხილულია სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზები და სახელმწიფო შესყიდვების სფეროს განვითარების შესაძლებლობები. გაანალიზებულია შემდეგი ძირითადი პრობლემები: შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრის, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტების გარეშე დისკვალიფიკაცია ხარჯთაღრიცხვაში განფასების გამორჩენის გამო, უმიზეზოდ გასაჩივრებული ტენდერების გამო გაჭიანურებული სატენდერო პროცედურების და საქართველოში ეროვნული სამშენებლო ნორმებისა

და წესების არარსებობის საკითხი. შემოთავაზებულია დარგში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულების სრულყოფის მექანიზმი.

თავი I სახელმწიფო შესყიდვების ბიზნესზე ზემოქმედების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 სახელმწიფო შესყიდვების არსი და მეთოდები

სახელმწიფო შესყიდვა – ეს არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა სახელმწიფოს კუთვნილი (ან მასთან გათანაბრებული) სახსრებით.⁴ სახელმწიფო შესყიდვა არის სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მათი გამართულად ფუნქციონირებისა და საკუთარი უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭირო მომსახურების, საქონლისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.⁵ სახელმწიფო შესყიდვებს მიეკუთვნება ნებისმიერი დონის ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებების დანახარჯების ერთობლიობა, რომელიც გაიწევა საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შექმნილი საქონლისა და მომსახურების ანაზღაურებისათვის.⁶ შესყიდვა ეს არის საქმიანობა საქონლის, მომსახურების და სამუშაოს შეფასების, შექმნისა და მიღების მიზნით. ის ხდება საჯარო თუკი ეს პროცესი ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ან მათი სახელითა და დაფინანსებით.⁷ სახელმწიფო შესყიდვას აქვს ძირითადი მიზანი საქონელი და მომსახურება ეკონომიკურად ეფექტიანად შეისყიდოს. ამასთან, შესაძლებელია აქცენტი გაკეთდეს ინოვაციური საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება შესყიდვის ობიექტის სიცოცხლის ციკლი და ყურადღება მიექცევა მის გრძელვადიან პერიოდში სარგებლიანობის საკითხს. ინოვაციური საქონელი და მომსახურება ხშირად აუმჯობესებს ადმინისტრაციულ პროცედურებსა და ხარისხს.⁸ სახელმწიფო შესყიდვები

⁴ხოდელი გ., ბროლაძე ზ., ჯუღაყიძე შ., საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო, დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა, თბილისი 2014

⁵ სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი, თბილისი 2015 წელი

⁶ ხომერიკი თ., სახელმწიფო შესყიდვები, თბილისი 2006

⁷ Adotevi S., Public Procurement Performance, International Public Procurement Conference Proceeding Vol. 3, 2004, p 243-261

⁸ Bundesministerium fuer Wirtschaft und Energie, Innovative Oeffentliche Beschaffung, Leitfadens, 2, Auflage 2017

სახელმწიფო ხარჯების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის მთლიან შიდა მოთხოვნაზე.⁹ გარდა იმისა, რომ საჯარო შესყიდვები წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსური რესურსების ხარჯვისა და მონაწილეებს შორის დაკვეთების გადანაწილების მექანიზმს, ის ხშირად როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებადაც გვევლინება.¹⁰ შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის მიზნებზე მორგებული შესყიდვების პოლიტიკის გატარებას. ნებისმიერი ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის რესურსის არსებობა ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად. კერძო სექტორთან შედარებით, საჯარო დაწესებულებები მეტი ფორმალობების, წესებისა და პროცედურების დაცვით შეიძენენ საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოს, რაც სახელმწიფო შესყიდვების სახელით არის ცნობილი.¹¹ კერძო სექტორში შესყიდვები განიხილება, როგორც შემოსავლების ცენტრი და გამოიყენება ფირმის მოგების მაქსიმიზაციისა და მატერიალური დანახარჯების ეკონომიის მიმართულებით. სახელმწიფოს შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ ისარჯება გადასახადებიდან შემოსული თანხები, სახელმწიფო შესყიდვები უნდა ასახავდეს საზოგადო პრობლემებსა და ქვეყნის განვითარებისაკენ უნდა იყოს მიმართული. მიუხედავად ამისა, ორივე შესყიდვა გარკვეული მიმართულებით ერთმანეთს ჰგავს, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფა, ბაზრის ანალიზი, მიმწოდებლებთან ურთიერთობა და სხვა.¹² შესყიდვა ხასიათდება სახელმწიფო შესყიდვად, როდესაც შემსყიდველი საჯარო ორგანიზაციაა ან/და შესყიდვა ხორციელდება საჯარო მოხმარებისათვის.¹³ სახელმწიფო შესყიდვები ფართო განმარტებით შესაძლებელია განისაზღვროს,

⁹ Cernat L., Kutlina-Dimitrova Z., International Public Procurement: From Scant Facts to Hard Data, Chief Economist Note, Issue 1, April 2015

¹⁰ Stroembaeck E., Policy by Public Procurement: Opportunities and Pitfalls, Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies, №915, August 2015

¹¹ ჩაგელიშვილი ა., ბაზრის კვლევის თავისებურებები სახელმწიფო შესყიდვების პროცესში (საქართველოს მაგალითზე), ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, №1, თბილისი 2018, გვ. 159-165

¹² Choi J. W., A STUDY OF THE ROLE OF PUBLIC PROCUREMENT – CAN PUBLIC PROCUREMENT MAKE SOCIETY BETTER?, the 4th International Public Procurement Conference „TOWARDS FRONTIERS IN PUBLIC PROCUREMENT“, August 2010

¹³ EBig M., Öffentliche Beschaffung: Bedeutung und Ansatzpunkte zur konzeptionellen Weiterentwicklung, In: Bundesverband Materialwirtschaft, Einkauf und Logistik (eds) Best Practice in Einkauf und Logistik. Gabler, 2008

როგორც საქონლის და მომსახურების შექმნის საჭირო ცოდნა, რითიც შენარჩუნებული იქნება ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა და შეუფერხებელი საქმიანობის მხარდაჭერა.¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ძირითად მიზანს საჯარო ადმინისტრირების მიზნით ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების მიღება წარმოადგენს, მთავრობა და სხვა საჯარო დაწესებულებები სახელმწიფო შესყიდვებს ძალაუფლებისა და ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად იყენებენ.¹⁵ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხელისუფლება სახელმწიფო შესყიდვებს ჩვეულებრივ საქონლისა და მომსახურების მისაღებად იყენებს. შესყიდვის პროცესი ორგანიზირდება როგორც დახურული აუქციონები, სადაც ფასის კლების პროცესში, მოგებულ მხარეს სახელმწიფო შემსყიდველი წარმოადგენს. ასევე, ფართოდაა გავრცელებული სახელმწიფო შესყიდვების გამოყენება, როგორც ინსტრუმენტი რომელიმე სოციალური მიზნის მისაღწევად, მაგალითად, მცირე წარმოების განვითარება ან გარემოზე კონკრეტული კომპანიის გავლენის შემცირება. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს შესყიდვების განხორციელებისას აქვს ორი მიზანი: მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების შემცირება და პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება. ერთი მხრივ, აუქციონის მექანიზმის ეფექტი ამცირებს ფასს და მეორე მხრივ, სხვადასხვა ტიპის დაწესებულება სტანდარტებმა შესაძლოა გაზარდოს ფირმის დანახარჯები და გაზარდოს მათი შეთავაზების ღირებულება.¹⁶ სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის რეგულირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.¹⁷ ევროკავშირში საქონლის, სამუშაოების და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა მთლიანი შიდა პროდუქტის

¹⁴ Dahwa M. P., Al-Hakim L., Ng E., The importance of trust in procurement practices and its impact on business performance: an empirical investigation from the perspective of the buyer-supplier dyad, *Journal of Relationship Marketing* 12 (4), ISSN 1533-2667, 2013, p. 280-300

¹⁵ Chicot J., Rationales of public procurement of innovation: When demand-side instruments address supply-side gaps, Paper to be presented at the DRUID Academy conference in Rebild, Aalborg, Denmark on January 21-23, 2015

¹⁶ Stroembaeck E., A Comparison of Techniques to Evaluate Policies in Public Procurement, *Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies*, №928, Jun 2016

¹⁷ Пономарева О. В., Государственные закупки как инструмент торговой политики в развивающихся странах, *Российский внешнеэкономический вестник*, 9-2014, с.УДК 339.13.025.87 ББК 65.42 П-564, с. 101-119

16 %-ს შეადგენს.¹⁸ OECD-ის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 10-15%-ს შორის მერყეობს, განვითარებად ქვეყნებში შესაძლებელია მიაღწიოს 25%-ს, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში - 30% და კიდევ უფრო მეტი.¹⁹ საქართველოში კი სახელმწიფოს მიერ შესყიდვებში დახარჯული თანხა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10 %-ს შეადგენს.²⁰ სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობა იზრდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რადგან საბაზრო გარემოში სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციასთან ერთად აქტუალური ხდება ხარჯების გაწევის რაციონალიზაცია. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაზე დაყრდნობით სახელმწიფოები ქმნიან სახსრების ეფექტიანი მართვის საკუთარ მოდელებს.²¹ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად კრიტერიუმს: მოთხოვნებს სახელმწიფო კონტრაქტების მართვის მიმართულებით და ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს.²² იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად ერთდროულად ორი მოთხოვნის დაკმაყოფილება უბრალოდ შეუძლებელია სახელმწიფო შესყიდვების დაბალანსებული პოლიტიკის გატარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შესყიდვების წინაშე დასმული ამოცანების პროფესიონალურ დონეზე გადაჭრა და შესყიდვების ოპერაციებში კომპეტენციის ამაღლება ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძირეულ მოქმედებას წარმოადგენს.²³ სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის რეალიზების ერთ-ერთ მოქმედ მექანიზმად გვევლინება. იქიდან გამომდინარე, რომ მსხვილ შემსყიდველად და პოლიტიკური ძალის მქონედ გვევლინება, სახელმწიფოს შესყიდვების საშუალებით შეუძლია გავლენა მოახდინოს მწარმოებლებსა და მიმწოდებლებზე. ქვეყნები განსხვავდებიან ეკონომიკური და სოციალური

¹⁸ European Commission, (2008b), Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Euro[eam Economic and Social Committee and the Committee of the Regions Public procurement for a better environment, COM (2008) 400, Brussels

¹⁹ Arrowsmith S., Treumer S., Fej J., Jiang L. Public Procurement Regulation: an Introduction/Ed. by Arrowsmith S. – The EU Asia Inter University Network for Teaching and Research in Public Procurement Regulation, 2010.

²⁰ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

²¹ გაფრინდაშვილი გ., შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015

²² Thai K. V. Challenges in public procurement. In Thai, K. V., et al. (Eds.), Challenges in Public Procurement: An International Perspective. PrAcademics Press, Boca Raton, Florida, USA. 2005

²³ Central Public Procurement Structures and Capacity in Member States of the European Union, Sigma Papers No. 40

განვითარების დონის მიხედვით და შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავებულ პოლიტიკას ატარებენ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ეკოლოგიური პროდუქციის წარმოების სტიმულირების, რესურსების მეორადი გამოყენების, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის, სოციალური გათანაბრების ახალი სამუშაო ადგილების და ღია ვაჭრობის პრაქტიკის მიმართულებით.²⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სახელმწიფო შესყიდვა არის კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული, სახელმწიფო გარატიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.²⁵ შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს სახელმწიფო

²⁴ Шадрина Е. В., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ ДЛЯ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ: МЕЖДУНАРОДНЫЙ ОПЫТ, журнал Вопросы государственного и муниципального управления 2017 № 1, стр. 149-172

²⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

ორგანიზაციების ხარჯებს და შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს. სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს ფაქტი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო დაკვეთები იკავებს უმეტესი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მნიშვნელოვან ადგილს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით იჭრება სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, ამასთან, ხელი ეწყოფა ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარებას.²⁶ მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვები ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მხარდაჭერის სისტემის ერთ-ერთ ელემენტად, რაც მეწარმეობის მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს. სახელმწიფო შესყიდვებს საშუალება აქვს მიზანმიმართული გავლენა მოახდინოს მრეწველობაზე და ხელი შეუწყოს ეკონომიკის დინამიურ განვითარებას.²⁷ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების სისტემები განსხვავებულია, რაც ძირითადად ცენტრალიზაციის სხვადასხვა დონესა და ადმინისტრირების ხარისხით გამოიხატება. თუმცა, მათ აქვთ საერთო ნიშნებიც ზოგადი პრინციპებისა და გამოყენებული მეთოდების თვალსაზრისით.²⁸ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების პროცესს არეგულირებს და კოორდინირებას უწევს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“, თუმცა უშუალოდ სისტემა დეცენტრალიზირებულია და შესყიდვების განხორციელებას შემსყიდველი ორგანიზაციები დამოუკიდებლად უზრუნველყოფენ. 2010 წლიდან საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც შემსყიდველი ორგანიზაციები ახორციელებენ შესყიდვებს. შესყიდვის ობიექტი იყოფა სამ კატეგორიად:

²⁶ Иванова В.О., Государственные закупки как инструмент «принуждения к инновациям» промышленного сектора экономики, «Российское предпринимательство» № 15 (237) за 2013 год, стр. 77-84

²⁷ Гушин А. Ю., Государственный заказ как форма государственного регулирования и поддержки предпринимательской деятельности тема диссертации и автореферата по ВАК 08.00.05, 2013

²⁸ გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო №4, თბილისი 2012, გვ. 91-96

- საქონელი – ნებისმიერი ტიპის მატერიალური ფასეულობა (გარდა უძრავი ქონებისა), რომელიც განკუთვნილია ორგანიზაციის ამა თუ იმ სახის მოთხოვნილებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად;
- სამშენებლო სამუშაოები – ყველა ტიპის სამშენებლო ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, რემონტთან ან დემონტაჟთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო;
- მომსახურება – ნებისმიერი შესყიდვის ობიექტი, გარდა სამშენებლო სამუშაოებისა და საქონლისა.²⁹

შესყიდვების პროცესი სტანდარტულად შესაბამის ეტაპებად იყოფა. თითოეული მათგანი მოიცავს იმ ძირითად საფეხურებს, რის საფუძველზეც შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პროცედურების განხორციელება. შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპი წარმოადგენს შესყიდვების პროცესის საწყის ფაზას, რასაც მოსდევს ცალკეული შესყიდვების განხორციელების, შესყიდვის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების მართვის და განხორციელებული შესყიდვის შეფასების/ანალიზის ეტაპები. შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპში იგულისხმება ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა გადაიდგას შესყიდვების კოორდინატორების და ორგანიზაციის სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ იმისათვის, რათა განხორციელდეს შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება, დამტკიცება და შემდგომ ცალკეული შესყიდვებისათვის სხვა მოსამზადებელი სამუშაოების გაწევა.³⁰ აღსანიშნავია, რომ სწორი დაგეგმვა უმნიშვნელოვანესი საფეხურია და პრაქტიკულად მთლიანად შესყიდვების პროცესის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. იმისათვის, რომ სახელმწიფო შესყიდვა წარმატებით განხორციელდეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ დაგეგმვის ეტაპს. აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ის საჭიროებები და მოთხოვნები რაც შემსყიდველ ორგანიზაციას უდგას დღის წესრიგში. არასათანადო დაგეგმვისას ხორციელდება საჭიროებასთან შეუსაბამო შესყიდვის

²⁹სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი, თბილისი 2015 წელი

³⁰ მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

განხორციელება და ყოველივე ეს საერთო ჯამში აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

შესყიდვების მთლიანი ციკლის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციაში ნათლად განისაზღვროს შესყიდვების წარმართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხრილი 1.1.1) მოყვანილია შესყიდვების წარმართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განაწილების ტიპური მაგალითი.³¹

ცხრილი 1.1.1

შესყიდვების პროცესში პასუხისმგებლობების განაწილების ტიპური მაგალითი

| ტექნიკური დეტალმენტების უფროსები | პროექტების მართვა |
|---|--|
| <p>პროექტის მენეჯერები</p> <p>პროექტი A</p> <p>პროექტი B</p> <p>პროექტი C</p> | <p>საჭირო შესყიდვების იდენტიფიცირება და დაგეგმვა; პროექტებთან დაკავშირებული შესყიდვების გეგმების შემუშავება; შესყიდვების განხორციელებაზე მიღებული განაცხადების დადასტურება; არსებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების ინიცირება, საჭიროების შემთხვევაში ჩართულობა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების პროცესში</p> |
| <p>ტექნიკური პერსონალი</p> | <p>ტექნიკური დავალებების და სპეციფიკაციების შემუშავება; შესყიდვების კოორდინატორებზე დახმარების გაწევა პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების დროს; მიღება-ჩაბარების ადმინისტრირება.</p> |

³¹ Public Procurement Best Practice Guide, Public Procurement Directorate, www.publicprocurementguides.treasury.gov.cy

| | |
|---|--|
| <p>ფინანსური დეპარტამენტი</p> | <p>ფინანსური ანგარიშების და სახსრების მიმოქცევის ზედამხედველობა; ბიუჯეტირება; გადახდების სერვისი.</p> |
| <p>შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი</p> | <p>შესყიდვების პროცესების დაგეგმვა, კოორდინირება და მონიტორინგი; კანონმდებლობასთან/წესებთან შესაბამისობის კონტროლი.</p> |
| <p>შესყიდვების კოორდინატორები</p> | <p>დადასტურებული შესყიდვების წარმართვა, ტექნიკური დავალებების და სპეციფიკაციების სისრულის და ლოგიკურობის გადამოწმება, შესყიდვებთან დაკავშირებული კორესპონდენციის დამუშავება და არქივირება, სატენდერო დოკუმენტაციების შედგენა, ერთობლივი მუშაობა ტექნიკურ, იურიდიულ და ფინანსურ დეპარტამენტებთან; პროცესების შერჩევა-შეფასების პროცესის წარმართვა, გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილებისათვის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა; შესყიდვების წესებთან დაკავშირებით სხვა დეპარტამენტების კონსულტირება; გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად ფინანსური ვალდებულებების დადგენა.</p> |
| <p>იურიდიული დეპარტამენტი</p> | <p>ხელშეკრულებების პირობებთან, დაგებთან და ჩივილებთან დაკავშირებული კონსულტაციები; დახმარების გაწევა და საჭიროებისამებრ ჩართულობა მოლაპარაკებებში.</p> |

რაც შეეხება უშუალოდ შესყიდვების წინამოსამზადებელ ეტაპს, მას შემდეგ, რაც შესყიდვების კოორდინატორებს მიეცემათ პირველადი ინფორმაცია ორგანიზაციის საჭიროებების შესახებ, დგება ცალკეული შესყიდვისათვის ინდივიდუალურად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. შესყიდვის ინდივიდუალური დაგეგმვა გადაწყვეტილების მიღების უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, თუ რა საქონელი თუ მომსახურება უნდა იქნას შესყიდული და როდის უნდა წარიმართოს შესყიდვის პროცედურები, იმისათვის, რათა ისინი საჭირო დროს და საჭირო რაოდენობით აღმოჩნდნენ შემსყიდველი ორგანიზაციის განკარგულებაში. გარკვეულ შემთხვევებში, შესყიდვის ინდივიდუალური დაგეგმვა შესაბამისი მიწოდების ბაზრების მოკვლევით იწყება, რომლის ამოცანასაც შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, ფასები, მიწოდების პირობები, მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები, შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი და შესყიდვის წარმატებულად განხორციელებისათვის სხვა საჭირო ინფორმაციის მიღება წარმოადგენს.³² წინამოსამზადებელი სამუშაოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს ბაზრის მოკვლევა წარმოადგენს, რომლის განხორციელებაც ხდება პოტენციური მიმწოდებლების გამოკითხვით, ინტერნეტში ან ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტის ბაზრის შესწავლის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- მიმწოდებელთა სტრატეგიების შესწავლა;
- რისკების მენეჯმენტის გაუმჯობესება;
- შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
- მთავრობის პრიორიტეტების მიღწევის ხელშემწყობი აქტივობების იდენტიფიცირება და სათანადო ნაბიჯების გადადგმა.³³

შესაბამისად, თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვების პროცედურების განხორციელებას უნდა იწყებდეს საჭიროებისა და არსებული ბაზრის მოკვლევით. იმისათვის, რომ შესყიდვა წარმატებით განხორციელდეს

³² მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

³³ მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

საჭიროა ისეთი ტიპის ინფორმაციის ცოდნა, როგორცაა ბაზარზე კონკურენციის დონე და პირობები, პოტენციურ მიმწოდებელთა შესაძლებლობები. შესყიდვების სფეროში არსებული ლიტერატურა განასხვავებს ბაზრის მოკვლევის შემდეგ ექვს ძირითად მიმართულებას:

- ⇒ ბაზრის სტრუქტურა;
- ⇒ კონკურენციის პირობები;
- ⇒ ღირებულებების დარიცხვის ჯაჭვი;
- ⇒ შემცველი (ალტერნატიული) საქონელი/მომსახურება;
- ⇒ შემსყიდველი ორგანიზაციის, როგორც კლიენტის მნიშვნელობა;
- ⇒ სხვა გარემო ფაქტორები, როგორცაა, მაგ. საკანონმდებლო, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ელემენტები, რომლებიც ახდენენ გავლენას მიწოდების ბაზარზე.³⁴

არასწორად შესწავლილი ბაზარი პრობლემას ქმნის შესყიდვის ობიექტის მიწოდების ნაწილში და ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ტენდერის არშედგომასა და უარყოფითი შედეგით დასრულებას. შესაბამისად, მიწოდების ბაზრის სპეციფიკაციის არასათანადო შესწავლის შედეგად თავს იჩენს შემდეგი ძირითადი პრობლემური საკითხები:

- სპეციფიკაციებით ჩანაცვლებადი შესყიდვის ობიექტების დაუშვებლობა;
- არასაკმარისი ინფორმაცია წინადადების შემუშავებისა და სატენდერო წინადადების ფასის დაანგარიშებისათვის;
- უჩვეულო მოთხოვნები;
- მიწოდებასთან/შესრულებასთან დაკავშირებული არაადეკვატურად მოკლე ვადების დადგენა;
- ტენდერის მიმდინარეობის არაგონივრულად მოკლე ხანგრძლივობა;
- არაადეკვატურად დაბალი ფასების განსაზღვრა;
- ფასების დინამიკის გაუთვალისწინებლობა; ტიპიური საწარმოს ზომისა და საწარმოების ზოგადი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა;

³⁴ Supply Market Analysis, Guidance Note General 2, NPPPU National Public Procurement Policy Framework, 2005

- მიმწოდებლების სპეციალიზების სფეროს გაუთვალისწინებლობა;
- სეზონური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა.³⁵

შემდგომ ეტაპს უკვე შერჩეული ობიექტის შესყიდვის განხორციელება წარმოადგენს. შესყიდვის განხორციელების სხვადასხვა მეთოდები არსებობს. საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად კარგია, როდესაც გამოყენებული მეთოდი ადაპტირებადია ტენდერთან. შესაბამისად მნიშვნელოვანია, როდესაც შემსყიდველებს აქვთ რიგი მაღალხარისხიანი მეთოდები ასარჩევად.³⁶ დღეისათვის ქართული სახელმწიფო შესყიდვა პროცესის მეთოდებიდან გამომდინარე საკმაოდ მრავალფეროვანია და კონკრეტული შესყიდვის ობიექტის საჭიროებიდან გამომდინარე არჩევანის საშუალებას იძლევა. საქართველოში მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების საშუალებებს მიეკუთვნება:

- ელექტრონული ტენდერი (SPA);
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT);
- ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი (MEP);
- ელექტრონული ტენდერი (DAP);
- ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით (TEP);
- კონსოლიდირებული ტენდერი (CON);
- კონკურსი (CNT);
- შესყიდვის ელექტრონული პროცედურა (GEO);
- საგრანტო კონკურსი (GRA);
- შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით (DEP);
- გამარტივებული შესყიდვა.

³⁵ „10 რეკომენდაცია მიწოდების ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

³⁶ Telgen J., Lohmann MSc, W., A contribution to the consultations in the Netherlands within the framework of the World Bank Procurement review, Issues paper World Bank Procurement Guidelines, August 2012

ელექტრონული ტენდერი (SPA) ეს არის სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომლის დროსაც პრეტენდენტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებში, შეუძლია შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის პროცედურაში გამარჯვების მოპოვების მიზნით.³⁷

0
1
16

შეუთხმული ნაშთი

კანონმდებლობით დადგენილი ვადა

მონოდების ვადა:

შემსყიდველს არ აქვს წინადადების წარდგენის უფლება!

| | დანწყება | დამთავრება | პრეტენდენტი |
|-------------|----------|------------|----------------|
| 1-ლი რაუნდი | 12:35 | 12:37 | პრეტენდენტი #1 |
| 1-ლი რაუნდი | 12:37 | 12:39 | პრეტენდენტი #2 |
| 1-ლი რაუნდი | 12:39 | 12:41 | პრეტენდენტი #3 |

| პრეტენდენტი | ბოლო შეთავაზება თანხა/დრო | პირველი შეთავაზება თანხა/დრო |
|------------------|--|---|
| 📄 პრეტენდენტი #1 | 3`550.00 <small>04.05.2018 09:49</small> | 3`550.00 <small>04.05.2018 09:49</small> |
| 📄 პრეტენდენტი #2 | 2`800.00 <small>03.05.2018 17:05</small> | 2`800.00 <small>03.05.2018 17:05</small> |
| 📄 პრეტენდენტი #3 | 1`975.00 <small>04.05.2018 11:49</small> | 2`160.00 <small>04.05.2018 11:16</small> |

ვაჭრობის 1-ლი რაუნდი

| | დანწყება | დამთავრება | პრეტენდენტი |
|--|----------|------------|----------------|
| | 12:35 | 12:37 | პრეტენდენტი #1 |
| | 12:37 | 12:39 | პრეტენდენტი #2 |
| | 12:39 | 12:41 | პრეტენდენტი #3 |

ძირითად დროში ვაჭრობის შედეგები

პრეტენდენტი

ელექტრონული ტენდერი რევერსული აუქციონის ტიპის შესყიდვას წარმოადგენს, რა დროსაც ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ერთმანეთთან ღიად ვაჭრობენ.

³⁷საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

აღსანიშნავია, რომ რაუნდებში ვაჭრობისას პრეტენდენტების იდენტიფიცირება არ ხდება, თუმცა ღია ინფორმაცია მონაწილეთა რაოდენობისა და ფასის თაობაზე ამ ტიპის ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში პრეტენდენტების შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად ფასი გვევლინება. შემსყიდველი ორგანიზაციები წინასწარ საზღვრავენ იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი თუ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი და თუკი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს ის ვლინდება გამარჯვებულად.

ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) არის ტენდერის ტიპი რომელიც მუშაობს როგორც ეგრეთ წოდებული „დალუქული კონკრეტის პრინციპი“. ყველა პროცედურა იგივეა როგორც ელექტრონულ რევერსულ აუქციონში, თუმცა 3 დამატებითი რაუნდის მაგივრად წინადადების წარდგენა ხდება მხოლოდ ერთხელ. საუკეთესო შეთავაზების გარდა ყველა წინადადება რჩება დალუქული (ხელმიუწვდომელი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის) იქამდე სანამ ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი (გარდა სტატუსისა „ტენდერი შეწყვეტილია“).³⁸ აუქციონის გარეშე ტენდერის ჩატარების შემთხვევაში პრეტენდენტებს შორის ვაჭრობას ადგილი არ აქვს და პრეტენდენტებს არ აქვთ საშუალება ნახონ ერთმანეთის მიერ შეთავაზებული ფასები შემსყიდველი ორგანიზაციის წინადადების მიღების დასრულების შემდგომ ღია ხდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის დამფიქსირებელ ორგანიზაციის სატენდერო წინადადება და ფასი. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები შემსყიდველს სთავაზობენ იმ ღირებულებას, რაც მათთვის მისაღებია და არ ახდენენ „ვაჭრობის აზარტიდან“ გამომდინარე სხვა კონკურენტი პრეტენდენტების ზეგავლენის ქვეშ ფასის ხელოვნურ კლებას.³⁹ მინიმუმამდე დაჰყავს არაკეთილსინდისიერი ქმედების შესაძლებლობა მიმწოდებლებს შორის (ე.წ. “Bid rigging” - ეკონომიკურ ოპერატორებს შორის კორუფციული გარიგება) და ასევე ამცირებს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიკერძოებული გადაწყვეტილების

³⁸ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

³⁹ ჯულაყიძე შ., მეძმარიაშვილი თ., ელექტრონული შესყიდვების ეფექტურობა, ახალი ეკონომისტი №2, თბილისი 2017

მიღების ალბათობას. ეს პროცედურა შეიქმნა და დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით.⁴⁰ იმ შემთხვევაში თუკი უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს ხდება მისი დისკვალიფიკაცია აღნიშნული ტენდერიდან და სისტემა აჩენს შემდგომი დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას. საბოლოოდ, ხელშეკრულების დადების შემდგომ ცნობილი ხდება რამდენი პრეტენდენტი მონაწილეობდა ტენდერში და სატენდერო წინადადება ჰქონდა მათ შეთავაზებული.

ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერით (MEP) შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაცია განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განსაზღვროს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების შემდეგი ტიპები:

- ა) მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი, მისი სატენდერო წინადადება უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;
- ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას დეზულობს ის პრეტენდენტი, რომლის მიერ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობა ყველაზე მეტად აღემატება სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს ზღვრული ოდენობა, რომელზე მაღალი ციფრობრივი მაჩვენებლის მითითებაც აღარ ახდენს გავლენას პრეტენდენტის ჯამურ შეფასებაზე;
- გ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას დეზულობს ის პრეტენდენტი, რომლის მიერ დაფიქსირებული სატენდერო

⁴⁰ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2017

წინადადების შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობა ყველაზე მეტად სცილდება (მეტობიდან ნაკლებობისკენ) სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მაქსიმალურ მოთხოვნას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს ზღვრული ოდენობა (გარდა სატენდერო წინადადების ფასისა), რომელზე დაბალი ციფრობრივი მაჩვენებლის მითითებაც აღარ ახდენს გავლენას პრეტენდენტის ჯამურ შეფასებაზე;

დ) კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ ამ პირობის/პირობების შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება კლებულობს სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ თითოეულ კრიტერიუმზე არაუმეტეს სამი პროცენტისა.

ორეტაპიანი ტენდერისას პრეტენდენტების სატენდერო წინადადების შეფასების თვლად კრიტერიუმს უნდა ჰქონდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, სატენდერო წინადადების ფასის ხვედრითი წონა შესაძლებელია შეადგენდეს არანაკლებ 0.3-სა და არაუმეტეს 0.7-ს.⁴¹ საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა ხდება ფასი-ხარისხის თანაფარდობით, რომელიც ითვლება სისტემაში ჩაშენებული უნიკალური ალგორითმის მეშვეობით, ე.წ. MEAT მეთოდით.⁴² ორეტაპიანი ტენდერის შემთხვევაში განსხვავებით სტანდარტული ელექტრონული ტენდერისა პრიორიტეტი მხოლოდ ფასს არ ენიჭება. აღნიშნული ტენდერის ტიპის საშუალებით შეირჩევა ფასისა და ხარისხის ოპტიმალური კრიტერიუმების მქონე შესყიდვის ობიექტი.

⁴¹ „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანება

⁴² სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

ელექტრონული ტენდერი (DAP) წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარების განსხვავებულ წესს, რა დროსაც სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, პრეტენდენტს უფლებას აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით და ამავდროულად ატვირთოს შეცვლილი ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. განსხვავებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები არ იმართება და ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, სატენდერო კომისია ვალდებულია, შეაფასოს ყველა პრეტენდენტის სატენდერო წინადადებების შესაბამისობა სატენდერო პირობებთან.⁴³ აღნიშნული პროცედურის დროს, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და გადარჩევა სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მიხედვით. იმ პრეტენდენტებისაგან, რომელთა ტექნიკური დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს მინიმალურ სატენდერო მოთხოვნებს დგება ე.წ. მოკლე სია, რომელთაგანაც მინიმალური შეთავაზების ფასის მქონე პრეტენდენტთან ფორმდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.⁴⁴ აღნიშნული ტენდერის ტიპი გარკვეულწილად მის უცხოურ ანალოგს წარმოადგენს და ე.წ. „ორ პაკეტიან“ სისტემას წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისათვის.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირველი ფაზის შესაბამისად, დაინერგა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი პროცედურა (TEP) – ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით (Restricted Procedure) ელექტრონული

⁴³საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

⁴⁴ჯუღაყიძე შ., მეძმარიაშვილი თ., ელექტრონული შესყიდვების ეფექტურობა, ახალი ეკონომისტი №2, თბილისი 2017

ტენდერი პრეკვალიფიკაციით (TEP) წარმოადგენს შესყიდვის საშუალებას, რაც გულისხმობს ელექტრონული ვაჭრობისათვის დამატებით რაუნდებში მხოლოდ იმ პრეტენდენტთა დაშვებას, რომელთა ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა შეესაბამება სატენდერო პირობებს. ელექტრონული ტენდერისათვის ტენდერის სტატუსის „წინადადების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე საჯარო ხდება მხოლოდ პრეტენდენტთა ვინაობა, მათი ტექნიკური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვის გარდა) და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში). ამასთან, საჯარო ხდება აგრეთვე იმ პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რომელიც ძირითად დროში უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე. აღნიშნული შესყიდვის პროცედურა აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალებას, რომ პირველ ეტაპზე მოახდინოს არაკვალიფიციური პრეტენდენტების გაფილტვრა და ამასთან ერთად მეორე ეტაპზე ხელშეკრულება გააფორმოს უკვე შერჩეულ და კვალიფიციურ, თან იმავდროულად, ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებელთან.⁴⁵ მას შემდეგ რაც პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს და სრულ საკვალიფიკაციო დოკუმენტაციას, შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს მიმწოდებლების დოკუმენტებს. მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე იმართება რევერსული აუქციონი მხოლოდ ამ ეტაპზე გადასულ ეკონომიკურ ოპერატორებს შორის. მომდევნო ეტაპზე გამარჯვებულის გამოვლენა ხდება უკვე ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით. აღნიშნული შესყიდვის პროცედურა აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალებას, რომ პირველ ეტაპზე მოახდინოს არაკვალიფიციური პრეტენდენტების გაფილტვრა და ამასთან ერთად მეორე ეტაპზე ხელშეკრულება გააფორმოს უკვე შერჩეულ და კვალიფიციურ, თან იმავდროულად, ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებელთან. ეს პროცედურა შეიქმნა და დაინერგა სააგენტოს მიერ ევროკავშირთან ვალდებულებების ფარგლებში (ევროდირექტივების მიხედვით - ე.წ.

⁴⁵ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

Restricted procedure); ევროდირექტივის მიხედვით, შემოღებულია მინიმალური ვადა - 25 დღე; მინიმალური პრეტენდენტების რაოდენობა - 5.⁴⁶

რაც შეეხება სატენდერო წინადადების წარდგენის ვადებს, 2017 წლის 19 ივლისამდე ელექტრონული პროცედურები იყოფოდა გამარტივებული ელექტრონულ ტენდერად - 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალებად და ელექტრონულ ტენდერად - 200 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალებად. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა შეადგენდა არანაკლებ ერთ სამუშაო დღეს, ხოლო წინადადების წარსადგენად პრეტენდენტს ორი სამუშაო დღე ჰქონდა. ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში კი სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის მინიმალური ვადა თხუთმეტი დღეს შეადგენდა, ხოლო პრეტენდენტებს ამ ვადის დასრულებიდან ხუთი დღის განმავლობაში შეეძლოთ წარედგინათ წინადადება. დღეისათვის 150 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე წინადადების წარსადგენად განისაზღვრება არანაკლებ 7 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 5 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 2 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად, ხოლო 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში - არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად. სამშენებლო სამუშაოს შესყიდვისას, 300 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად, ხოლო 300 000 ლარის და მეტი

⁴⁶ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2017

ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 20 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 15 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად. იმავედროულად, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის ღირებულებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 25 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე სატენდერო წინადადების წარსადგენად (იხ. ცხრილი 1.1.2).⁴⁷ აღნიშნული ცვლილებები ემსახურება, ერთი მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებების, დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საფუძველზე პირველი ფაზით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო მეორეს მხრივ, შესყიდვებთან დაკავშირებული, საუკეთესოდ აღიარებული პრაქტიკის საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვას.

ცხრილი 1.1.2.

ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები

| შესყიდვის საშუალება | შესყიდვის ობიექტი | მონეტარული ზღვარი | სატენდერო ვადა |
|---------------------|-------------------------|----------------------|-----------------------------|
| ელექტრონული ტენდერი | საქონელი და მომსახურება | 5 000 – 150 000 ლარი | 7 (5+2) კალენდარული დღე |
| | | 150 000 ლარი და მეტი | 10 (7+3) კალენდარული დღე |

⁴⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

| | | | |
|--------------------------------------|-------------------------|------------------------|---------------------------------|
| | სამუშაო | 5 000 – 300 000 ლარი | 10 (7+3) კალენდარული დღე |
| | | 300 000 ლარი და მეტი | 20 (15+5) კალენდარული დღე |
| ევროკავშირის მონეტარული ზღვარს ზევით | საქონელი და მომსახურება | 135 000 ევრო და მეტი | 20 (15+5) კალენდარული დღე |
| | სამუშაო | 5 225 000 ევრო და მეტი | 30 (25+5) კალენდარული დღე |

წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

აღსანიშნავია, გამოცხადებული შესყიდვების უმეტეს ნაწილს გამარტივებული ელექტრონული ტენდერები შეადგენდა, რომლის პროცედურული ვადაც ნაკლები იყო ევროკავშირის მიერ გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით, შესაბამისად ცვლილება გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კონკურენციის ზრდას. ამასთან, მინიმუმამდე დაიყვანს შემჭიდროვებული ვადების გამო პრეტენდენტების მიერ გაუმართავად შედგენილი სატენდერო წინადადებების რიცხვს. გარდა ამისა, კანონმდებლობით დადგენილი ვადები წარმოადგენს მინიმალურ ვადებს. შესაბამისად, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნებს, რომ მინიმალური ვადა არ არის საკმარისი პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობისა და სატენდერო წინადადებების შემუშავებისათვის, მას შეუძლია განსაზღვროს ელექტრონული შესყიდვის საშუალების მიმდინარეობის დადგენილზე უფრო გრძელვადიანი ვადა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ტენდერები სადაც წინადადების მიღების ვადა მცირეა დაბალი კონკურენციით ხასიათდება. შესაბამისად, მინიმალური სავალდებულო ვადის გახანგრძლივება ჯანსაღი კონკურენციის გაზრდისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება

მივიჩნით.⁴⁸ ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვარი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში შეადგენს 135 000 ევროსა და მეტს, ხოლო სამუშაოს შემთხვევაში 5 225 000 ევროსა და მეტს. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარული ზღვრებთან დაკავშირებული რეგულაციები ამოქმედდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა რიგ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს პრეისკურანტის გამოყენებით, რაც გულისხმობს ვაჭრობას მომსახურების ერთეულის ღირებულებაზე და მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება ჩარჩო ხელშეკრულებას წარმოადგენს, რა დროსაც ხორციელდება ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწვევისას ღირებულების ფაქტობრივი ათვისება. პრეისკურანტის გამოყენებით შესყიდვა ხორციელდება შემდეგი ერთგვაროვნების მომსახურებებზე:

- ✓ სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- ✓ შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი;
- ✓ სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება;

⁴⁸ Julakidze Sh., Medzmariashvili T., Expected Results of Reforms Conducted in Sphere of State Procurements, International Journal of Innovative Technologies in Social Science 2 April 2018, ISSN 2544-9338, p.3-5

- ✓ წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები;
- ✓ ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- ✓ ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები.

პრეისკურანტით შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო განცხადების პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების ველში უთითებს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას, ხოლო შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ველში – შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებას, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს პრეისკურანტის ღირებულებისგან.⁴⁹ აღნიშნულ შემთხვევაში პრეტენდენტები ვაჭრობენ პრეისკურანტის ფასების მიხედვით, ხოლო ხელშეკრულება ფორმდება სახელშეკრულებო ღირებულებით, რომელიც წინასწარ განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციით. იმ შემთხვევაში თუ კი, ხელშეკრულების დადების შემდგომ პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეული არ არის განსაზღვრული, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით, თუმცა პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს საბოლოოდ დაფიქსირებული პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

კონსოლიდირებული ტენდერი (CON) არის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროცედურა, რომლის დროსაც ვლინდება საუკეთესო სატენდერო წინადადება.⁵⁰ კონსოლიდირებული ტენდერის შესყიდვის ობიექტს ძირითადად წარმოადგენს ისეთი სახის საქონელი თუ მომსახურება, რომელის შესყიდვასაც ახორციელებს პრაქტიკულად ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია და კონსოლიდირებული ტენდერის

⁴⁹ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

⁵⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

ჩატარება გამართლებულია საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპით. კონსოლიდირებული ტენდერებისას სტანდარტული ტენდერებისგან განსხვავებით, ნაცვლად თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციისა, ტენდერის გამომცხადებლად გვევლინება სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“. სატენდერო პროცედურების დასრულების შემდგომ კი ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ცალ-ცალკე დებს ხელშეკრულებას კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულ პრეტენდენტთან. დღეისათვის კონსოლიდირებული ტენდერების შესყიდვის ობიექტებს წარმოადგენს: ფიჭური სატელეფონო მომსახურება, ნავთობპროდუქტები (საწვავი), A4 ფორმატის უმაღლესი და პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი, მაგიდის კომპიუტერები (დესკტოპები), პორტაბელური კომპიუტერები (ლეპტოპები), უწყვეტი კვების წყაროები, ავტომანქანების საბურავები და მრავალფუნქციური და ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერები.

კონკურსი (CNT) ეს არის სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს საპროექტო მომსახურება, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯადრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები. შემსყიდველი ორგანიზაცია, ყოველი კონკრეტული კონკურსის შემთხვევაში, განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი და მისი საკონკურსო წინადადება. ორეტეპიანი ტენდერის მსგავსად, კონკურსის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განსაზღვროს ხარისხის შეფასების შემდეგი ტიპები:

- ა) მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი, მისი ტექნიკური დოკუმენტაცია უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;
- ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას დებულობს ის პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციაც ყველაზე მეტად აღემატება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას;

- გ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას დებულობს ის პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციაც ყველაზე მეტად სცილდება (მეტობიდან ნაკლებობისკენ) საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მაქსიმალურ მოთხოვნას;
- დ) არათვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს;
- ე) კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ ამ პირობის/პირობების შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის შეფასება კლებულობს საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად.⁵¹

კონკურსის შემთხვევაში, ორეტაპიანი ტენდერის მსგავსად, აქცენტი შესყიდვის ობიექტის ფასის გარდა ხარისხზეც კეთდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას მოახდენს შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივ მაჩვენებელზე.

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა (GEO) ძირითად შემთხვევაში ხორციელდება იმ საწარმოთა სახსრებით, რომელთა აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და რომელთათვისაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილია საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის სპეციალური წესი.⁵² შესყიდვის ელექტრონული პროცედურა გამოიყენება ასევე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების

⁵¹ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანება

⁵² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

განხორციელებისას და რეგლამენტირებულია საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით. საქონლის ან მომსახურების სპეციალური წესის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. შესყიდველი ორგანიზაციები სპეციალური წესის დამტკიცების შემდგომ განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობენ დადგენილი პირობებით და ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სარგებლობენ შესყიდვის ელექტრონული პროცედურით.

საგრანტო კონკურსი (GRA) თავისუფალი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურაა, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო საგრანტო განაცხადის გამოვლენას (საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საქართველოს სამთავრობო დაწესებულების მიერ და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მიერ, სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციების ინიცირებით სპეციალური პროექტების განხორციელების მიზნით გაცემული გრანტები).⁵³ შესაბამისად, სპეციალური პროექტების განხორციელების მიზნით გაცემული გრანტებისას გამოიყენება შესყიდვის საშუალება – საგრანტო კონკურსი.

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით (DEP) შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ძირითადად შემდეგი დონორების სახსრებით: მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო, გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ევროკავშირი და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ხორციელდება შესყიდვა სახელმწიფოს გარდა დონორის სახსრებით, ამასთან, უშუალოდ გამოცხადებისას ტენდერში მიეთითება შესაბამისი დონორი ორგანიზაციის დასახელება და დაფინანსების წყაროს პროცენტული წილი.

⁵³ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

გამარტივებული შესყიდვა – ეს არის შესყიდვის საშუალება, რომელიც უფლებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველგვარი სატენდერო პროცედურების გარეშე (ე.წ. პირდაპირი შესყიდვის წესით) შეიძინოს მისთვის სასურველი საქონელი, მომსახურება ან სამუშაო. აღსანიშნავია, რომ „სატენდერო პროცედურების გარეშე“ არ ნიშნავს იმას, რომ შემსყიდველისათვის მიზანშეწონილია შესყიდვა განხორციელოს პირველივე მიმწოდებელთან ნებისმიერ ფასად. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობა იმპერატიულად არ ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციას რაიმე სახის პროცედურების ჩატარებას, მიზანშეწონილია, რომ გამარტივებული შესყიდვის დროს შემსყიდველმა ორგანიზაციამ ე.წ. „ბაზრის მოკვლევა ჩაატაროს“.⁵⁴ გამარტივებული შესყიდვა გამოიყენება კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას. მონეტარული ზღვრების ფარგლებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით თუ:

- საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებათ;
- არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;

⁵⁴სოდელი გ., ბროლაძე ზ., ჯუღაიძე შ., საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო, დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა, თბილისი 2014

- მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან;
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები;
- ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
- სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გზით;
- ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.⁵⁵

იმ შემთხვევაში თუ კი შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებულ შესყიდვას ახორციელებს მონეტარული ზღვრების გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირველი ოთხი პუნქტიდან გამომდინარე, შესყიდვის განხორციელებამდე შესათანხმებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემიდან SMP მოდულის (შეთანხმებები გამარტივებული შესყიდვის თაობაზე) საშუალებით უნდა მიმართოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“. კერძოდ, შეავსოს შესაბამისი კითხვარი, წარმოადგინოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

⁵⁵„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება

ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით შესაძლებელია ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება.⁵⁶ ასეთ დროს წერილობითი ფორმით იდება შეთანხმება შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე, რასაც ხელს აწერენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან უფლებამოსილი პირები. იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი შესყიდვის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ მზადდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

- ✓ მოთხოვნებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შედგეს ერთობლივი სატენდერო პირობები;
- ✓ მითითებას შემსყიდველ ორგანიზაციაზე, რომელიც უფლებამოსილია, ჩაატაროს ერთობლივი ელექტრონული ტენდერი.⁵⁷

შეთანხმება შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე ან შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თავსდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტენდერის გამოცხადების პროცესში.

ამასთან, გარდა ელექტრონული შესყიდვისა შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით, აგრეთვე ზემდგომი თანამდებობის პირის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვაც შესაძლებელია ერთობლივად განხორციელდეს. შემსყიდველი ორგანიზაცია შეთანხმებას ან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ტვირთავს ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციასთან ერთად. შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს შემდეგ პირობებს:

- ✓ გამარტივებული შესყიდვის განხორციელების საფუძველსა და პირობებს;

⁵⁶საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

⁵⁷„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

- ✓ მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პირობებს;
- ✓ შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესს;
- ✓ მითითებას იმ შემსყიდველი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს მიმართვა სისტემის მოდულში – თუ გამარტივებული შესყიდვა თანხმდება სააგენტოსთან.⁵⁸

რაც შეეხება ერთობლივი შესყიდვის შემდგომი მართვის საკითხს, თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე აფორმებს ხელშეკრულებას გამარჯვებულ მიმწოდებელთან და არსებული შესყიდვისას ანგარიშსწორებას და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას დამოუკიდებლად უზრუნველყოფს.

⁵⁸ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება

1.2 სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება, გამომდინარე იქიდან, რომ იგი საჯარო ფინანსების ხარჯვის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში საჯარო ფინანსების მდგომარეობას, კორუფციის დონეს, კონკურენტულ გარემოს და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას.⁵⁹ შესაბამისად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო შესყიდვების სფეროს სამართლებრივი რეგულირების საკითხს. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობენ არამხოლოდ რეზიდენტი არამედ უცხოური კომპანიები. სახელმწიფო შესყიდვების წესები განსაზღვრავს თუ როგორ დაიხარჯოს სახელმწიფო ფინანსური რესურსები, თუმცა არ მოიცავს მიდგომებს იმის თაობაზე თუ რის შესყიდვა უნდა განხორციელდეს.⁶⁰ შესყიდვების კანონმდებლობა არეგულირებს საჯარო ფინანსების ხარჯვის მეთოდიკასა და მიდგომებს, ხოლო სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის საკითხი ქვეყნის მიერ შესყიდვების მიმართ განსაზღვრული საკანონმდებლო მოთხოვნების მიღმა რჩება. ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით ყველა ქვეყანას განსხვავებული მიდგომები გააჩნია, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. შესაბამისად, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო სხვადასხვა მიდგომებს იყენებს სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე უცხოური მიმწოდებლებათვის ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ქვეყნების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებია მზად არ არიან აღნიშნული სფერო გახსნან სხვა ქვეყნების კომპანიებისათვის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვები გვევლინება ერთ-ერთ საკვანძო ასპექტად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის დარგში.⁶¹ შესაბამისად, განსაკუთრებულ

⁵⁹ კიკვაძე ო., გეთია შ., კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 118-122

⁶⁰ Gaskarth G., Gamekeeper or poacher? Britain and the application of State aid and procurement policy in the European Union, Civitas: Institute for the Study of Civil Society, March 2013

⁶¹ Пономарева О. В., Государственные закупки как инструмент торговой политики в развивающихся странах, Российский внешнеэкономический вестник, 9-2014, с.УДК 339.13.025.87 ББК 65.42 П-564, с. 101-119

მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით ლიბერალური საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რაც გავლენას მოახდენს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებაზე არამხოლოდ ქვეყნის შიდა, არამედ სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა არსებული კომპანიების ბაზარზე. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე უცხოური კომპანიებისათვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის სამი ძირითადი გზა არსებობს. პირველ რიგში სახელმწიფოს შეუძლია აკრძალოს საქონლისა და მომსახურების უცხოური მიმწოდებლებისაგან შესყიდვა. მეორე, სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს მოთხოვნები უცხოური მწარმოებლების მიმართ განსაზღვრული ადგილობრივი კომპონენტების შესყიდვის ობიექტში გამოყენების თაობაზე და მესამე, გაატაროს ფასის პრეფერენციის პოლიტიკა.⁶² შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკას სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი სამართლებრივი გარემო, რითიც თავიდან აცილებული იქნება არაჯანსაღი მიდგომა სფეროთი დაინტერესებული კომპანიების მიმართ. სახელმწიფო მიერ გატარებული შესყიდვების პოლიტიკა შესაძლო დახასიათდეს არადისკიმინაციულად თუკი ტენდერებით დაინტერესებული კონკრეტული პრეტენდენტების მიმართ არ ტარდება რაიმე ტიპის პრეფერენციული რეჟიმი.⁶³ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირების ძირითად დოკუმენტად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი გვევლინება. შესყიდვების კანონი პირველად 1998 წელს იქნა მიღებული. კანონმდებლობის მრავალგვარი ინტერპრეტაცია, მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების იგნორირება არაეფექტიანს ხდიდა რეფორმების მოქმედებას აღნიშნულ სფეროში. ამ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებს მოიცავდა, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი ხარჯები მოძრაობდა კანონის მიღმა. შესაბამისად, კანონმა ვერ შეძლო

⁶² Ssennoga F. Examining discriminatory procurement practices in developing countries, Journal of Public Procurement. Vol. 6. Issue 3. - PrAcademics Press, 2006. P. 218-249

⁶³ Stroembaeck E., Contract Size and Small Firm Competition in Public Procurement, Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies, №914, August 2015

საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება.⁶⁴ ამრიგად, დღის წესრიგში დადგა ახალი საკანონმდებლო აქტის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებდა სახელმწიფო ფინანსური რესურსებით შესყიდვის განხორციელების საკითხს.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ძირეული რეფორმებიდან გამომდინარე, 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ დღეისათვის მოქმედი კანონი, რომელიც 2005 წლით თარიღდება. კანონმდებლობის უმეტესმა ნაწილმა ცვლილებები განიცადა და დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების ძირეული რეფორმირება.

დღეისათვის აღნიშნული კანონის მიზნებს წარმოადგენს:

- ⇒ სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- ⇒ სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლობა სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- ⇒ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- ⇒ სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ⇒ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება.⁶⁵

კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული შესყიდვებისა.

⁶⁴გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო №4, თბილისი 2012, გვ. 91-96

⁶⁵საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრულია ის გამონაკლისები, რაზეც მოქმედი კანონმდებლობა არ ვრცელდება:

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, გარე აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის მომსახურებისა და ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვებზე;
- საჯარო სამართლის იურიდული პირების სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;
- ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ან/და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში და საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;

- საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე-147-ე მუხლების შესაბამისად;
- უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვაზე, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებისა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;
- შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- სოციალური რეკლამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ვებგვერდითა და სოციალური ქსელით, გავრცელებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არარეზიდენტი პირისაგან ტელე-/რადიო პროდუქციის ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-/რადიოპროდუქციის გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე;
- სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევი სარჯების ანაზღაურებაზე;

- „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის ან აგენტის მიერ ლატარიის ბილეთის შენახვის, სარეალიზაციო ან/და ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებასთან დაკავშირებული მომსახურების, აღნიშნულ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე პირისგან მომსახურების და ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;
- შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შექმნილი საქონლის და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად ერთიანი ლაბორატორიული სისტემისათვის განკუთვნილ იმ საქონლის სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლის ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.⁶⁶

აღნიშნული გამონაკლისების საჭიროება ძირითადად დადგა მას შემდეგ, რაც შეიქმნა შესყიდვების ახალი (ელექტრონული) სისტემა და აღნიშნული სფეროები დაექვემდებარა გამარტივებული შესყიდვის წესს, რაც გამოწვეული იყო იმ

⁶⁶საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

გარემოებით, რომ ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, ამ სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შექმნილიყო მთელი რიგი პრაქტიკულ-ტექნიკური ხასიათის პრობლემები.⁶⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი ძირითადად ჩარჩო კანონმდებლობად გვევლინება, რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს და ცალკეული მიმართულებები ჩამოყალიბებულია კანონქვემდებარე აქტებში. შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არეგულირებენ დამატებით უშუალოდ შესყიდვის ამა თუ იმ საშუალების პროცედურების განხორციელების საკითხს.

სახელმწიფოს თავისი ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაცია ბიზნესთან პარტნიორობის გარეშე არ შეუძლია. სწორედ ბიზნესის არის ის სფერო, რომელიც სახელმწიფოს უქმნის ფინანსურ წყაროს მისი მრავალფეროვანი ფუნქციების შესასრულებლად. ამიტომაც, სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს ბიზნესისადმი ხელის შეწყობა და მისი განვითარებისათვის საჭირო სამართლებრივი, ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა.⁶⁸ შესაბამისად, გამართული საკანონმდებლო ბაზა ემსახურება ბიზნესის ჩართვას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. თანამედროვე დასავლურ ფასეულობებზე დაყრდნობით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიმართულებას.⁶⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის დიდი ნაწილი ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და ხშირად უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სისტემები.⁷⁰ დაწესებული მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე ხელი ეწყო კერძო სექტორის მეტად განვითარებას. ამასთან, საჯაროობისა და

⁶⁷ხარხელი მ., კიკვაძე ო., საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: მიღწევები და ნაკლოვანებები, ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი IX, №2, თბილისი 2016, გვ. 132-144

⁶⁸ მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბილისი 2011

⁶⁹ მექმარიაშვილი თ., ევროკავშირის სტანდარტები და სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი №4, თბილისი 2017, გვ. 40-47

⁷⁰საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, ივნისი 2013

კონკურენციის გაზრდის შედეგად, გამარტივებულ ელექტრონულ და ელექტრონულ ტენდერში მონაწილე კომპანიები ბაზარზე თანაბარი პირობებით სარგებლობენ, რაც ახალი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ერთ-ერთ უპირატესობად გვევლინება.⁷¹ მიუხედავად ამისა, დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროს უმთავრეს გამოწვევად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე, ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან დაახლოება გვევლინება. შესაბამისად, საკანონმდებლო დაახლოების პროცესში ყურადღება უნდა გაგამახვილოთ საქართველოს შესყიდვების ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

საქართველო, საკანონმდებლო დაახლოებისა და იმპლემენტაციის პროცესში, გაივლის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- I ფაზა – 3 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების და შესაბამისი ინსტიტუციური ბაზრის მარეგულირებელი ძირითადი სტანდარტები;
- II ფაზა – 5 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დირექტივისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დაგების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტები;
- III ფაზა – 6 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სექტორების შესახებ დირექტივისა და სექტორების სფეროში დაგების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტები;
- IV ფაზა – 7 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დირექტივისა და სახელმწიფო

⁷¹საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, ივნისი 2013

შესყიდვების სფეროში დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტები;

- V ფაზა – 8 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სექტორების შესახებ დირექტივისა და სექტორების სფეროში დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტები.⁷²

სახელმწიფო შესყიდვების თავი მოიცავს დანართს, რომელშიც გაწერილია კანონმდებლობის შესაბამისად თანმიმდევრული დაახლოებისა და შესაბამისად ორმხრივი ბაზრის გახსნის ძირითადი ეტაპები და საორიენტაციო ვადები. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესი, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით, გაწერილია 2014-2022 წ.წ. რვაწლიან პერიოდზე (იხ. ცხრილი 1.2.1).

ცხრილი 1.2.1

ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესი

| საორიენტაციო ვადები, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან | საქართველოს ბაზრის გახსნა ევროკავშირისათვის | ევროკავშირის ბაზრის გახსნა საქართველოსათვის |
|---|---|---|
| წელი 3 | ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვები | ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის შესყიდვები |

⁷²სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა

| | | |
|----------------------|--|--|
| <p>წელი 5</p> | <p>საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, ასევე საჯარო სამართაღს დაქვემდებარებული პირების მიერ</p> | <p>საქონლის შესყიდვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების, ასევე საჯარო სამართაღს დაქვემდებარებული პირების მიერ</p> |
| <p>წელი 6</p> | <p>საქონლის შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ</p> | <p>საქონლის შესყიდვა ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ</p> |
| <p>წელი 7</p> | <p>მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიების გაფორმება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ</p> | <p>მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა და კონცესიების გაფორმება ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ</p> |
| <p>წელი 8</p> | <p>მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ</p> | <p>მომსახურების და სამუშაოს შესყიდვა კომუნალური მომსახურების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ</p> |

წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ“ უზრუნველყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი. გზამკვლევი ეხმიანება იმ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რაც დგას საქართველოს წინაშე და გარკვეულწილად სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

2017 წლის ბოლოს, პირველი ფაზის წარმატებით დასრულების შემდეგ, გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საჯარო შესყიდვების ბაზრის ეტაპობრივი გახსნა. აღნიშნული გარემოება უადრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ექსპორტის ხელშეწყობისათვის. დაახლოების პირველი ფაზის შემდეგ, გათვალისწინებულია საჯარო შესყიდვებში ევროკავშირის ბაზრის გახსნა ცენტრალური მთავრობების მიერ განხორციელებულ შესყიდვებში, ხოლო მომდევნო ფაზებში უკვე ეტაპობრივად მოხდება ბაზრის გახსნა რეგიონული და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ შესყიდვებში. ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ, რომელიც 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რამოდენიმეჯერ ეწვია, მომზადებულ დასკვნებში ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასა ვალდებულებების ფარგლებში სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულება, რაც საფუძველად დაედო პირველი ფაზის წარმატებით დასრულებას.⁷³ შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეტაპობრივი დაახლოების შემდგომი ფაზების წარმატებით გავლა, რითიც ხელი შეეწყობა სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის გახსნას, როგორც ცენტრალური მთავრობების, ასევე რეგიონული და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე.

⁷³ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2017

მიმდინარე ეტაპზე საქართველოსათვის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს, შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული სფეროს კანონმდებლობის დახვეწისა და სრულყოფის საკითხს.⁷⁴ ასოცირების შეთანხმების ძირითადი დებულებების ძალაში შესვლის თარიღიდან (01.09.2014) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების კუთხით. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა დეტალურად არ არეგულირებდა „ტენდერში შეუსაბამოდ დაბალი ფასის“ საკითხს, რაც პრობლემას ქმნიდა მიწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ეტაპზე. დღეისათვის შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ ვალდებულება ტენდერის გამოცხადებისას მიუთითონ ინფორმაცია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების თაობაზე. თუმცა, შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, დასაბუთების შემთხვევაში, შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის მოთხოვნა. სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების შესახებ მითითების არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი

⁷⁴ მექმარიაშვილი თ., საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ძირითადი მიმართულებები, სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გზა ევროინტეგრაციისკენ“ შრომების კრებული, თბილისი 2017, გვ. 61-63

ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.⁷⁵ დღეისათვის, ტენდერში შეუსაბამოდ დაბალი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში ტენდერის მსვლელობის პროცესში პრეტენდენტი ასაბუთებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას, რაც საერთო ჯამში მნიშვნელოვნად შეამცირებს შეუსრულებელი ხელშეკრულებების რიცხვს.

ამასთან, დღის წესრიგში იდგა შავი სიის (არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი) სისტემის გადასინჯვა, რომ არ მომხდარიყო ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი დისკვალიფიკაციის საფუძვლებს გარეთ პრეტენდენტების სიის შექმნა. შავი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს შავ სიაში დარეგისტრირებიდან ერთი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება.⁷⁶ ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპებისა და ევროპული სასამართლოს (CJEU) პრეცედენტური სამართლის მიხედვით, ავტომატური დისკვალიფიკაციის ოფიციალური სიების გამოყენება, ზოგადად, არ დაიშვება ევროკავშირის სამართლის მიხედვით.⁷⁷ 2015 წელს შემუშავდა შავი სიის წარმოების წესი და დღევანდელი მდგომარეობით შავი სიის წარმოების საკითხი რეგულირდება კანონქვემდებარე აქტით „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით. შესაბამისად, „შავ სიაში“ რეგისტრირებულ კომპანიებს ერთი წლის მანძილზე ეზღუდებათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ფინანსური რესურსებით გამოცხადებულ ტენდერებში. ამასთან, მნიშვნელოვანია ის

⁷⁵ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

⁷⁶ „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება

⁷⁷ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა

ფაქტიც, რომ ეს შეზღუდვა ელექტრონული შესყიდვების გარდა ვრცელდება გამარტივებულ შესყიდვაზე

გარდა ამისა, გამარტივებული შესყიდვების პროცედურების საფუძვლების გადახედვა და შეზღუდვა ევროკავშირის ღირეპტივების შესაბამისად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის პროცედურები მაკონტროლებლის მხრიდან ნაკლებად იძლეოდა კონტროლის საშუალებას. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდა გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების SMP მოდული, სადაც შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე საჯაროდ დაასაბუთონ და შესყიდვის განხორციელების საკითხი შეათანხმონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. 2015 წლის 1 ნოემბრიდან სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება შემდეგი გარემოებების ფარგლებში განსახორციელებელი გამარტივებული შესყიდვები:

1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება წარმოადგენს ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას. შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საჭირო საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა ბაზარზე მხოლოდ ერთ პირს შეუძლია და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივე შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად;
2. არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა და შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე დადგა ისეთი ვითარება, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელი იყო;
3. მიმწოდებლისგან შესყიდული შესყიდვის ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ან შესყიდვის ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისგან;

4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონის ძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები და სატენდერო პროცედურის განხორციელება ვერ ესწრება.

ელექტრონული ტენდერი მიეკუთვნება ღია ტიპის შესყიდვას ელექტრონული აუქციონის სავალდებულო გამოყენების პრინციპით. ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად ელექტრონული აუქციონების გამოყენება შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის სავალდებულო არ არის. შესაბამისი ცვლილებების შედეგად, 2016 წლის პირველი ივლისიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდგომ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი. ამ შემთხვევაში, ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ძირითად დროში და სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტების რაოდენობების, მათი ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობას.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში არ იყო განსაზღვრული, რომ შესყიდველ ორგანიზაციას გააჩნდა ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრის შესაძლებლობა შედეგის ამსახველი ან ფუნქციონალური მოთხოვნების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი დღეისათვის დარეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შედეგს, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებების მიერ შესყიდული საქონელი, მომსახურება და სამშენებლო სამუშაო წარმოადგენს, შესაბამისად კანონმა ერთმნიშვნელოვნად უნდა მისცეს შემსყიდველ ორგანიზაციებს იმის შესაძლებლობა, რომ სპეციფიკაციები ჩამოაყალიბონ შედეგზე ორიენტირებული და ფუნქციური კრიტერიუმების საფუძველზე, რაც შესაძლებელს გახდის სატენდერო წინადადებებში ბაზარზე არსებული ტექნიკური გადაწყვეტილებების მრავალფეროვნების ასახვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების სრულ აღწერას, მათ შორის, გეგმებს, ნახაზებს, ესკიზებს, ინფორმაციას ხარისხის, ფუნქციონირების, უსაფრთხოების, ზომების, შეფუთვის, ნიშანდებისა და მარკირების, წარმოების მეთოდისა და პროცესის სიმბოლოების, ტერმინების და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნების შესახებ.⁷⁸ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შედეგზე ორიენტირებული სატენდერო წინადადებების მიღებას, რომელიც საბოლოოდ მოიცავს სასურველი მიზნის მიღწევას.

ასევე, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა ეკონომიკური სუბიექტების სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში ერთობლივი მონაწილეობის საკითხი, რის საფუძველზეც ორგანიზაციები მოახდენენ სხვა საწარმოების ეკონომიკური და ფინანსური რესურსისა და ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებას. დღეისათვის ორ ან რამდენიმე პრეტენდენტს აქვს უფლება ტენდერში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. ამხანაგობის მონაწილეები შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები. ამასთან, ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში დაუშვებელია ამხანაგობის მონაწილის შეცვლა ან დამატება. აღსანიშნავია, რომ დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება.

გარდა ამისა, სატენდერო წინადადების წარდგენისთვის საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონით გათვალისწინებული მინიმალური ვადები ნაკლები იყო ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ელექტრონული შესყიდვას 20 დღე ეთმობა, ხოლო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში

⁷⁸ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

პროცედურები 10 დღემდე გრძელდებოდა.⁷⁹ შეზღუდული ვადები გარკვეულწილად ხელს უშლიდათ კომპანიებს დროულად მოემზადებინათ სატენდერო შეთავაზებები, რაც ხშირ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდავ ფაქტორადაც გვევლინებოდა. როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაციული რესურსი შედარებით მცირეა იმისათვის, რათა, განსაკუთრებით არასტანდარტული შესყიდვის ობიექტის შემთხვევაში, სატენდერო წინადადებების შემუშავება განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში. გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოებს, შესაძლებელია, სჭირდებოდეთ ერთგვარი კოოპერაცია (მაგალითად, ამხანაგობის შექმნა და ტენდერში ამხანაგობის ფორმით მონაწილეობის მიღება), რაც თავისთავად გარკვეულ დროს საჭიროებს. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული გარემოებები და განსაკუთრებით რთული სპეციფიკის შესყიდვის ობიექტის და/ან მოცულობითი ტენდერის შემთხვევაში განსაზღვრონ ტენდერის მიმდინარეობის ადეკვატური ვადები. ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ვადები მხოლოდ მარტივი, სტანდარტიზირებული შესყიდვის ობიექტის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი მიმწოდებლების მხრიდან სატენდერო წინადადებების შემუშავებისათვის.⁸⁰ კანონმდებლობის ჰარმონიზაციიდან გამომდინარე, დღეისათვის სატენდერო წინადადების წარდგენისათვის დადგენილი მინიმალური ვადები გაიზარდა და დარეგულირებულია შესყიდვის ობიექტიდან და მისი ღირებულებიდან გამომდინარე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადებების ხარისხიან მომზადებაზე. აღნიშნული საშუალებას აძლევს კომპანიებს შეაფასონ ტენდერი და უკეთ გაანალიზონ საკუთარი შესაძლებლობები.

ამასთან, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვის ხასიათისა და სირთულის მიუხედავად, გამარჯვებული პრეტენდენტის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად ფასის არსებობა. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კონკურსი, რა დროსაც აქცენტი შემსყიდველის მიერ წინასწარ დადგენილ

⁷⁹Public Procurement in EU Member States – The Regulation of Contract Below the EU Thresholds and in Areas not Covered by the Detailed Rules of the EU Directives, Sigma Paper No. 45, May 2010

⁸⁰ მეთოდური მითითებები მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

კრიტიკიუმებზე კეთდებოდა. შესაბამისად, არ არსებობდა ისეთი ტიპის შესყიდვის საშუალება, სადაც გამარჯვებული პრეტენდენტი ფასისა და ხარისხის თანაფარდობის შეფასებით გახდებოდა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გატარდა შესაბამისი ღონისძიება და დღეისათვის შესყიდვის ერთ-ერთ საშუალებად ორეტაპიანი ტენდერი გვევლინება. ორეტაპიანი ტენდერი მოიცავს შესყიდვის ორ უმთავრეს ძირითად კომპონენტს – ფასსა და ხარისხს. შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებულად ვლინდება ის კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი, შესაბამისი ღირებულების შესყიდვის ობიექტის მიწოდებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში არ იყო აღნიშნული თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპები. აღსანიშნავია, რომ თანასწორი მოპყრობის პრინციპი არის ევროკავშირის ერთ-ერთი საწყისი სამართლებრივი პრინციპი, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებების ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებას. თანასწორი მოპყრობის პრინციპი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გულისხმობს, პრეტენდენტების თანაბარ პირობებში ჩაყენებას, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს, რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება. პროპორციულობის პრინციპი გულისხმობს საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსებას, რომლის დროსაც, უფლების შეზღუდვა შესაბამისი მიზნის მიღწევის პროპორციული უნდა იყოს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, სატენდერო დოკუმენტაციით ტენდერში მონაწილეობის მსურველს მოთხოვოს იმაზე მეტი გამოცდილება, ვიდრე აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში.⁸¹ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის მოქმედ კანონის მიზნებს, როგორცაა რაციონალური ხარჯვა, ჯანსაღი კონკურენცია, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, საჯაროობა, სისტემის შექმნა და საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება, 2017 წლის 19 ივლისიდან დაემატა პროპორციულობა და თანასწორობა და გაუქმდა სამართლიანობის პრინციპი.

⁸¹ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციებს არ გააჩნდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ შესყიდვის პროცედურა პრეკვალიფიკაციით, რა დროსაც ტენდერში მოწვეული იქნებოდა პრეტენდენტების შეზღუდული რაოდენობა. შესაბამისი ცვლილებების შედეგად შესყიდვის ერთ-ერთ საშუალებას ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით (TEP) წარმოადგენს, რაც გულისხმობს ელექტრონული ვაჭრობისათვის დამატებით რაუნდებში მხოლოდ იმ პრეტენდენტთა დაშვებას, რომელთა ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა შეესაბამება სატენდერო პირობებს.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებისა და საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი ჰარმონიზაციისა, დღეისათვის კვლავ რჩება საკითხები, რომელებიც დგას ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის დღის წესრიგში. მაგალითად, დღევანდელი კანონმდებლობით, ჩარჩო ხელშეკრულების კონცეფცია არ რეგულირდება ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ჩარჩო ხელშეკრულების შემუშავების ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს მის მოქნილობაში საქონლის ან მომსახურების შესყიდვასთან მიმართებაში. ჩარჩო ხელშეკრულების დადება შეიძლება ერთი ან ერთზე მეტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ერთ ან ერთზე მეტ ეკონომიკურ ოპერატორთან, დროის შედარების ხანგრძლივი პერიოდით, ზოგადი წესის თანახმად, როგორც წესი, ოთხ წლამდე ვადით. უნდა მოხდეს შემსყიდველი ორგანიზაციების წახალისება, რათა განახორციელონ ხელშეკრულებების ლოტებად დაყოფა, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების სახელმწიფო შესყიდვებში მეტ ჩართულობას. დასადგენია წინასწარ საბაზრო კონსულტაციებთან და წინასწარ ჩართულობასთან დაკავშირებული წესები, რაც შემსყიდველ ორგანიზაციებს ბაზართან თანამშრომლობის შესაძლებლობას მისცემს, რათა მათ ბაზრიდან შეაგროვონ ინფორმაცია შესყიდვის მომზადების მიზნით. უნდა დაინერგოს გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის დამატებითი კრიტერიუმი. კერძოდ, დანახარჯი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით და ამ კრიტერიუმთან დაკავშირებული წესები, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, რომ მხედველობაში მიიღოს პროდუქტის, მომსახურების ან

სამუშაოს სრულ სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული ხარჯები, გარემოსდაცვითი გარე ფაქტორების გათვალისწინების ჩათვლით და არა მხოლოდ შესყიდვის ფასის გათვალისწინებით. ამასთან, კანონი არ შეიცავს კონკრეტულ სამართლებრივ რეგულაციებს სამშენებლო სამუშაოების, მომსახურების ან საქონლის სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციაში გარემოსდაცვითი მახასიათებლების მითითების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.⁸² იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობის ეტაპობრივი ჰარმონიზაცია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების განვითარების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, საკანონმდებლო ბაზა მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ქვეყანა შეუფერხებლად ასრულებს შეთანხმების საფუძველზე არსებულ ნაკისრ ვალდებულებებს.

⁸²სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა

1.3 სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში

სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისათვის. გარდა იმისა, რომ განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო სახსრების რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ზრდა, კერძო სექტორში კონკურენციის განვითარება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათი შემოსავლების ზრდას.⁸³ საქართველოში სახელმწიფოს მიერ შესყიდვებში დახარჯული თანხა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 12 %-ს შეადგენს.⁸⁴ სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი გამოყენება სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციების შესრულების მექანიზმს წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას ადეკვატური ფისკალური პოლიტიკის გატარება წარმოადგენს.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რადგან უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატება უმუშევრობის დონის შემცირების საწინდარს წარმოადგენს. გარდა ამისა, ფორმირდება კონკურენტული საბაზრო ურთიერთობები და სახელმწიფოს მიერ შესყიდულ საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე ხარისხის მაჩვენებელი იზრდება.⁸⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებებს უდაოა ბევრი განზომილება აქვს. გარდა იმისა, რომ იგი უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობას, ამასთან მიზნად ისახავს კარგი მმართველობის პრაქტიკის გაძლიერებას. შესყიდვების განხორციელების პროცესში კონკურენციის გაძლიერებას შეუძლია ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსური

⁸³ მეძმარიაშვილი თ., სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ახალი ეკონომისტი №3, თბილისი 2017

⁸⁴ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

⁸⁵ Лымарь Е. Н., ЭФФЕКТИВНОСТЬ ГОСУДАРСТВЕННОЙ ПОДДЕРЖКИ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА КАК УЧАСТНИКОВ РЫНКОВ С МОНОПОЛИСТИЧЕСКОЙ КОНКУРЕНЦИЕЙ, Вестник Челябинского государственного университета. 2012. № 10 (264), Экономика. Вып. 38. С. 95–101

რესურსების ეფექტიან ხარჯვას და უზრუნველყოს შესყიდვების სისტემის საერთაშორისო დონეზე ინტეგრაციას.⁸⁶ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ორგანიზაციული სტრუქტურებით, მმართველობის ფორმებით, ნომატიული, სამართლებრივი და ფინანსური მიდგომებითა და კულტურით.⁸⁷ ფინანსური კრიზისა და ეკონომიკური რესურსების სიმცირის გამო ბევრი ქვეყნის დღის წესრიგში სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანი სისტემის შექმნის საკითხი დგას და განიხილება როგორც საჯარო ფინანსური რესურსების ეკონომიის საშუალება. ამ მიზნის მიღწევის გზას შესაფერისი შესყიდვების ორგანიზაციული სტრუქტურის განხორციელება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან სტრატეგიას სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ცენტრალიზება ან დეცენტრალიზება წარმოადგენს. ცენტრალიზების შემთხვევაში არსებობს ცენტრალური ორგანო რომელიც პასუხისმგებელია შესყიდვების საქმიანობის პროცესში (კონტრაქტორების შერჩევა, ბაზრის მოკვლევა, პირობებისა და მოთხოვნების დადგენა, გადაწყვეტილების მიღება) და შესყიდვის ობიექტს საბოლოოდ მომთხოვნ მომხმარებელს აძლევს, ხოლო დეცენტრალიზებულ სისტემაში ადგილობრივი ერთეულები დამოუკიდებლად ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს. ხშირ შემთხვევაში ქვეყნები საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ახორციელებენ შესაბამის რეფორმებს ყველაზე შესაფერისი და ოპტიმალური სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესარჩევად.⁸⁸ ორივე მეთოდი სარგებლობს შესაბამისი უპირატესობებითა და დადებითი შედეგით. თუმცა უშუალოდ არჩევანს მიდგომასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მმართველობითი რგოლი აკეთებს და ქვეყანაში შესაბამისი პოლიტიკა ტარდება.

⁸⁶ Anderson R. D., Pelletier P., Osei-Lah K., Assessing the Value of Future Accessions to the WTO Agreement on Government Procurement (GPA): Some New Data Sources, Provisional Estimates, and an Evaluative Framework for Individual WTO members Considering Accession, World Trade Organization (WTO), October 2011

⁸⁷ EL-Gayed Y., The influencing Factors of Public Procurement Policy Development; The Case of Libya, PhD thesis, 2013

⁸⁸ Baldi S., Vannoni D., The Impact of Centralization, Corruption and Institutional Quality on Procurement Prices: An Application to Pharmaceutical Purchasing in Italy, Carlo Alberto Notebooks No. 379, ISSN 2279-9362, December 2014

სახელმწიფო შესყიდვების კომპონენტი მოიცავს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის ნაწილს. ცენტრალური მმართველობის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესყიდვების ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიმართულებას, რადგან სახელმწიფო შესყიდვები მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.⁸⁹ აღსანიშნავია, რომ შემსყიდველების ბაზარი აერთიანებს მრავალრიცხოვანი საჯარო მმართველობების – სახელმწიფო უწყებებს, ქვეყნის საბჭოებს, მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალური მთავრობების მიერ შესყიდვის გადაწყვეტილებებს. ცენტრალიზირებული მთავრობებიც კი სხვადასხვა სააგენტოებისგან შედგება და თითოეული დამოუკიდებელია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აქედან გამომდინარე, საჯარო სექტორის შემსყიდველის პოტენციალის სრული გამოყენება შესაძლოა ითხოვდეს კოორდინაციას და მოთხოვნების სტანდარტიზაციას.⁹⁰ შესაბამისად, მიზანშეწონილია ყველა ქვეყანაში არსებული შესაძლებლობების გამოყენების მიზნით ჩამოყალიბდეს მოთხოვნების მაქსიმალურად სტანდარტულ ჩარჩოში ჩასმა, რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს სახელმწიფოს განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი კანონმდებლობით რეგულირდება, განხორციელება ხშირ შემთხვევაში დეცენტრალიზებულად ხდება, რაც შემსყიდველ ორგანიზაციებს დიდ თავისუფლებასა და არჩევანს აძლევს თავად განსაზღვრონ როგორ შეიმუშაონ სატენდერო მოთხოვნები და განსაზღვრონ გარემოსდაცვითი თუ სხვა შეფასების კრიტერიუმები.⁹¹ ტენდერების გამოცხადებისას შემსყიდველი ორგანიზაციები თავისუფალნი არიან არჩევანში და განსაზღვრავენ იმ კრიტერიუმებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერში მონაწილე კომპანია, მაგალითად ხარისხის მაჩვენებელი, თანამშრომლების გამოცდილება და ა.შ.⁹²

⁸⁹ Appelt S., Galindo-Rueda S., Measuring the Link between Public Procurement and Innovation, OECD Science, Technology and Industri Working Paper, March 2016

⁹⁰ Stroembaeck E., The Role of Buyer Power in Public Procurement Auctions: An Empirical Analysis, Manuskriptet tidigare publicerat I se: Umea Economic Studies, №913, August 2015

⁹¹ Lundberg S., Marklund P. O., Stroembaeck E., Sundstroem D., Using public procurement to implement environmental policy: an empirical analysis, Environmental Economics and Policy Studies, October 2015, Volume 17, Issue 4, pp 487–520

⁹² Sundstroem D., The Competition Effect in a Public Procurement Model: An error in variables approach, Umeå University, Department of Economics, Jun 2016

სახელმწიფო შესყიდვებში პროდუქტის ღირებულება დომინანტ კრიტერიუმად გვევლინება, თუმცა განხორციელების პროცესის ეტაპზე ერთვება სხვა ასპექტები, როგორცაა ხარისხი გამოცდილება და ტექნიკური მახასიათებლები.⁹³ მიზანშეწონილია შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი ცალკეული შესყიდვისას ობიექტურად განსაზღვრონ ის კრიტერიუმები, რომლითაც სატენდერო პროცედურების წარმოებისას მონაწილე პრეტენდენტებს შეაფასებენ.

სპეციფიკაციებთან მიმართებით, თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები გულისხმობს, რომ სპეციფიკაციები საჭიროა განისაზღვროს ნეიტრალურად - სპეციფიკაციები საჭიროა თანაბარ მდგომარეობაში აყენებდნენ ნებისმიერ მიმწოდებელს, რომელსაც შეუძლია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება. გამომდინარე აქედან, დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორცაა „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ტენდერში მონაწილეობის მიღებას შეძლებს მიმწოდებელი, რომლის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტი ტექნიკური და/ან ფუნქციონალური თვალსაზრისით აღწერილი შესყიდვის ობიექტის სრულყოფილი ალტერნატივაა.⁹⁴ ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების პროცესი რამდენიმე ნაბიჯს მოიცავს და ძირითად ეტაპებზე შესაძლებელია ინტეგრირდეს ეკოლოგიური და სოციალური კრიტერიუმები.

სატენდერო პროცედურების წარმოებისას, პირველ რიგში, შემსყიდველი აფასებს საჭიროებებს და განსაზღვრავს შესყიდვის ობიექტს. შესყიდვის ობიექტი განისაზღვრის შემდგომ ყალიბდება იმ ტექნიკური სპეციფიკაციის შესახებ მოთხოვნები, რასაც ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს. ეს მოთხოვნები

⁹³ Sustainable Public Procurement: A Global Review, United Nations Environment Programme, 2013

⁹⁴ „სასარგებლო რჩევები შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების (სპეციფიკაციების) შემუშავებისათვის“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

სავალდებულოა და შესაბამისად მათ აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი გამორიცხვა. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლებზე წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნები ემსახურება:

- მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების;
- ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების;
- სანდოობის შეფასების მიზანს.⁹⁵

ყოველი ცალკეული მოთხოვნის წაყენებისას აუცილებელია, დაცული იქნას პროპორციულობის, თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპები, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნების ნეიტრალურად და შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობის და მიწოდების ვადის გათვალისწინებით პროპორციულად განსაზღვრას.⁹⁶ მიმწოდებელი ტექნიკურად მცოდნეა, თუ ის ფართოდ ფლობს საწარმოო პროცესების თანამედროვე მეთოდებს და გააჩნია პროექტის შესრულებისათვის საჭირო პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია და გამოცდილება. ობიექტურობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვა მოითხოვს იმ საჭირო ტექნიკური ცოდნის და გამოცდილების მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისათვის. როგორც წესი, ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების მატარებელს წარმოადგენს არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის/გამოცდილების მქონე პერსონალი. შესაბამისად, ტექნიკური ცოდნის შეფასებისათვის, საჭიროა მიმწოდებელს მოეთხოვოს ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების არსებობის დასაბუთება ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებაში.⁹⁷ აღსანიშნავია, რომ ტექნიკური ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაციების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ევროკავშირი დადებითად მოიხსენიებს ლატვიის

⁹⁵ Directive 2014/24/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014, on public procurement and repealing Directive 2004/18/EC, Official Journal of the European Union, L 94/65, 2014

⁹⁶ მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

⁹⁷ European Code of Best Practices Facilitating Access by SMEs to Public Procurement Contracts, Commission Staff Working Document, Commission of the European Communities, Brussels, 25.6.2008, SEC (2008) 2193, 2008

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილ უნდა იქნას არა საწარმოს, არამედ პასუხისმგებელი პირების გამოცდილება.

ტენდერში შეთავაზებების შესაფასებლად საჭიროა იმ კრიტერიუმების განსაზღვრა პრეტენდენტების მიმართ, რითიც დასტურდება მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. სატენდერო პროცედურების პრაქტიკაში განხორციელებისას სპეციფიკაციების პირველი პროექტის შემუშავება შესყიდვების ინდივიდუალური დაგეგმვის ფარგლებში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ სპეციფიკაციების პირველი პროექტი ეფუძნება მხარჯავი დეპარტამენტების/ტექნიკური პერსონალის გამოცდილებას. შესაძლებელია, რომ სპეციფიკაციების პირველი პროექტი შეიცვალოს კიდევ, მიწოდების ბაზრის კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის და/ან პოტენციურ მიმწოდებლებთან ღია კარის დღეების წარმართვის შედეგებიდან გამომდინარე შესყიდვის ობიექტის შესაძლო ალტერნატივების და ინოვაციების გათვალისწინებით. ცვლილებების შემთხვევაში, თუ ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე პასუხისმგებელი დანაყოფი და შესყიდვის ობიექტის მომხმარებელი დანაყოფი სხვადასხვაა, სპეციფიკაციების შემუშავების დროს მნიშვნელოვანია, რომ სპეციფიკაციების გაწერაზე პასუხისმგებელმა პირმა შეათანხმოს ცვლილებები შესყიდვის ობიექტის საბოლოო მომხმარებელ დანაყოფთან და/ან პროექტის მენეჯერთან და მიიღოს დასტური შესყიდვის განხორციელებაზე. მნიშვნელოვან ეტაპს სპეციფიკაციების ცვლილებების მართვა განეკუთვნება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა შესყიდვების ბოლო ეტაპზე, რომელსაც წარმართული შესყიდვების ანალიზი/თვითშეფასება განეკუთვნება, კრიტიკულად გაანალიზოს, თუ რამდენად შესაბამისობაში აღმოჩნდა შესყიდული ობიექტი მხარჯავი დეპარტამენტის/პროექტის მენეჯერის მოლოდინთან. შეუსაბამობის შემთხვევაში, საჭიროა შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელოს სათანადო ცვლილებები და მოახდინოს განახლებული სპეციფიკაციების არქივირება მათი გამოყენების მიზნით მომავალი შესყიდვის ფარგლებში.⁹⁸ სპეციფიკაციების

⁹⁸ მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

შემუშავების ტიპური ეტაპების თვალსაჩინოდ სანახავად იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი 1.3.1.

ცხრილი 1.3.1.

| სპეციფიკაციების შემუშავების ტიპური ეტაპები | | |
|--|----------|---|
| სპეციფიკაციის შემუშავების ფაზა | ნაბიჯი 1 | დაგეგმვა და ანალიზი |
| | ნაბიჯი 2 | კონსულტირება, ინფორმაციის შეგროვება |
| | ნაბიჯი 3 | სპეციფიკაციების შემუშავება |
| | ნაბიჯი 4 | კორექტურების განხორციელება და დასტურის მიღება |
| სპეციფიკაციის განვითარების ფაზა | ნაბიჯი 5 | სპეციფიკაციების გათვალისწინება სატენდერო დოკუმენტაციაში |
| | ნაბიჯი 6 | ცვლილებების განხორციელების მართვა |
| | ნაბიჯი 7 | ცვლილებების განხორციელება, შენახვა |

წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

შემსყიდველი ორგანიზაცია ფასის, ტენდერით განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნებისა და კრიტერიუმების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღება შეიძლება დამოკიდებული იყოს უმცირეს ღირებულებაზე

ან ეკონომიკურად მომგებიანი წინადადების განსაზღვრაზე, ეს უკანასკნელი იძლევა საშუალებას შეფასებისთვის განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები, როგორცაა ხარისხი, სიცოცხლის ციკლი, ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრულია ევროკავშირის შესყიდვების დირექტივებით.⁹⁹ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების სამართლებრივი რეგულირება იწყება საჭიროებების ფორმირებით, მოთხოვნების განსაზღვრით, სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსებით და სრულდება დადგენილი ნორმების შესაბამისად ხელშეკრულებების შესრულებით.¹⁰⁰ ხელშეკრულების განსაზღვრული დირექტივები ხელს უწყობს მხარეების მიერ წინასწარ გაანგარიშებული იყოს შესყიდვის ობიექტის რეალიზაციასთან და განხორციელებასთან არსებული დანახარჯები.¹⁰¹ ინსტიტუციური მოსაზრებების მიხედვით გაცვლითი ურთიერთობების საკვანძო მექანიზმს ხელშეკრულება წარმოადგენს.¹⁰² აქედან გამომდინარე ხელშეკრულების ეკონომიკური არსი ორგვარია: ეს არის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ფორმალური ინსტიტუტების მიერ დადგენილ ნორმებს და ინსტიტუტს, რომელიც ამაგრებს ორგანიზაციულ ქმედებებს მატერიალური და არამატერიალური საქონლის გაცლის პროცესში, ანუ წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების მიზნების რეალიზაციის მექანიზმს.¹⁰³ შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სატენდერო მოთხოვნებისა და შემდეგ უკვე ხელშეკრულების გაფორმების საკითხს, სადაც ორივე მხარის ინტერესები თანაბრად იქნება განსაზღვრული. სახელმწიფო დაკვეთები და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ქვეყნისა და ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობის საშუალებას წარმოადგენს. ურთიერთთანამშრომლობისას სახელმწიფოს დომინანტურ ინტერესებს სახელმწიფოს საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს მიღება

⁹⁹ Beuchelt T., Buying green and social from abroad: Are biomass-focused voluntary sustainability standards useful for European public procurement?, ZEF Working Paper Series, Working Paper 156, ISSN 1864-6638, April 2017

¹⁰⁰ Абрегова А. А., ПРОБЛЕМА ОПРЕДЕЛЕНИЯ ПРАВОВОЙ ПРИРОДЫ ГОСУДАРСТВЕННОГО КОНТРАКТА, Известия высших учебных заведений. Поволжский регион № 3 (27), 2013, стр.46-55

¹⁰¹ Буинцева Н.В., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ КАК ИНСТРУМЕНТ СТИМУЛИРОВАНИЯ ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ В РОССИИ, Вестник Иркутского государственного технического университета №10 (105), 2015, стр. 212-216

¹⁰² Олейник А.Н., Институциональная экономика. М.: ИНФРА-М, 2000

¹⁰³ Спицына Л.Ю., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ КАК МЕХАНИЗМ СТИМУЛИРОВАНИЯ ПРОИЗВОДСТВА ИННОВАЦИОННЫХ ТОВАРОВ, РАБОТ И УСЛУГ, Вестник науки Сибири № 4 (5), 2012

წარმოადგენს, თუმცა ამ შემთხვევაში მიმწოდებლის ინტერესებიც ჰარმონიულად უნდა ეწყობოდეს.¹⁰⁴ დაუშვებელია სახელმწიფომ შეზღუდოს ბიზნეს სუბიექტები და ხელი შეუშალოს მათ განვითარებას ან რაიმე სახით კაბალური პირობები დაუწესოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი სახელმწიფო შესყიდვების ფორმირების საკითხს, რომელიც მორგებული იქნება როგორც შემსყიდველების, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჩართულ კერძო სუბიექტების ინტერესებზე. საბაზისო საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ იცვლება შესყიდვის სახეობების ან პროცედურების განხორციელების მეთოდების მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებას ეფუძნება. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციები ითხოვენ კომპანიების ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, რითიც დაასაბუთებენ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას.¹⁰⁵ სახელმწიფო შესყიდვები ბუნებით მრავალდონიანია და საჯარო დაწესებულებებში ხდება გამიჯვნა კონკრეტულად ვინ ახორციელებს შესყიდვებს და ამასთან, ვინ ატარებს შესაბამის პოლიტიკას.¹⁰⁶ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დანერგილმა ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო ტენდერებში ბიზნეს ორგანიზაციების და საწარმოების მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და ელექტრონული პლატფორმის სრული პოტენციალის გამოყენებისათვის, საჭიროა შემსყიდველ ორგანიზაციებს ჩამოუყალიბდეთ სათანადო ცოდნა, განწყობა და უნარ-ჩვევები სახელმწიფო ტენდერებში ბიზნეს-საწარმოთა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის. შემსყიდველი ორგანიზაციები უნდა ათვითცნობიერებდნენ, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ბიზნესმენტა თუ ინდემწარმეთა ფართო ჩართულობა მიგვიყვანს გაზრდილ კონკურენციამდე, რაც

¹⁰⁴ Белокрылов К. А., Контрактный механизм экономического взаимодействия государства и бизнеса как фактор предупреждения оппортунистического поведения, Диссертация, 2009

¹⁰⁵ Vyklicky M., Man P., Heidt R. F., Jurcik R., Qualification Requirements for Foreign Supplies in Public Procurement – Evidence from The Czech Republic, Danube: Law and Economics Review, 7 (1), 2016, p. 19-39

¹⁰⁶ Edquist C., Vonortas N., Zabala-Iturriagoitia J. M., Edler J., Public Procurement for Innovation, Edward Elgar Publishing, USA 2015

თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს მიღწეულ იქნას ფასისა და ხარისხის ოპტიმალური შეფარდება.¹⁰⁷ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ნებისმიერ დონეზე ხელს უწყობს კონკურენციისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარების აქტუალურ პრობლემას სახელმწიფო ფინანსური რესურსების ყველაზე ეფექტური და რაციონალური ხარჯვის ოპტიმალური ორგანიზაციული პირობების შექმნა წარმოადგენს.¹⁰⁸ სახელმწიფო შესყიდვები ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. ამასთან, უზრუნველყოს კონკურენტული გარემოს ფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების სფერო გამართული სამართლებრივი ბაზით.¹⁰⁹ შესაბამისად, უკიდურესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის საკითხსა და მეთოდებს.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში სახელმწიფოსა და ბიზნესის შუალედურ რგოლს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ აწარმოებს საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემურ შესწავლასა და ანალიზს. აღნიშნულ საქმიანობაზე დაყრდნობით, სააგენტო ეწევა საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებას შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, შესყიდვების პროცესის კომპლექსური გაუმჯობესების მიზნით.¹¹⁰ სააგენტოს თავმჯდომარეს

¹⁰⁷ შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

¹⁰⁸ Гушин А. Ю., Государственный заказ как форма государственного регулирования и поддержки предпринимательской деятельности тема диссертации и автореферата по ВАК 08.00.05, 2013

¹⁰⁹ მეძმარიაშვილი თ., სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ახალი ეკონომისტი №3, თბილისი 2017

¹¹⁰ შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია

თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააგენტოს ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება:

- ⇒ სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;
- ⇒ შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- ⇒ სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლო-მეთოდური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;
- ⇒ შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სრულყოფა და მასზე ზედამხედველობა;
- ⇒ შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;
- ⇒ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებათა შესყიდვების სისტემაში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;
- ⇒ შესყიდვების საჯაროობისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და სპეციალური სახელმძღვანელო ბიულეტენის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ⇒ შესყიდვების დროს წარმოქმნილი დავის განხილვა;
- ⇒ შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ⇒ შავი სიის წარმოება;
- ⇒ თეთრი სიის წარმოება;

- ⇒ განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველის წერილობითი მომართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება ან/და კლასიფიკატორში ინტეგრირება;
- ⇒ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეწყობის დაყოფილი ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.¹¹¹

სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და შესაბამისად სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კანონით განსაზღვრული ვალდებულება აქვს კონტროლი გაუწიოს შესყიდვების პროცესს, სადაც ერთ მხარედ სწორედ სამთავრობო უწყებები გველინება, რომელთა წინაშეც ანგარიშვალდებულია სააგენტო. შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია ხელმძღვანელს ირჩევდეს პარლამენტი, რაც მას და მასზე დაქვემდებარებულ უწყებას მეტ ლეგიტიმაციას მიანიჭებს.¹¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მთავარ ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის გატარების პროცესში, რაც მის როლს მეტად ზრდის.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები 2010 წლამდე ხორციელდებოდა ქაღალდური წესით და დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა 2010 წლის 1 დეკემბრიდან ჩამოყალიბდა. სათანადო გამჭვირვალობის არარსებობის გამო ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მიდგომებსა და კორუფციას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო, მაღალი ხარჯი ტენდერებში მონაწილეობისა და ტერიტორიული უთანასწორობა ზღუდავდა კონკურენციას. ყველა სატენდერო პროცედურა ქაღალდის საშუალებით ხორციელდებოდა. შედეგად, 2011 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დაახლოებით 20 მილიონი ქაღალდის დოკუმენტი დაგროვდა, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება და

¹¹¹საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

¹¹²გაფრინდაშვილი გ., შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015

ანალიზი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.¹¹³ შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიმართ დაბალი იყო, რასაც ემატებოდა ინფორმაციის შეზღუდვა, ტენდერში მონაწილეობის მაღალი ხარჯი და დროის მოთხოვნების არაადეკვატურობა.¹¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შექმნა, დანერგვა და მართვა სააგენტოს დაევადა, რომელმაც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის პროგრამული შემუშავება. საქართველო მსოფლიო მეთრე ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სრულად გაუქმდა ე.წ. ქაღალდის ტენდერები და 2010 წელს უკიდურესად მოკლე ვადაში დაინერგა 100% ელექტრონული ტენდერების სისტემა. აღნიშნული რეფორმა ხუთი მარტივი მიზნის მიღწევას ითვალისწინებდა:

1. გამჭირვალობა – აუცილებელი იყო სახელმწიფო სახსრების ხარჯვის გამჭირვალობის უზრუნველყოფა, რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ინფორმაცია, თუ რაში და რა ოდენობით იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
2. არადისკრიმინაციულობა – საჭირო იყო ისეთი პროცედურების შემოღება, რომელიც ყველა მიმწოდებელს თანაბარ პირობებში ჩააყენებდა შესყიდვებში მონაწილეობის დროს და გამორიცხავდა დისკრიმინაციული მიდგომის შესაძლებლობას. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო, რადგან არსებობდა სხვადასხვა სახის ფაქტორები, მაგალითად გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა იმ კომპანიებს, რომლებიც შედარებით ახლოს მდებარეობდნენ შემსყიდველი ორგანიზაციის ადგილსამყოფელთან;
3. სამართლიანი შერჩევა – ასევე რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ ფაქტორის გამო, უსამართლოდ ხდებოდა მიმწოდებლების დისკვალიფიკაცია ტენდერიდან მათთვის დაბალი ქულის დაწერის გზით, რასაც ხელს უწყობდა შეფასების საკმაოდ სუბიექტური და არაგამჭირვალე სისტემა;

¹¹³სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2011 წლის ანგარიში

¹¹⁴კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრატეგიული გეგმა, Policy and Management Consulting Group (PMcG) მაისი 2013

4. გამარტივებული პროცედურები – ქაღალდის ტენდერებში მონაწილეობა საკმაოდ რთულ პროცედურებთან, დროისა და მატერიალური რესურსების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული, რაც ტენდერში მონაწილეობის სურვილს უკარგავდა არაერთ კომპანიას. პროცედურების გამარტივება და ადმინისტრაციული ბარიერების მოსპობა აუცილებელი იყო;
5. ქაღალდებისგან თავის დაღწევა – სააგენტოში წარდგენილი ქაღალდის დოკუმენტაცია არა მხოლოდ არაეფექტური და არასანდო ინფორმაციის წყარო იყო, არამედ ამ დოკუმენტაციის დამუშავება და საჭირო ინფორმაციის მიღება საკმაოდ რთული და დროში გაწვდილი პროცესი იყო. პრობლემატური იყო ასევე ქაღალდზე მიღებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა (მოძიება, დამუშავება, ასლის გადაღება და ა.შ.).¹¹⁵


დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა გამოირჩევა მაქსიმალური გამჭვირვალობით. სისტემით სარგებლობა შეუძლია შემსყიდველს, მიმწოდებელს და სტუმრის სტატუსით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თუმცა სისტემაში წინასწარი რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველებისა და მიმწოდებლებისათვის.¹¹⁶ ამასთან, სისტემით სარგებლობა სტუმრის სტატუსით შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მსოფლიოს მასშტაბით, ამასთან სისტემა სამენოვანია და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. აღნიშნული ხელს უწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიების ჩართულობას, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს, როგორც სისტემის ღიაობის ასევე ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების მიმართულებით. თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარებას და საზოგადოების დამოკიდებულებისა და შეხედულების შეცვლას. ელექტრონული შესყიდვების სისტემამ გაზარდა შესყიდვების პროცესის ეფექტურობა და დღეისათვის იზოგება, როგორც

¹¹⁵სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2011 წლის ანგარიში

¹¹⁶სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, თბილისი 2016, გვერსია 5.02

შემსყიდველის, ასევე პოტენციური მიმწოდებელი ორგანიზაციების ფინანსური, ადამიანური და დროითი რესურსები.¹¹⁷ აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი და სულ უფრო მეტი ორგანიზაცია რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (იხ. დიაგრამა 1.3.1).

დიაგრამა 1.3.1



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

2017 წელს სახელმწიფო სფეროში კვლავ დიდი აქტიურობით გამოიჩინა კერძო სექტორი და წლის მანძილზე სისტემაში ჯამში 4 106 ახალი მიმწოდებელი დარეგისტრირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015

¹¹⁷მემარიაშვილი თ, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი სახელმწიფო შესყიდვების ფორმირებაში (საქართველოს მაგალითზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ შრომების კრებული, თბილისი 2015, გვ. 229-233

წლისთვის ფიქსირდება დაახლოებით 160 000 აქტიური ეკონომიკური ოპერატორი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას ღებულობს დაახლოებით 15,6%.¹¹⁸ 2016 წელს სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობამ 1 123-ს მიაღწია, რაც წინა წლის ამავე მაჩვენებელს 60%-ით აღემატება. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ღია და ხელმისაწვდომია ყველა საერთაშორისო ეკონომიკური სუბიექტისათვის.¹¹⁹ უცხოური კომპანიების ჩართულობა ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის განვითარებასა და უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას. შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სექტორის სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესების საკითხს, რადგან სახელმწიფო შესყიდვები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში. გამომდინარე აქედან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების მაქსიმალური ჩართულობა და დაინტერესება შესყიდვების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და კომპანიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.¹²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს მიმწოდებელი კომპანიების შავ და თეთრ სიას. თეთრი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებული მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონითა და შესაბამისი წესით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი სარგებლობს გარკვეული უპირატესობებით სხვა პრეტენდენტებთან შედარებით, კერძოდ:

- თავისუფლდება სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულებისაგან, იმისდა მიუხედავად,

¹¹⁸სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2015 წლის საქმიანობის ანგარიში

¹¹⁹სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

¹²⁰ მექმარიაშვილი თ., სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ახალი ეკონომისტი №3, თბილისი 2017

ითვალისწინებს თუ არა სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნას;

- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

გარდა ამისა, თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სრულად გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.¹²¹

შავი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს შავ სიაში დარეგისტრირებიდან ერთი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება. ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო. ამასთან, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი. კონსოლიდირებული ტენდერის

¹²¹ „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანება

შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:

- ⇒ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია კონსოლიდირებული ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;
- ⇒ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტმა, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
- ⇒ შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ის დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის გამო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის თაობაზე;
- ⇒ შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება ამ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მასთან დადებული ხელშეკრულებების ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტის თაობაზე.¹²²

სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და კერძო სუბიექტების მიერ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციებისა და კერძო სუბიექტების დამაკავშირებლად გვევლინება. ბიზნესმენების წინაშე არსებული პრობლემების სიღრმისეულად განსახილველად 2016 წლიდან დღემდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ თვეში ორჯერ კონკრეტული დარგების მიხედვით შესაბამისი შეხვედრები იმართება. აღნიშნული შეხვედრებიდან გამოიკვეთა ისეთი საკითხები,

¹²² „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება

რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებზე. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ პირგასამტეხლოს ოდენობას და ზოგჯერ კაბალურ პირობებსაც სთავაზობდნენ პოტენციურ მიმწოდებლებს, სააგენტომ გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც განისაზღვრა სხვადასხვა შემთხვევაში პირგასამტეხლოს რეკომენდებული ოდენობა. ამასთან, კომპანიების უკმაყოფილებას ხშირად წარმოადგენდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ საფასურის ანაზღაურების დაგვიანების საკითხი და დღეისათვის შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის გაცემულია რეკომენდაცია ანგარიშსწორების ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში განსახორციელებლად. ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ტენდერში არასრულყოფილი სატენდერო წინადადებების წარდგენა, რითაც სარგებლობდნენ ცალკეული ეკონომიკური აგენტები და დროის მოგების, ან სხვა რაიმე მოტივით ღიად ტოვებდნენ შესავსებ დოკუმენტაციას. ამგვარი პრეცედენტების გამორიცხვის მიზნით, ნორმატიული აქტით განისაზღვრა, რომ დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა. დამატებით, მიმწოდებლები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ იმის თაობაზე, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები არასათანადოდ სცემდნენ პასუხს მათ მიერ „კითხვა-პასუხის“ მოდულში დასმულ კითხვებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნორმატიული აქტით დაწესდა შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება არაორაზროვნად გასცეს პასუხი მიმწოდებელს კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. გარდა ამისა, პრობლემა იჩენდა თავს სახელმწიფო შესყიდვებში სტანდარტების სწორად გამოყენების მიმართულებით, რის საპასუხოდაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციებს აძლევს პრაქტიკულ რჩევებსა

და რეკომენდაციებს სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებები საერთო ჯამში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სატენდერო პროცედურების დახვეწისა და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის მიმართულებით.

თავი II სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე

2.1 კონკურენციის რეგულირების პრინციპები და მეთოდები სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში

საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი კონკურენციის პოლიტიკა უნდა იყოს. ამასთან, ქვეყანამ რომ რეალურად გაატაროს კონკურენციული პოლიტიკა, აუცილებელია მაგრამ არასაკმარისი შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობის არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა არის სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფო ორგანოების მიდგომები და დამოკიდებულება, რომელთაც კანონით ვვალდებთ კონკურენციისა და საკონკურენციო ურთიერთობების ზედამხედველობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით.¹²³ შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი კონკურენციის პოლიტიკის შემუშავება განსაკუთრებით ისეთი მიმართულებით რომელიც უშუალოდ სახელმწიფო ფინანსურ რესურსებს შეეხება. მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის კატეგორია ცენტრალურია, რადგან მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ადგილი და როლი თანამედროვე მსოფლიოში. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება, როგორც თავისუფალი კონკურენციის პირობებში საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლებლობა, რომელიც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რომელთა რეალიზებაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდას.¹²⁴ ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თვითრეგულირების უნარი საკმარისი არ არის სახელმწიფოს

¹²³გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, საგამომცემლო სახლის „ინოვაცია“, თბილისი 2009

¹²⁴ Мальцева О.В. ГОСУДАРСТВЕННАЯ КОНКУРЕНТНАЯ ПОЛИТИКА КАК ФОРМА ПОДДЕРЖКИ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКИХ СТРУКТУР 2011 г.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის დროის მოკლე მონაკვეთში ავტომატურად მიღწევისათვის. ნებისმიერი ქვეყნის განვითარების კონკრეტული ისტორიული ეტაპისათვის ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპის უზრუნველყოფა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეულ ანალიზს, ამ ანალიზზე დაფუძნებული ქმედითი ეკონომიკური (მათ შორის ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის შემუშავებას და მისი რეალიზებისათვის სახელმწიფო ინსტიტუტების მიზანმიმართული ძალისხმევის მუდმივ უზრუნველყოფას საჭიროებს.¹²⁵ ბაზარზე/ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისთვის აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების და მათი ფუნქციების ისე ჩამოყალიბება/შექმნა, რომ არ შეუშალოს ხელი თავისუფალი კონკურენციის განვითარებას. სწორედ სახელმწიფოა ის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია მკვეთრად დააზიანოს ან გააუმჯობესოს კონკურენტული გარემო ეკონომიკაში, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე ან პირიქით, შეფერხებაზე.¹²⁶ შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფალი კონკურენციის განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. დღეისათვის სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ სახელმწიფო საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალებად კი არა ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტად გვევლინება და კონკურენტული უპირატესობების გაზრდას ემსახურება.¹²⁷ სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ ასპექტს სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის გამჭვირვალე და საერთაშორისო დონეზე არსებული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სახელმწიფოებს შესაძლებელია ჰქონდეთ ნორმატიული პირობები ადგილობრივი კომპანიების სასარგებლოდ ან შესაძლებელია დე ფაქტო დისკრიმინაციასაც ახორციელებდნენ უცხოური ორგანიზაციების მიმართ.¹²⁸

¹²⁵ ჭელიძე ლ., ჭელიძე დ., სახელმწიფო შესყიდვების სისტემა – კონკურენტული გარემოს ფორმირების ერთ-ერთი ბერკეტი, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 299-306

¹²⁶ მგელაძე ლ., „შავი“ და „თეთრი სია“ – სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კონკურენციის შემზღვევა თუ წამახალისებელი ფაქტორები, ახალი ეკონომისტი №4, თბილისი 2016, გვ. 69-76

¹²⁷ Шабურიшвили Ш.Т., Государственные закупки как инструмент повышения конкурентных преимуществ национальной экономики, МАТЕРІАЛІ ІІІ Міжнародної науково-практичної конференції, присвяченої 25-річчю Маріупольського державного університету. с. 139-144

¹²⁸ Public Procurement in International Trade, European Parliament, Directorate-General for External Policies – Policy Department, 2012

სახელმწიფო შესყიდვებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზარზე კონკურენტული გარემოს მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საბჭოური ეკონომიკური მოდელის კოლაფსის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერებას ემსახურებოდა.¹²⁹ სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის გახსნის მცდელობისას საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროკავშირი, სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ წვერი ქვეყნების პრაქტიკას საჯარო შესყიდვების მიმართულებით. სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება უმეტესწილად პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებებით. შესაბამისად, გაურკვეველია რამდენად ეფექტანია საერთაშორისო წესები, რომლებიც შესყიდვების მიმართულებით ხელისუფლების ქმედებებს განსაზღვრავს. ამის ერთ-ერთ მიზეზს დისკრიმინაციული სახელმწიფო შესყიდვების საკითხი წარმოადგენს, რომელიც რთული დასადგენია და ართულებს შესყიდვებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების ეფექტიანობის შეფასებას.¹³⁰ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხებს აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად საფუძველი 1992 წლიდან ჩაეყარა.¹³¹ შესაბამისად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გატარებული კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს. მოსაზრება, რომ კონკურენციული კანონმდებლობა ბიზნესის დამაბრკოლებელი მოვლენა იქნება, მცდარია. კონკურენციული კანონმდებლობის არსი ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ ქმედების დაუშვებლობას გულისხმობს.¹³²

¹²⁹ რამაზაშვილი ნ., კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებით, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 208-212

¹³⁰ Rickard S. J., Kono D. Y., Think globally, buy locally: International agreements and government procurement, Springer Science+Business Media, New York 2013

¹³¹ ბედიანაშვილი გ., კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი საქართველოში, ახალი ეკონომისტი №4, თბილისი 2016, გვ. 26-32

¹³² ბედიანაშვილი გ., გოგიაშვილი შ., პავლიაშვილი ს., ევროპული ინტეგრაცია და კონკურენციის ინსტიტუციური ასპექტები, გლობალიზაცია და ბიზნესი, №1 სპეციალური გამოშვება, გვ. 26-34

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კონკურენტუნარიანობა აღარ განიხილება ერთი საწარმოს ან დარგის დონეზე, პირიქით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კვლევას.¹³³ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება პირდაპირპროპორციულად აისახება როგორც აღნიშნული ბაზრის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე (გამომდინარე ბაზრის მასშტაბიდან). საკითხს მგრძობიარობას მატებს ისიც, რომ ბაზარზე მოქმედი შემსყიდველები არიან სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან ორინტირებულნი მოგებაზე. მათზე არ მოქმედებს ეგრეთ წოდებული „უხილავი ხელის“ პრინციპი და არ არის კონკურენტულ მდგომარეობაში სხვა შემსყიდველებთან. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის დაცვას, საქმიანობის გამჭვირვალობას და სიმარტივეს, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული შესაბამისი მარეგულირებელი აქტები.¹³⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ღია საკონკურსო ვაჭრობის განვითარება. სახელმწიფო დაკვეთების საშუალებით ქვეყანა ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე პრიორიტეტული დარგების რეალიზებას ახდენს. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ფართოდაა გავრცელებული კორუფციული პრაქტიკა, რაც როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნების დიდ პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების რეფორმამ და ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო პრეტენდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ზრდას. სახელმწიფო შესყიდვებში საკონკურსო ვაჭრობა ეწეობა საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით დანახარჯების მინიმიზაციისთვის. სამთავრობო (და ბევრი კერძო) მყიდველები და გამყიდველები საკონკურსო ვაჭრობის ფორმას იყენებენ იმიტომ, რომ ისარგებლონ

¹³³ ღალანძე გ., კონკურენტუნარიანობისა და სტრატეგიის ურთიერთკავშირის საკითხები, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო №4, თბილისი 2013, გვ. 59-70

¹³⁴ მგელაძე ლ., კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები საქართველოში, ახალი ეკონომისტი №3, თბილისი 2016, გვ. 56-66

ჯანსაღი კონკურენციის უპირატესობებით საქონლის ყიდვა-გაყიდვისას. ამასთან, როდესაც ისინი მოქმედებენ მყიდველის სტატუსით, სურთ რაც შეიძლება მეტი საქონელი და მომსახურება უფრო დაბალ ფასად მიიღონ, ხოლო როდესაც გამყიდველის პოზიციიდან მოქმედებენ, სურთ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ საქონლის შედარებით მაღალ ფასად გაყიდვით. ამდენად, საკონკურსო წესით ვაჭრობა სხვა არაფერია, თუ არა ჯანსაღ კონკურენციულ გარემოში კონტრაქტის პატიოსნად და კეთილსინდისიერად გადაცემის საშუალება, რომელიც გამორიცხავს ფავორიტიზმს, არაპატიოსან გარიგებებსა და კორუფციას.¹³⁵ შესაბამისად, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სფეროს განვითარების მიმართულებით.


სახელმწიფო შესყიდვების სფეროსადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად და ჯანსაღი კონკურენციის განსავითარებლად 2010 წლის ბოლოს შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ექვსი წევრით და შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპით შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია ამ წესის შესაბამისად, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა კანონით ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.¹³⁶ 2017 წლის 23 დეკემბრის №1945 კანონით ცვლილებები შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში და რეგლამენტირებული იქნა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ინსტიტუციურად ახლებურად მოწყობის საკითხები, მათ შორის, განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის

¹³⁵ გოგიაშვილი შ., ფეტვლავა ს., სახელმწიფო შესყიდვები და კონკურენციის უზრუნველყოფის პირობები, ეკონომიკა და ბიზნესი, მაისი-ივნისი, თბილისი 2014, გვ. 69-86

¹³⁶ „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის №1 ბრძანება

საბჭოს შესაბამისი შემადგენლობა. საბჭოს ახალი შემადგენლობა განიხილავს მხოლოდ იმ ელექტრონულ ტენდერებთან და კონკურსებთან დაკავშირებით შემოტანილ საჩივრებს, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის ღირებულებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს. ამ შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობაში, გარდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 3 და ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი პროფილის 3 წარმომადგენლისა, შედის კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური წრეების შესაბამისი პროფილის 1 წარმომადგენელი.¹³⁷ დაეების განხილვის საბჭოს ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირთა ნდობა, რაც დასტურდება საბჭოში წარდგენილი საჩივრების ყოველწლიურად ზრდადი მაჩვენებლით (იხ. დიაგრამა 2.1.1).

დიაგრამა 2.1.1



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

¹³⁷ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

დავების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება უპროცედენტოდ მოკლე ვადაში 10 სამუშაო დღეში ხორციელდება. ის საკითხი, რომ საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება, გარკვეულწილად ზრდის არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკს და საჭიროა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.¹³⁸ აღსანიშნავია, რომ დავების საბჭოში გასაჩივრება უფასო იყონებისმიერი მსურველისათვის. დღეისათვის მიღებულია სახელმწიფო შესყიდვების გასაჩივრების წესი და შერჩევა-შეფასების ეტაპზე დაინერგა დაინტერესებული პირის ინსტიტუტი, კერძოდ, სატენდერო პირობების გასაჩივრების საშუალება აქვს ნებისმიერ მსურველს და პრეტენდენტს, ხოლო შერჩევა-შეფასებას, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს ის პრეტენდენტი, რომლის უფლებების შეილახა. ამასთან, დაწესდა საჩივრის წარდგენის საფასური, სატენდერო პირობების გასაჩივრება უფასოა, ხოლო შერჩევა-შეფასების ეტაპზე გასაჩივრება ფასიანია და შეადგენს შესყიდვის ობიექტის ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარს, საფასური უკან უბრუნდება მომხივანს, გარდა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევისა. აღნიშნული ცვლილების ძირითად მიზეზს საჩივრების წარდგენით ხელოვნურად გაჭიანურებული სატენდერო პროცედურები წარმოადგენდა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდება დაუსაბუთებელი საჩივრების რიცხვი და გარკვეულწილად აღმოიფხვრება შესყიდვის პროცესის ხელოვნურად და გაჭიანურების საკითხი.


დავების საბჭოს საშუალებით იქმნება მაქსიმალურად ჯანსაღი კონკურენტული გარემო, სადაც აზრისა და შენიშვნის გამოთქმის საშუალება ეძლევა სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. დავების განხილვის საბჭოს გამართული ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფისათვის.¹³⁹ 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების

¹³⁸მეძმარიაშვილი თ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2016, გვ. 39-43

¹³⁹ შაბურიშვილი შ., მეძმარიაშვილი თ., კონკურენციის რეგულირების მეთოდები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული

სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი 1 492 საჩივრის მოთხოვნიდან ჭარბობს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილება/ქმედების გაუქმების მოთხოვნა აღნიშნული საჩივრების 81,6%-ს წარმოადგენს.¹⁴⁰ (იხ. დიაგრამა 2.1.2).

დიაგრამა 2.1.2




წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

ამასთან, დავების საბჭოში შესული საჩივრების 13 % სრულად, ხოლო 29% ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. დიაგრამა 2.1.3).

კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 255-259

¹⁴⁰სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2017



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს არსებობა ხელს უწყობს კერძო სექტორის მეტ ჩართულობას და უზრუნველყოფს სატენდერო/საკონკურსო პროცედურების გამჭვირვალე და ობიექტურ გარემოში განხორციელებას. ამასთან, იქმნება მაქსიმალურად ჯანსაღი კონკურენტული გარემო, სადაც აზრისა და შენიშვნის გამოთქმის საშუალება ეძლევა სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.¹⁴¹ აღსანიშნავია, რომ დავების საბჭოს წარმომადგენელთა საქმიანობა ანაღურებადი არაა და ეფუძნება საზოგადოებრივ საწყისებს. შესაბამისად, შესაძლებელია ეს საკითხი გარკვეულწილად მოკლებული

¹⁴¹ მექმარიაშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ანალიზი, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თბილისი 2017, გვ. 329-332

იყოს რაციონალურობას და რისკის შემცველი იყოს გადაწყვეტილების მიღების ნაწილში.

ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ანტიკორუფციული კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ეს კანონი, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 01 ნოემბრიდან, ადგენს ცალკეული საფუძვლებით (გადაუდებელი აუცილებლობა, ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება), გამარტივებული შესყიდვების განხორციელების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმების მარეგულირებელ ნორმებს.¹⁴² გამარტივებული შესყიდვების სფეროში კარდინალურ რეფორმას სწორედ მაქსიმალური გამჭვირვალობა და ჯანსაღი კონკურენცია ედო საფუძვლად. თანხმობის მოსაპოვებლად შემსყიდველი ორგანიზაციები SMP მოდულში ავსებენ კითხვარს და თან ურთავენ შესამის დასაბუთებას დოკუმენტური სახით. აღსანიშნავია, რომ სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვასთან ერთად განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ მასთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებებს და ამის შემდგომ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. 2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 4 356 მომართვა. წარმოდგენილი მომართვებიდან ყველაზე დიდი ნაწილი შეიცავდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით შესყიდვის განხორციელების მოთხოვნას – საერთო ჯამში 2 722. წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, მოცემული საფუძვლით შესყიდვის განხორციელება შემცირებულია 61%-ით.¹⁴³ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, 2017 წელს გამარტივებული

¹⁴²სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2016

¹⁴³სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2016

შესყიდვების ჯამური მოცულობა შემცირებულია დაახლოებით 600 მილიონი ლარით (წინა წელთან შედარებით დაახლოებით 40%-ით ნაკლები).¹⁴⁴ 2018 წლის იანვრის მდგომარეობით, გასული წლის გამარტივებული შესყიდვების ჯამური თანხობრივი ოდენობა, რომელშიც შედის კანონით დადგენილი გამარტივებული შესყიდვის ყველა საფუძველით განხორციელებული შესყიდვები, შეადგენს სახელმწიფო შესყიდვების დაახლოებით 24%-ს, რაც 2016 წლის მონაცემთან შედარებით 13%-ით ნაკლებია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შემცირება თანხობრივი მაჩვენებლის გარდა შეეხო ასევე რაოდენობრივ მაჩვენებელსაც, კერძოდ: 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში თანხმობის გაცემის მიზნით შემოსულია 3271 მომართვა, რაც 2016 წლის მაჩვენებელთან (2016 წელს ეს ციფრი შეადგენდა 3760-ს) შედარებით შემცირებულია 14%-ით. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემოსული მომართვების 20%-თან მიმართებაში სააგენტომ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.¹⁴⁵ 2017 წლის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მაჩვენებლების დეტალურად სანახავად განვიხილოთ შესაბამისი მონაცემები (იხ. ცხრილი 2.1.1).

ცხრილი 2.1.1

გამარტივებული შესყიდვები 2017 წელი

| შესყიდვის საფუძველი | რაოდენობა | უარყოფა | თანხმობა | განუხილველი | გახმობილი |
|-------------------------|-----------|---------|----------|-------------|-----------|
| გადაუდებელი აუცილებლობა | 1376 | 37 | 1031 | 65 | 243 |
| ექსკლუზივი | 976 | 8 | 836 | 49 | 83 |

¹⁴⁴ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

¹⁴⁵ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2017

| | | | | | |
|--|-----|---|-----|----|----|
| ხარისხის გაუარესება | 117 | 8 | 67 | 15 | 27 |
| ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება | 403 | 1 | 343 | 12 | 47 |

წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად სააგენტოს შემსყიდველი ორგანიზაციები გადაუდებელი აუცილებლობის მოტივითა და ექსკლუზიური შესყიდვის განსახორციელებლად მიმართავენ და მათზე მთლიანი მიმართვების 82 % მოდის. ამასთან მიმართვების 79 %-ია დაკმაყოფილებული და შესყიდვის განხორციელების თაობაზე თანხმობა აქვს გაცემული სააგენტოს. დანარჩენ შემთხვევებში მიმართვა უარყოფილია, განუხილველია ან გახმობილია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ. შეთანხმების ვალდებულება გარკვეულწილად ბერკეტს წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ, რადგანაც შემსყიდველი ორგანიზაციები სატენდერო პროცედურებისგან თავიდან აცილების მიზნით ხშირად მიმართავენ გამარტივებულ შესყიდვას და შესაბამისად მათთვის მისაღებ კომპანიასთან პირდაპირი გზით დებდნენ ხელშეკრულებას.

სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით 2012 წლიდან ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერები ისეთი ტიპის შესყიდვებზე, რომლებიც პრაქტიკულად ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საჭიროებას წარმოადგენს. შესაბამისად, ფიჭური სატელეფონო მომსახურების, ნავთობპროდუქტების (საწვავი), A4 ფორმატის უმაღლესი და პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის, მაგიდის კომპიუტერების (დესკტოპები), პორტაბელური კომპიუტერების (ლეპტოპები), ავტომანქანების საბურავების, უწყვეტი კვების წყაროების და მრავალფუნქციური და ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერების შესყიდვას ცენტრალიზებული ფორმით ახორციელებს შესაბამისი

სამთავრობო კომისია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საშუალებით. 2017 წლის შესყიდვების კონსოლიდირებულად ჩატარების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადდა და გამარჯვებული გამოვლინდა შემდეგ კონსოლიდირებულ ტენდერებში:

- 8 (რვა) ტენდერი 5 (ხუთი) სხვადასხვა სახეობის ნავთობპროდუქციაზე (საწვავზე);
- (ორი) ტენდერი სტანდარტულ პერსონალურ და სტანდარტულ პორტაბელურ/სატარებელ კომპიუტერებზე;
- 8 (რვა) ტენდერი A4 ფორმატის უმაღლესი და პირველი ხარისხის საბეჭდო ქაღალდებზე;
- 1 (ერთი) ტენდერი ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურებაზე;
- 40 (ორმოცი) ტენდერი მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების M+S და ზაფხულისა და ზამთრის სეზონისათვის განკუთვნილ საბურავებზე;
- 1 (ერთი) ტენდერი უწყვეტი კვების წყაროებზე (UPS);
- (ორი) ტენდერი სატელევიზიო საეთერო დროის რეიტინგული გზით შესყიდვაზე (wGRP);
- 2 (ორი) ტენდერი ერთფუნქციურ და მრავალფუნქციურ პრინტერებზე და მათთვის განკუთვნილ ორიგინალ კარტრიჯებზე.¹⁴⁶

კონსოლიდირებულად გამოცხადებულ შესყიდვის ობიექტებზე სახელმწიფო მასშტაბურ ეკონომიას იღებს. 2016 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა დაახლოებით 42 მილიონ ლარს (აღნიშნულ თანხაში არ შედის ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში არსებული დანახოვი.¹⁴⁷ 2017 წლის მანძილზე კონსოლიდირებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიების შესახებ ინფორმაცია კი იხილეთ მოცემულ ცხრილში 2.1.2.

¹⁴⁶სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

¹⁴⁷სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

კონსოლიდირებული ტენდერები 2017 წელი

| შესყიდვის ობიექტი | | გამოცხადებული რაოდენობა | ეკონომია საცალოსთან მიმართებაში (ლარი) |
|-------------------|--|--|--|
| 1 | ნავთობპროდუქცია (საწვავი) | 78,013,800 ლიტრი | 30,327,400 ლარი |
| 2 | ფიჭური სატელეფონო მომსახურეობა | 260,000 აბონენტი | N/A |
| 3 | კომპიუტერები | 7,900 - დესკტოპი, 5,500 - ლეპტოპი | 5,100,000 ლარი |
| 4 | A 4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი | 600,000 - უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი 200,000 - პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი | 498,167 ლარი |
| 5 | მცირე ტვირთამწობის ავტომანქანების საბურავები | 48,723 ერთეული საბურავი | 5,164,617 ლარი |
| 6 | უწყვეტი კვების წყაროები (UPS) | 8,500 - ერთეული უწყვეტი კვების წყარო | 251,177 ლარი |
| 7 | სატელევიზიო საეთერო დროის შესყიდვის (WGRP) | სატელევიზიო საეთერო დროის შესყიდვისთვის განკუთვნილი საორიენტაციო ბიუჯეტის ღირებულება 3,000,000.00 ლარი | 3,500,000 ლარი (5 თვის მონაცემები) |
| 8 | 8 პრინტერები და მათთვის განკუთვნილი კარტრიჯები | 1,650 ერთეული ერთფუნქციური პრინტერი და 19,000,000 გვერდის ბეჭდისთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი | 122,261 ლარი (6 თვის მონაცემები) |
| | | 4,700 ერთეული მრავალფუნქციური პრინტერი და 87,000,000 გვერდის ბეჭდისთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი | 827,791 ლარი (6 თვის მონაცემები) |

კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად გვევლინება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი (გარდა ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული

ტენდერისა) და შესაბამის შესყიდვებზე გათვლილი სახელმწიფო ფინანსური სახსრების მიმღებიც ხდება. კონსოლიდირებული ტენდერები უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესში.¹⁴⁸ კონსოლიდირებული ტენდერები ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვის გარდა გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენციას და ბაზარზე ხშირად მონოპოლისტებს ჰქმნის და წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ორი მთავარი მიზანი: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა და სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.¹⁴⁹ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს გარდა თავს იჩენს მეორე მხარე კერძო სექტორის სახით, რომელიც გაკვეთილად არასახარბიელო პოზიციაში გვევლინება. ამჟამად სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიერ ინტენსიურად ხორციელდება ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობა, რათა მოხდეს იმ ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა შესყიდვაც კონსოლიდირებული სახით გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით.¹⁵⁰ შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერები რეალურად უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე, თუმცა გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენციას და ბაზარზე რამდენიმე ძირითად მოთამაშეს ტოვებს.

2017 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი მოდული, რომლის საშუალებითაც ხორციელდება შესაბამის მიწოდების ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების იდენტიფიცირება და მათი რანჟირება სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობისას დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე

¹⁴⁸Gaprindashvili G., Public Procurement Development Stages in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering Vol:9, No:3, 2015, p. 955-958

¹⁴⁹მემარიაშვილი თ., სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საქართველოში, როგორც საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის საშუალება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი 2016, გვ. 200-205

¹⁵⁰სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

დაყრდნობით. აღნიშნული მოდულის საშუალებით შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ მიიღონ იმ კომპანიათა რეიტინგი რომლებთანაც შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კონტრაქტის გაფორმება. კომპანიათა რეიტინგის სარეკომენდაციო სია დგება შესყიდვის კონკრეტული ობიექტის გათვალისწინებით. რანჟირების მოდული შესაძლებლობას იძლევა იდენტიფიცირებული იქნას კონკურენტუნარიანი და სანდო პოტენციური მიმწოდებელი. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და მოახდენს კომპანიების სტიმულირებას გახდნენ უფრო მეტად კვალიფიციურები და კონკურენტუნარიანები სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე.

2.2 ელექტრონული სისტემების ეფექტიანობა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში

თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გარდამტეხი ცვლილებები სწორედ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ასოცირდება. სახელმწიფო შესყიდვები შეადგენს მთლიანი შიგა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს და ემსახურება სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და გამჭვირვალე - კონკურენტური გარემოს შექმნას როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესსექტორისათვის. მან უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაციისა და საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური დაცვა საჯაროობის, რაციონალურობის, თანასწორობის, პასუხისმგებლობის და ეფექტიანობის ამადლების გზით.¹⁵¹ სახელმწიფო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს ეფექტიანი პოლიტიკის გატარების მამოძრავებელ ძალას - ღია, ინოვაციური და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სისტემის ჩამოყალიბების პირობებში. ელექტრონული შესყიდვების წარმოებისას გამოიყენება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის საჯარო სატენდერო პროცედურებს, რაც თავის მხრივ ზრდის კონკურენციას, ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და ზრდის სახელმწიფო ორგანიზაციების გამჭვირვალობის ხარისხს.¹⁵² სახელმწიფო შესყიდვების თითოეული კატეგორია და მიმართულება უნდა უკავშირდებოდეს მისი განხორციელების კონკრეტულ ინსტრუმენტებსა და ელემენტებს, რომელიც დაკავშირებული იქნება შესაბამის ფუნდამენტურ სისტემასთან.¹⁵³ ეფექტიანი სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა ფინანსების მართვის შესაბამისი მართვის სისტემის შემუშავება. ამ მიმართულებით რეფორმების პრინციპებიანად

¹⁵¹ გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო №4, თბილისი 2012, გვ. 91-96

¹⁵² Government at a Glance 2015, OECD publishing, Paris 2015

¹⁵³ Chicot J., Mireille M., Public Procurement of Innovation: A Review of Rationales, Instruments and Design, Laboratoire d'Economie Appliquee de Grenoble, Jel Codes: H57; O33; O38, March 2015

სახელმწიფოს ფინანსური გამჭვირვალობა და მკაცრი ფინანსური კონტროლი, სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების ხარჯების შემცირება.¹⁵⁴ საჯარო შესყიდვებში კორუფცია მიეკუთვნება არა მხოლოდ ქრთამისგან წარმოშობილ განსაკუთრებულ ფავორიტიზმს ან ზეგავლენის მოპოვებას, არამედ იმ შესაძლო დონესაც, სადაც მიუკერძოებლობისა და ეთიკური უნივერსალიზმის ნორმებიდან გადახრის განსაზღვრას შეძლებს.¹⁵⁵ შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციისა და ინტერესიდან გამომდინარე მიკერძოების რისკების არსებობის საკითხს. სახელმწიფო შესყიდვა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს, რადგან ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი წილი უკავია. ეფექტური საჯარო შესყიდვების მართვა ხელს შეუშლის სახელმწიფო ფინანსური სახსრების არასწორ და არამიზნობრივ ხარჯვას. კონკურენციის დაცვის ფორმალური წესები ხელს შეუწყობს კომპანიებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს პირობებში ჩაერთონ შესყიდვების სფეროში. კონკურენციის შეზღუდვის რისკი შესაძლოა შემცირდეს სახელმწიფო შესყიდვებში სხვადასხვა აუქციონის მახასიათებლების გამოყენებით.¹⁵⁶ გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პრიორიტეტულია შესყიდვების პროცესის თითოეულ ეტაპზე, როგორც შესყიდვების განხორციელების დაწყებისას ასევე საბოლოო მიწოდებისა და ანგარიშსწორების გზაზე. იმისათვის, რომ შესყიდვებით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა შეძლონ ტენდერის შესაძლებლობების გაცნობიერება, საჭიროა მიიღონ ღია ინფორმაცია როგორ და რის საფუძველზე ფასდება მათი სატენდერო წინადადებები, შესაბამისად საჭიროა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.¹⁵⁷ ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია წარმატებით განახორციელოს საკუთრების დაცვისა და საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად პირობას სახელმწიფო

¹⁵⁴ მესხია ი., გაბელაშვილი კ., საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, ლექციების კურსი, თბილისი 2010

¹⁵⁵ Public Integrity and Trust in Europe, European Research Centre for Anti-Corruption and State-Building (ERCAS), Hertie School of Governance, Berlin 2015

¹⁵⁶ Public Procurement, POLICY ROUNDTABLE, The OECD Competition Committee, 2007

¹⁵⁷ Benchmarking Public Procurement 2016, Assessing Public Procurement Systems in 77 Economies, World Bank Group, International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2016

ფინანსური რესურსების ეფექტიანი ხარჯვა წარმოადგენს, ძირითადად დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ბევრი ხელისუფლებას არ გააჩნია ასეთი შესაძლებლობა.¹⁵⁸ სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ელექტრონული სისტემის ფორმირებას უკავია. ინფორმაციულ საზოგადოებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მფლობელობაში არსებული ფულადი რესურსების ეფექტური გამოყენება, დამკვეთსა და მიმწოდებელ სუბიექტებს შორის ისეთი კავშირების დამყარება, რომლის დროსაც ადგილი ექნება, ერთი მხრივ, დამკვეთისადმი მისაღებ ფასებში უმაღლესი ხარისხის, გარანტირებული საქონლისა და მოწოდებლობების მოწოდებას და, მეორე მხრივ, დროული და მისთვის მისაღებ ფასებში რეალიზაციას, რაც მიიღწევა ბაზარზე არსებული მწარმოებლისა და მომხმარებლის ერთმანეთთან ინფორმაციული კავშირის დამყარებით.¹⁵⁹ შესაბამისად, საჭირო ხდება ელექტრონულ სისტემაზე დაფუძნებული საქმისწარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს შემსყიდველისა და მიმწოდებლის ზედმეტი წინააღმდეგობის გარეშე დაკავშირებას.

გარიგება და კორუფცია სახელმწიფო შესყიდვების სფეროს უმთავრეს პრობლემებს წარმოადგენს. შესაძლებელია ორივე მათგანს ერთროულად ჰქონეს ადგილი და გააჩნდეს ურთიერთშეთანხმების ეფექტი. სწორად ამიტომაც ეს ორი მიმართულება მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსური სახსრების პროცესში და მნიშვნელოვანია გარიგებისა და კორუფციისგან დასაცავად შესაბამისი ბერკეტების შემუშავება.¹⁶⁰ იმ ქვეყნებში, სადა კორუფცია საერთო პრობლემაა, შეინიშნება საბაზრო მექანიზმების დარღვევა და ეკონომიკური განვითარების შეფერხება. კორუფცია სახელმწიფო შესყიდვებში გულისხმობს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ძვირადღირებული, უხარისხო და ხშირად

¹⁵⁸ Kochanova A., Hasnain Z., Larson B., Does E-Government Improve Government Capacity? – Evidence from Tax Administration and Public Procurement, Background Paper to the 2016 World Development Report, April 2016

¹⁵⁹ გოგნაძე თ., სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2013

¹⁶⁰ Collusion and Corruption in Public Procurement, POLICY ROUNTABLES, The OECD, February 2010

უსარგებლო შესყიდვის განხორციელებას.¹⁶¹ ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაინტერესებულ მხარეს ბიზნეს სექტორი წარმოადგენს. სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება, მხოლოდ საგადასახადო ადმინისტრირებით, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემით. სახელმწიფო ახორციელებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომლის ძირითადი მიმწოდებელი სწორედ ბიზნეს სექტორია. სახელმწიფო აღრიცხავს ბიზნესის უძრავ ქონებას, ბიზნესში ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობას და ა.შ. სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის მუდმივი და აქტიური ურთიერთობა წარმატებული მმართველობის, ჯანსაღი და კონკურენტული ბიზნეს-გარემოს უმთავრესი წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონულ მმართველობაში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მიერ ბიზნესისთვის შეთავაზებულ ელექტრონულ სერვისებს (G2B – Government to Business).¹⁶² შესაბამისად, ელექტრონული სისტემის არსებობა სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის საწინდარს წარმოადგენს.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები 2010 წლამდე ხორციელდებოდა ქაღალდური წესით, რაც დაკავშირებული იყო შრომატევად სამუშაოსთან, საზოგადოების სახელმწიფო შესყიდვების სისტემისადმი უნდობლობასთან, კონკურენციის შეზღუდვის, კორუფციასთან და დისკრიმინაციულ მიდგომებთან დაკავშირებულ რისკებთან. აღნიშნული წესით ჩატარებულ ტენდერებში მონაწილეობა პრობლემას წარმოადგენდა რეგიონული კომპანიებისათვის, რადგან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ხშირად უწევდათ დედაქალაქში ვიზიტი. მსოფლიო ბანკის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა შეფასებული იყო, როგორც კორუფციის „მაღალი რისკის მატარებელი სისტემა“. იმისათვის, რომ ყველა მიმწოდებელი თანაბარ პირობებში ყოფილიყო და გამორიცხულიყო დისკრიმინაციული მიდგომის შესაძლებლობა სსიპ

¹⁶¹ Soreide T., Corruption in public procurement – Causes, consequences and cures, Chr. Michelsen Institute, Report R, 2002

¹⁶² ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, ევროკავშირისა და საქართველოს ელექტრონული მმართველობის მექანიზმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველო, სექტემბერი 2014

„კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ“ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის პროგრამული შემუშავება. ამრიგად, 2010 წლის დასაწყისიდან საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემას და 2010 წლის ოქტომბერში პირველი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. 2010 წლის დეკემბრიდან გაუქმდა ქალაქური წესის ტენდერები და ყველა სახელმწიფო ტენდერი მხოლოდ ელექტრონულად ტარდება. გამჭირვალე სისტემის შექმნამ მარტივად აღსაქმელი გახადა შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურები და საზოგადოება ჩაერთო სისტემაში, როგორც მონაწილის, ასევე დამკვირვებლის როლში. ასევე, მოგვარდა გეოგრაფიული უთანასწორობის პრობლემა, რადგან ქალაქური წესის ტენდერების დროს რეგიონებში განთავსებული საწარმოები პრაქტიკულად ვერ ახერხებდნენ მონაწილეობის მიღებას მაღალი დანახარჯების გამო.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავებამ უზრუნველყო შესყიდვების პროცედურების მაქსიმალური გამჭირვალობა, სახელმწიფო ფინანსების რაციონალური ხარჯვა, პრეტენდენტებს შორის კონკურენციის ზრდა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. დღეისათვის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა სამეწიფო და მასში განთავსებული მონაცემები ხელმისაწვდომია სისტემის მომხმარებლისათვის ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.


აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი. ამასთან, სისტემაში რეგისტრირებული ორგანიზაციების უდიდეს ნაწილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და ინდივიდუალური მეწარმეები წარმოადგენენ, რაც უფრო მეტად ხელს უწყობს

კერძო სექტორის განვითარებასა და ხაზს უსვამს სახელმწიფო შესყიდვებში მათ მაღალ ჩართულობას.¹⁶³

საქართველოში ერთიანი ელექტრონული სისტემიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი და ღიაა. ასეთი ტიპის ინფორმაციას ძირითადად მიეკუთვნება: შესყიდვების წლიური გეგმები, სატენდერო განცხადებები, სატენდერო დოკუმენტაციები და მისი ცვლილებები, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, მიმწოდებლების სატენდერო წინადადებები და ფასები, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები და მიმწოდებელთან კორესპონდენცია, ხელშეკრულებები და მათი ცვლილებები, ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტები და ფაქტობრივი გადახდები. კონკურენციის ამაღლებას ხელი შეუწყო 2013 წლის მარტში დაგების განხილვის საბჭოს მოდერნიზებული მოდულის ელექტრონულ სისტემაში ჩამატებამ, გაამარტივა ტენდერის გასაჩივრება პროცედურა და სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საბჭოში შეუძლია გაასაჩივროს სატენდერო პირობები, ხოლო პრეტენდენტს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ტენდერში სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა კანონით ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში კერძო სექტორის ჩართულობის მაჩვენებელი. ბიზნეს სექტორი მეტად აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან გაიზარდა გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და 2011 წელს ელექტრონული ტენდერების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2010 წლის ქალაქური წესით განხორციელებული ტენდერების მოცულობას 14-ჯერ აღემატებოდა (იხ. დიაგრამა 2.2.1).

¹⁶³ მექმარიაშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი №3, თბილისი 2017, გვ. 109-112



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას რაზეც ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიები მეტყველებს. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2011 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 191 487 127 ლარი დაიზოგა¹⁶⁴, 2012 წელს - 155 610 107,¹⁶⁵ 2013 წელს - 231 053 588,¹⁶⁶ 2014 წელს - 241 132 563 ლარი,¹⁶⁷ 2015 წელს - 299 704 216 ლარი,¹⁶⁸ 2016 წელს - 278 435

¹⁶⁴ სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2011 წლის ანგარიში

¹⁶⁵ სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2012 წლის ანგარიში


¹⁶⁶ სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2013 წლის ანგარიში

¹⁶⁷ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2014 წლის ანგარიში

¹⁶⁸ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2015 წლის ანგარიში

040 ლარი.¹⁶⁹ ეს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვანი დანაზოგს წარმოადგენს (იხ. დიაგრამა 2.2.2).

დიაგრამა 2.2.2



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვები ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და კომპანიების

¹⁶⁹ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის ანგარიში

მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.¹⁷⁰ სახელმწიფომ უნდა შექმნას კონკურენტული გარემო, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების სფერო გამართული სამართლებრივი ბაზითა და სისტემით.

ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მარტივ ტრანზაქციებს ტენდერის მსვლელობის ეტაპზე, ის იძლევა საშუალებას, გამოყენებულ იქნას სისტემაში არსებული ინფორმაცია ბიზნეს პროცესების დახვეწისათვის. შემსყიდველ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტენდერები და გაითვალისწინონ მიღებული ინფორმაცია საკუთარი ტენდერების წარმოებისას. ამასთან მიმწოდებლებს სისტემა საშუალებას აძლევს შეისწავლოს სახელმწიფო სექტორის მოთხოვნები და შემდგომში ეს გაითვალისწინონ ბიზნეს პროცესების წარმართვისას. შესყიდვების ელექტრონული სისტემა ეფექტიანია არა მხოლოდ მასში მონაწილე კომპანიებისთვის, არამედ სახელმწიფო დაწესებულებებისთვისაც, რადგან ყველა პროცედურა, დაწყებული კომპანიების განაცხადების მიღებით და მათი ტექნიკური მონაცემების შეფასებით და დამთავრებული ფასების შეთავაზებით და გადახდით, ელექტრონული სისტემის ფარგლებში ხდება. შედეგად, საგრძნობლად შემცირდა პროცედურებისთვის საჭირო დრო და ამასთან პრობლემებიც ნაკლები წარმოიშვება.¹⁷¹ ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციების წინასწარ წარდგენილი გეგმების საშუალებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს ეძლევა საშუალება დაგეგმოს საკუთარი საქმიანობა წლის განმავლობაში.¹⁷² შესაბამისად, ელექტრონული სისტემა დადებით როლს თამაშობს კერძო სუბიექტების საქმიანობის დაგეგმვის ასპექტში. ამასთან, დაინერგა სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმა და დადგინდა შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება სისტემატიზებულად, სისტემაში გენერირებული კითხვარის მეშვეობით, ატვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია. შედეგად,

¹⁷⁰ „კონკურენციის რეგულირების მეთოდები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში“ – მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“ შრომების კრებული, თბილისი 2017 წ. გვ 255–259;

¹⁷¹ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ამაღლების ანგარიში, თბილისი, ივნისი 2013, გვ. 5

¹⁷² Medzmariashvili T., State Procurement Electronic System Efficiency in Georgia, European Journal of Economics and Business Studies (EJES), Vol 10 - № 1, Rottenburg., 2018 (January-April), pp. 152-155., (ISSN: 2411-4073; online)

მიმწოდებელთათვის გაადვილდა მათთვის სასურველი ინფორმაციის მოძიება, რადგან საკითხები, მიუხედავად შემსყიდველი ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმისა და შესყიდვის ობიექტისა, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას მიეთითება. მიზანშეწონილია ასეთივე მიდგომა დაინერგოს პრეტენდენტების მიმართაც, რაც უზრუნველყოფს პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან ტენდერში სრულყოფილი სატენდერო წინადადების წარდგენას.

ამრიგად, საერთო ჯამში, თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარებას. ელექტრონული შესყიდვების სისტემამ გაზარდა შესყიდვების პროცესის ეფექტურობა და დღეისათვის იზოგება, როგორც შემსყიდველის ასევე პოტენციური მიმწოდებლების ორგანიზაციების ფინანსური, ადამიანური და დროითი რესურსები. ამასთან, ხელი შეუწყო პროცესის საჯაროობას, საზოგადოების ნდობის ამაღლებას, ჯანსაღი კონკურენციის ზრდას და რაც ყველაზე მთავარია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მუშაობის მზარდი ტემპი იძლევა იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა კიდევ დაიხვეწება და მოხდება შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების უფრო მეტად სრულყოფა. საქართველოში გატარებული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ, მიზნობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ზრდის კერძო სექტორში კონკურენციის დონეს და უზრუნველყოფს ბიზნეს სუბიექტების მაქსიმალურ ჩართულობას.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ უზრუნველყო საზოგადოების ნდობის ამაღლება და გამჭვირვალე გახდა სახელმწიფო ფინანსური რესურსების ხარჯვის მექანიზმი. შესყიდვების პროცესების ელექტრონიზაციამ ტენდერებში მონაწილეობა არაბიუროკრატიული და გამჭვირვალე გახდა. დღეისათვის ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია უმოკლეს ვადაში მოიძიოს ინფორმაცია თუ რომელი შემსყიდველი რა ობიექტისა და ტიპის შესყიდვას ახორციელებს. აღნიშნული ამცირებს კორუფციის რისკებს და ქმნის სამართლიან

გარემოს. მიმდინარე ეტაპზე მუდმივად ხდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დახვეწა და მოდიფიკაცია, რაც მომავალში უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფას.

2.3 საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი

სახელმწიფო შესყიდვები პროცესია, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო და სხვა ორგანოები სამართლებრივი ჩარჩოების მიხედვით ახორციელებენ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვას. ასეთი ტიპის შესყიდვების ძირითად მიზანს ხშირ შემთხვევაში ეკონომიკის სტიმულირება, შიდა ინდუსტრიების დაცვა და რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრა წარმოადგენს.¹⁷³ რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრის ძირითად მიმართულებად კი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება გვევლინება. გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ზრდის ადგილობრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. სახელმწიფო შესყიდვები ხელისუფლების მნიშვნელოვან ფუნქციად გვევლინება, რადგან ფინანსური რესურსების ხარჯვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ის გამოიყენება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიზნების მიღწევის საშუალება. მიუხედავად სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მრავალწლიანი ფუნქციონირებისა განვითარებად ქვეყნებში მისი მდგრადი განვითარება ნაკლებად შეინიშნება. განვითარების ნელი ტემპიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკა ხვდება წინაღობებს მიზნების მიღწევის პროცესში.¹⁷⁴ ისტორიულად მთელ მსოფლიოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს დიდი სარგებელი მოჰქონდათ სამამულო კომპანიებისათვის და უზრუნველყოფდა ადგილობრივი მიმწოდებლებისათვის საქონლისა და მომსახურების უსაფრთხო ბაზარს. ამასთან, პოლიტიკოსები და მეცნიერები იღწვიან შეიმუშაონ შესყიდვების საუკეთესო პროცედურები, რომლებიც ამ რთული პროცესის მაქსიმალურ ეფექტიანობას

¹⁷³ Handler H., Strategic public procurement: An overview, Research Report, WWForEurope Policy Paper, No. 28, November 2015

¹⁷⁴ Ochieng M. M., Oginda M., Oteki E. B., Analysis of Sustainable Procurement Practices and the Extent Of Integration In Lake Victoria South Water Services Board, Kenya, IOSR Journal of Business and Management (IOSR-JBM) e-ISSN: 2278-487X, p-ISSN: 2319-7668. Volume 18, Issue 3 .Ver. I (Mar. 2016), PP 109-115

უზრუნველყოფს.¹⁷⁵ განვითარებულ ქვეყნებში უკვე მრავალი წელია სახელმწიფო შესყიდვები მიემართება ინოვაციური საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვაზე, მაშინ როდესაც ასეთ მიდგომებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ადგილი არ აქვს.¹⁷⁶ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. შესყიდვებს მშენებლობის სექტორში აქვს სხვადასხვა განმარტება. მოშინი და დავიდსონი აცხადებდნენ, რომ მშენებლობის კუთხით შესყიდვები წარმოადგენს ახალი შენობების ან შენობებში სივრცეების შექმნას ღია ბაზრიდან პირდაპირი შესყიდვებით, ქირით ან ლიზინგით ან ობიექტის შექმნასა და მშენებლობას კონკრეტული საჭიროების დასაკმაყოფილებლად.¹⁷⁷ ლენარდი და მოშინი შესყიდვებს განმარტავს, როგორც სტრატეგიას, რათა დააკმაყოფილოს კლიენტის განვითარება ან/და საოპერაციო საჭიროებები მშენებლობის ობიექტების ან დისკრეტული ცხოვრების ციკლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.¹⁷⁸ პალანეესვარანის თქმით შესყიდვა ეხება მატერიალური, ქონების ან მომსახურების მოპოვების პროცესს და იწყება ქონების ან მომსახურების საჭიროების განსაზღვრით და დასრულების მიზნით მთავრდება ხელშეკრულების დადებით.¹⁷⁹ ამასთან, Conseil International du Bâtiment (CIB) –ის სამუშაო კომისიის მიერ სამშენებლო შესყიდვა განისაზღვრა, როგორც ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მშენებლობა შექმნილია ან მიღებულია.¹⁸⁰ თითოეული შესასყიდი ობიექტი კლასიფიცირდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორით – ევროკავშირის EC #213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონით (Common Procurement

¹⁷⁵ Cernat L., Kutlina-Dimitrova Z., International Public Procurement: From Scant Facts to Hard Data, Chief Economist Note, Issue 1, April 2015

¹⁷⁶ Detelj K., Markovic-Hribernik T., Possibilities for Using Public Procurement for Innovation in Small Transition Countries, Proceedings of the 6th GCMRM, 2015, p. 197-205

¹⁷⁷ Moshini, R., Davidson, C. H., Building procurement – Key to improved performance, Journal Building Research & Information, May 2007, p.106-113

¹⁷⁸ Lenard D., Moshini, R., Recommendations from the organisational workshop. In C.H. Davidson (Eds.) Procurement – the Way Forward: Proceedings of the CIB W-92 Montréal Conference, CIB Publication 203, Université de Montréal, Montréal, Canada 1998, pp.79-81

¹⁷⁹ Palaneeswaran, E., Kumaraswamy, M., Ng, T., Targeting Optimum Value in Public Sector projects through = best value – focused contractor selection, Engineering, Construction and Architectural Management, 10(6), 2003, p. 418-431

¹⁸⁰ Miller G., Furneaux C., Davis P., Love P., O'Donnell A., Built Environment Procurement Practice: Impediments to Innovation and Opportunities for Changes, Built Environment Industry Innovation Council, May 2009

Vocabulary – CPV), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას. შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტებს წარმოადგენს იდენტური, ასევე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მახვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტები.¹⁸¹ სამუშაოს შესყიდვა მისი საჭიროებებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე იყოფა სხვადასხვა კლასიფიკაციად და კლასიფიკატორის შესაბამისად სამშებლო ტიპის ტენდერები ცხადდება შემდეგ CPV კოდებზე:

- ⇒ CPV 45100000 ადგილის/სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაო;
- ⇒ CPV 45200000 სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;
- ⇒ CPV 45300000 სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები;
- ⇒ CPV 45400000 შენობის მოწყობის სამუშაოები.

შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის მიხედვითა და სამუშაოთა სპეციფიკაციით შესყიდვა ხორციელდება კონკრეტულ კოდზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კატეგორიის შესყიდვებზე მოდის ტენდერებიდან ფასდაკლებით წარმოქმნილი ეკონომიების უმეტესი ნაწილი. 2017 წელს CPV 45100000 სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოს კოდზე ეკონომიამ 13,2 % - 4 806 623 ლარი, CPV 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების კოდზე – 10,2 % - 154 662 470 ლარი, CPV 45300000 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების კოდზე – 9,2 % - 4 461 022 ლარი, ხოლო CPV 45400000 შენობის დასრულების სამუშაოების კოდზე – 11 % - 13 006 912 ლარი შეადგინა.¹⁸² აღსანიშნავია, რომ საქართველოსში სამშენებლო შესყიდვების სფერო მაღალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება, რაზეც ტენდერში მონაწილეთა საშუალო რიცხვისა და ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების მაღალი მოცულობა

¹⁸¹ „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანება

¹⁸² სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

ადასტურებს. 2017 წელს ყველაზე მეტი ეკონომია ვაჭრობის შედეგად მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და 40 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.¹⁸³ ითვლება, რომ სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კონკურენტული პროცედურის მონაწილეთა რაოდენობაზე. რაც მეტი კომპანია იღებს ვაჭრობაში მონაწილეობას, უფრო მაღალია კონკურენცია და მეტია შანსი, რომ ხელშეკრულება გაფორმდეს ორგანიზაციასთან, რომელიც შეასრულებს მას საუკეთესო ფასად.¹⁸⁴ სამშენებლო პროექტების სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით წელიწადში 5 000-ზე მეტი ტენდერი ცხადდება. სხვა შესყიდვის ობიექტებისგან განსხვავებით ამ მიმართულებით გამოცხადებულ ტენდერებში დაინტერესებულ პრეტენდენტთა რაოდენობა ჭარბობს. კერძოდ, 2017 წელს CPV 45100000 სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოს კოდზე საშუალო მონაწილეობა 2,7-ს , CPV 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების კოდზე – 2,83-ს, CPV 45300000 სამშენებლო--სამონტაჟო სამუშაოების კოდზე – 2,8-ს, ხოლო CPV 45400000 შენობის დასრულების სამუშაოების კოდზე – 3,27 შეადგინა.¹⁸⁵ შესაბამისად, პრაქტიკულად ყველა სამშენებლო სამუშაოს შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში 2-ზე მეტი პრეტენდენტია, რაც მაღალ დაინტერესებასა და კონკურენციის ზრდაზე მიგვანიშნებს. თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც ტენდერში მხოლოდ ერთი მონაწილეა, ან საერთოდ არავინ დაინტერესდა და არ შედგა ტენდერი ან დასრულდა უარყოფითი შედეგით, რაც გულისხმობს იმას, რომ ტენდერში მონაწილე ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული მოთხოვნები და ყველა მათგანმა დისკვალიფიკაცია მიიღო. ამასთან, არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც ტენდერს თავად შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს წინასწარ გაუთვალისწინებები პირობებიდან გამომდინარე. განვიხილოთ ერთი ტიპური ტენდერის მაგალითი (იხ. დანართი 1) რა დროსაც ტენდერში მონაწილეთა რიცხვმა ექვსი პრეტენდენტი შეადგინა. შესყიდვის ობიექტს შენობის

¹⁸³ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

¹⁸⁴ Бальсевич А.А., Подколзина Е.А., Причины и последствия низкой конкуренции в государственных закупках в России, ЭКОНОМИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ ВШЭ, стр.563-585

¹⁸⁵ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

სამშენებლო სამუშაოები წარმოადგენდა, რომლის სავარაუდო ღირებულებაც მილიონ ლარს აჭარბებდა. სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთული იყო საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც უნდა შესრულებულიყო სამუშაოები, ამასთან, პრეტენდენტების მიმართ გამოცდილების სახით მოთხოვნილი იყო ანალოგიური სამუშაოების, კერძოდ შენობის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომელთა ჯამური ღირებულებაც 2014-2017 წლების პერიოდში არ უნდა ყოფილიყო ორ მილიონ ლარზე ნაკლები, გარდა ამისა, ამავე პერიოდში უნდა ჰქონოდა ერთი ობიექტის ფარგლებში ანალოგიური ხასიათის ნახევარმილიონ ლარიანი კონტრაქტის შესრულება და ამგვარი ობიექტის დამკვეთი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია. ყოველივე ამის დასადასტურებლად ტენდერში მონაწილეობს მსურველებს უნდა წარმოედგინათ შესაბამისი ხელშეკრულებები და შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ფორმა №2, მიღება-ჩაბარების აქტები ან ექსპერტიზის დასკვნები, რაც დაადასტურებდა აღნიშნული სამუშაოების შესრულების ფაქტს. პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი და ინფორმაცია შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ქვეკონტრაქტორების გამოყენების შესახებ. ტენდერში დაშვებული იყო წინასწარი ანგარიშსწორების პირობაც, კერძოდ ავანსის სახით მიმწოდებელს შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ის ანაზღაურება. როგორც უკვე აღვნიშნეთ ტენდერში მონაწილეობა ექვსმა პრეტენდენტმა მიიღო და შერჩევა შეფასების ეტაპზე მოხდა ორი მათგანის დისკვალიფიკაცია. ორივე პრეტენდენტმა არ მოახდინა განფასებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა, რაც სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება დაზუსტებას და ავტომატურად პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საშუალებას იძლევა.¹⁸⁶ შესაბამისად, გამარჯვებულად გამოვლინდა რიგით მესამე კომპანია, რომლის სატენდერო წინადადება აკმაყოფილდებდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. მის მიერ სავარაუდო ღირებულებასთან

¹⁸⁶ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება


შედარებით ვაჭრობის შედეგად შეთავაზებული ფასი 14 %-ით ნაკლებს შეადგენდა და შემსყიდველმა ორგანიზაცია ამით 160 000 ლარზე მეტი დაზოგა.

სამშენებლო სამუშაოების წინამოსამზედებელი სამუშაოს ეტაპს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება წარმოადგენს. აღნიშნულის შესყიდვას სახელმწიფო სტრუქტურები ელექტრონული საშუალებებით ახორციელებენ. პროექტის განხორციელების მეთოდის შერჩევა გულისხმობს პროექტის დაგეგმვის, პროექტის შემუშავების და სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპების ურთიერთკავშირის განსაზღვრას და განეკუთვნება გადაწყვეტილებას, რომელიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა მიიღოს პროექტის განხორციელების ყველაზე საწყის ეტაპზე პროექტის განხორციელების სწორი სტრატეგიისა და ქვეეტაპების რიგითობის შერჩევისათვის. შესყიდვის განხორციელების მეთოდის შერჩევა მჭიდრო კავშირშია შესყიდვის ქვეეტაპების, შესყიდვის ქვეეტაპების ფარგლებში შესყიდვის ობიექტისა და შესყიდვის საშუალებების სწორად შერჩევასთან.¹⁸⁷ განვიხილოთ ერთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხო მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერით განსაზღვრული მოთხოვნები (იხ. დანართი №2): მომსახურების გაწევის ვადად განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე, რა დროშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. გამოცდილების სახით მოთხოვნილია 2014 წლიდან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია არანაკლებ ორი დასრულებული პროექტის სახით. იქიდან გამომდინარე, რომ შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვას, შემსყიდველი ორგანიზაცია არ ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურების დასაბუთებას ღირებულების 20 %-იანი კლების შემთხვევაში. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა კომპანიამ. გამარჯვებულად გამოვლინდა მათგან უმცირესი ფასის მქონე, რომელმაც სავარაუდო ღირებულების 46 %-იანი კლება მოახდინა, რითიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ 12 000 ლარზე მეტი ეკონომია მიიღო.

¹⁸⁷ მეთოდური მითითებები სამშენებლო პროექტის განხორციელების მეთოდთან დაკავშირებით, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე, კერძოდ, 2015 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის პერიოდში სამშენებლო სამუშაოს შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების 76 % დაკონტრაქტდა, 4 % შეწყდა, 14 % არ შედგა, ხოლო 6 % დასრულებულია უარყოფითი შედეგით (იხ. დიაგრამა 2.3.1).

დიაგრამა 2.3.1




წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ხორციელდება არაერთი პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც დედაქალაქში, ასევე ქვეყნის ყველა რეგიონში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხს, რაც არამხოლოდ

მიმდინარე პერიოდში, არამედ მომავალშიც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტურად გამოყენებას და განავითარებს სახელმწიფოს. აღნიშნული პროექტების შესყიდვები ძირითადად სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით რეგულირდება და ბოლო შვიდი წლის სტატისტიკას თუ გადავავლებთ ყოველწლიურად სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის არანაკლებ 4 500 ტენდერი ცხადდება. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ინფრასტრუქტურულ შესყიდვაზე გამოცხადებულმა ტენდერების რიცხვმა 7 000-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბა (იხილეთ დიაგრამა 2.3.2).


დიაგრამა 2.3.2



წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

ისევე როგორც ყველა ტიპის შესყიდვის განხორციელებისას ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვისას პროექტს სამი ძირითადი

განზომილება ახასიათებს. ამ განზომილებებს ღირებულება, დრო და პროექტის შესრულების ხარისხი განეკუთვნება და ე.წ. „რკინის სამკუთხედს“ წარმოადგენს.¹⁸⁸



სამკუთხედის სამი განზომილება ერთმანეთზე დამოკიდებული სიდიდეებია და ცალკეული განზომილებების ცვლილება განაპირობებს სხვა განზომილებების ცვლილებებს. მაგალითად, თუ მცირდება პროექტის შესრულებისათვის განსაზღვრული დროის პერიოდი, მაშინ პროექტის დაგეგმილი ხარისხით შესრულება ბიუჯეტის გაზრდას მოითხოვს. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესყიდვის განხორციელების პროცესში ადეკვატური პერიოდისა და ღირებულების საკითხს, რადგან არ მოხდეს შესყიდვის ობიექტის ხარისხის გაუარესება, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტის დიდი ნაწილი სწორედ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზეა მიმართული და განსაკუთრებით აქტუალურია ხარისხზე ორიენტირებული შესყიდვის

¹⁸⁸ Public Procurement Training for IPA Beneficiaries, SIGMA, 2010

განხორციელება. 2017 წელს სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულებამ 1 719 265 100 ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი 2.3.1).¹⁸⁹

ცხრილი 2.3.1

სამშენებლო შესყიდვები 2017 წელი

| | შესყიდვის კატეგორია | ჯამური სავარაუდო ღირებულება | ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება |
|---|--|-----------------------------|----------------------------------|
| 1 | CPV 45100000 სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაო | 36 313 014 | 31 506 391 |
| 2 | CPV 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები | 1 516 058 900 | 1 361 396 430 |
| 3 | CPV 45300000 სამშენებლო--სამონტაჟო სამუშაოები | 48 513 639 | 44 052 617 |
| 4 | CPV 45400000 შენობის დასრულების სამუშაოები | 118 379 547 | 105 372 635 |

წყარო: სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ www.procurement.gov.ge

სამშენებლო სფერო ერთ-ერთი მზარდი და განვითარებადია საქართველოს მომავალი გეგმებიდან გამომდინარე. შესაბამისად, განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესის ჩართულობის საკითხი სწორედ ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის მიმართულებით. ამაზე მეტყველებს, როგორც გამოცხადებული ტენდერების მზარდი რაოდენობა, ასე

¹⁸⁹ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

ინფრასტრუქტურულ პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხის მოცულობა.

თავი III საქართველოს ინფრასტრუქტურული სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობა

3.1 ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები

ინფრასტრუქტურულ პროექტების სახელმწიფო შესყიდვები თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებადი მიმართულებაა. მიუხედავად სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მუდმივი დახვეწისა მაინც არსებობს ისეთი საკითხები რაც პრაქტიკულად ხელს უშლის პროცესის შეუფერხებელ საქმიანობას და ბიზნესის ჩართულობის ზრდას. აღნიშნული პრობლემები ძირითადად თავს იჩენს, როდესაც საქმე ბაზარზე დამწყებ კომპანიებს ეხებათ, რომელთაც ზოგჯერ არ აქვთ გამოცდილება ჩაერთონ მასშტაბურ პროექტებში, ზოგჯერ კი უბრალოდ გარკვეული ბარიერების გამო ეზღუდებათ საქმიანობის არეალი.

ყველაზე აქტუალურ და ძირითად პრობლემას კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენს. შემსყიდველი ორგანიზაციები ზოგჯერ სარგებლის ან უბრალოდ სასურველი მიმწოდებლის გამარჯვების მიზნით განსაზღვრავენ იმ მოთხოვნებს რასაც მხოლოდ ერთი კომპანია აკმაყოფილებს. ასეთ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციით შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს პრეტენდენტის მიმართ არარეალურად საჭირო გამოცდილება, არამედ კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული და გაწერილი, ამასთან შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს ისეთი შესყიდვის ობიექტი, რაზეც ხელი მხოლოდ პოტენციურ მიმწოდებელთა მცირე რიცხვს მიუწვდება. ასევე, შესაძლებელია ზედმეტად მოკლე მიწოდების ვადების განსაზღვრა, რა დროსაც მხოლოდ ერთეულებს შეეძლება რეალურად უზრუნველყონ ტენდერით გათვალისწინებული პირობების შესრულება. ამასთან, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრისას, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა გამონახოს ოქროს შუალედი, ვინაიდან არასაკმარისად განსაზღვრული მოთხოვნები ზრდის ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს,

ხოლო გადაჭარბებული მოთხოვნები უსაფუძვლოდ აფერხებს პოტენციურ მიმწოდებლებს და ზღუდავს კონკურენციას. გამომდინარე აქედან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოთხოვნები მიმწოდებლების მიმართ საჭიროა განსაზღვროს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ყოველი ცალკეული შესყიდვის შემთხვევაში ინდივიდუალურად, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობისა და მიწოდების ვადის გათვალისწინებით. ბუნებრივია, ყოველი საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნა საჭიროა იყოს ობიექტური და თვლადი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ინტერპრეტირების შესაძლებლობას და შემსყიდველ ორგანიზაციას თავიდან აარიდებს როგორც სადაო საკითხებს, ასევე კითხვებს მაკონტროლებელი უწყებების მხრიდან.¹⁹⁰ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ყოველი დისკრიმინაციული მოთხოვნა იძლევა საშუალებას ბაზარზე შეზღუდოს ჯანსაღი კონკურენცია და უზრუნველყოს შესყიდვის პროცედურების არაკეთილსინდისიერად განხორციელება. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კორუფციასთან ბრძოლა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. რისკების შესამცირებლად საჭიროა შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლებმა გაიზიარონ ის მაღალი პასუხისმგებლობა, რაც მათ საქმიანობას უკავშირდება. ამისათვის სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2017 წელს შეიმუშავა სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირებისათვის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით სამოდელო ქცევის წესების დანერგვას. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო შესყიდვები კორუფციისადმი ერთ-ერთ ყველაზე მიდრეკილ სფეროს წარმოადგენს, არაეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა აფერხებს ბაზარზე კონკურენციას და შედეგად იწვევს საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გადახდილი თანხის ზრდას.¹⁹¹ აღნიშნული ნეგატიურ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ დასახული პროექტების განხორციელების საკითხზე. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეალური სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრისა და ჯანსაღი

¹⁹⁰ „რეკომენდაცია შესყიდვის ობიექტის ანალოგიური მიწოდების მოთხოვნასთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

¹⁹¹ სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი

კონკურენტუნარიანი ბაზრის ფორმირების საკითხს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი, როგორც შიდა და სახელმწიფო აუდიტის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2017 წელს დამუშავდა აღნიშნული ავტომატური შეტყობინებების სისტემის მეშვეობით გამოვიღებული 17 000-ზე მეტი ტენდერი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 40 000-ზე მეტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 2 000-მდე წერილობითი შეტყობინება, რომელთა მიმართებაშიც სააგენტო ძირითადად შემოიფარგლა რეკომენდაციით.¹⁹² ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელება მნიშვნელოვანი წინაპირობაა როგორც საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვისათვის, ასევე სისტემის გამჭვირვალედ და გამართულად ფუნქციონირებისათვის, რაც ამავედროულად ზრდის ბიზნეს საზოგადოების ნდობას ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების სფეროსა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართ.

ამასთან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საჯარო სამსახურის სანქციები წარმოადგენს, რა დროსაც შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გარდა, გათვალისწინებულია მოთხოვნის უზრუნველყოფისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო, რომელიც მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. პირგასამტეხლოს ოდენობა, რიგ შემთხვევებში, არაპროპორციულად მაღალია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შემსყიდველ ორგანიზაციებს აძლევს შემდეგ რეკომენდაციას:

- ✓ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით;

¹⁹² სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ E-Newsletter 2017

- ✓ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;
- ✓ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.¹⁹³

მიუხედავად მოცემული რეკომენდაციისა, ხშირად შემსყიდველი ორგანიზაციები განსაზღვრავენ არაპროპორციულად მაღალ პირგასამტეხლოს ოდენობას, რომელიც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კერძო სუბიექტების საქმიანობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემსყიდველმა ორგანიზაციებმა დაიცვან თანაბარზომიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც არ დააკისრებს შეუსაბამოდ მძიმე ტვირთს ხელშეკრულების მეორე მხარეს.

სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას გამოცდილება წარმოადგენს. ყოველი კონკრეტული შესყიდვის ობიექტიდან გამომდინარე შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია თავად განსაზღვრავს რა ტიპისა და მოცულობის ანალოგიური გამოცდილება უნდა გააჩნდეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს. ხშირად აღნიშნული მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასა და გონივრულად მოსათხოვ თანხას. ასეთ დროს ტენდერში ერთი ან რამდენიმე მსხვილი კომპანია იღებს მონაწილეობას, რომელთაც კონკურენციას ვერ უწევს შედარებით ახალი და პატარა, მაგრამ პერსპექტიული ორგანიზაციები. შესაბამისად, იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია და არ ხდება სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვა. არამართლზომიერად მაღალი

¹⁹³ „რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

გამოცდილების მოთხოვნა ხელს უშლის სახელმწიფო შესყიდვების მიზნების განხორციელებას და მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით შესაბამისი რეგულაციების განხორციელება. ამასთან, გამოცდილების ნაწილში მნიშვნელოვან პრობლემას ამხანაგობის ტენდერში მონაწილეობის საკითხი წარმოადგენს. ამხანაგობის სახით ტენდერში ერთი ან რამდენიმე კომპანიის ერთობლივად მონაწილეობისას დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება.¹⁹⁴ გამოცდილების შეკრების შეზღუდვა ხელს უშლის დაინტერესებულ მცირე კომპანიებს დააკმაყოფილონ ტენდერით განსაზღვრული მოთხოვნები. თუმცა გამოცდილების დაჯამების ნებადართულობის შემთხვევაში შეიძლება თავი იჩინოს ტენდერში ამხანაგობის სახით ბევრი კომპანიის ერთად მონაწილეობისა და მინიმალური გამოცდილებების დაჯამების შემთხვევამ, რომელთაგან არცერთს ექნება რეალურად შესაძლებლობა უზრუნველყონ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა. შესაბამისად, საჭიროა ოქროს შუალედის მოძებნა, რა დროსაც არ მოხდება კონკურენციის შეზღუდვა და ამასთან შეირჩევა რეალურად შემსრულებელი კომპანიების ორი ან რამდენიმე მონაწილისგან დაკომპლექტებული გუნდი. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა ამხანაგობის წევრებისათვის ცალკეული სამუშაოების მიერ დიფერენცირებული გამოცდილების მოთხოვნა, ან შესყიდვის ობიექტის ღირებულებიდან გამომდინარე ანალოგიური გამოცდილების მინიმალური პროცენტული მოთხოვნის განსაზღვრა.

ანალოგიური გამოცდილების მოთხოვნის მიმართულებით კიდევ ერთ პრობლემას უშუალოდ ანალოგიური პროექტებზე მოთხოვნის მიმართულება წარმოადგენს. ძირითად შემთხვევებში ტენდერებში განსაზღვრულია მოთხოვნა, რომ მონაწილე კომპანიებმა შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. კომპანიებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ არა

¹⁹⁴ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

ანალოგიური და მსგავსი ხასიათის, სირთულისა და სპეციფიკაციის გათვალისწინებული პროექტების განხორციელების გამოცდილება, არამედ უფრო მაღალი კვალიფიკაციის, რომელიც არ მიეკუთვნება ანალოგიურისას. შესაბამისად, უფრო რთული კატეგორიის გამოცდილების მქონე კომპანიები ვერ ახერხებენ ტენდერში მონაწილეობის მიღებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ყოველი ცალკეული ტენდერის გამოცხადებებისას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მკაფიოდ განისაზღვროს რა მიეკუთვნება ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს, რითიც დაინტერესებულ კომპანიებს ეცოდინებათ რეალურად აქვთ თუ არა შესაძლებლობა დააკმაყოფილონ ტენდერით განსაზღვრული მოთხოვნები.

ამასთან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს არ გააჩნია ეროვნული სამშენებლო ნორმები და წესები, ამიტომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების დამტკიცებამდე, სამშენებლო საქმიანობისას გამოიყენება ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში 1992 წლამდე გამოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა აღტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით.¹⁹⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევებში მშენებლობის დროს ხარჯთაღრიცხვებში გამოყენებულია ისეთი მანქანა მექანიზმები რომლებიც უკვე მოძველებულია (დაკავშირებულია ექსპლუატაციის დიდ ხარჯებთან), ამიტომ ხარჯთაღრიცხვებში გამოყენებული მანქანა მექანიზმების ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავებულია რეალურად სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გამოყენებულ მანქანა-მექანიზმების ხარჯებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემუშავდეს ახალი

¹⁹⁵ „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანება

ეროვნული სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც აღმოფხვრილი იქნება დღეისათვის არსებული ხარვეზები და მიახლოებული იქნება ევროკავშირში მოქმედ მოთხოვნებთან.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს საბჭოთა კავშირის დროს დამტკიცებული სნიპ-ები, რომლის მოქმედებაც ჯერ კიდევ საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებითა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული. სამშენებლო სფეროში გარკვეული რეგულაციების შემოღების მცდელობა არის „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით განსაზღვრულია სამუშაოების საწყისი სავარაუდო ღირებულებების დასადგენად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული დადგენილების მოქმედების არეალი ვრცელდება სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებზე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის დროს. აღნიშნული დადგენილება ასევე განსაზღვრავს სამშენებლო სფეროში გამარტივებული შესყიდვის დროს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური დაგროვების ზღვრულ ოდენობებს.

ამასთან, შემსყიდველების მხრიდან საქართველოს მთავრობის 55-ე დადგენილების გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხდება არასწორად, კერძოდ, სატენდერო პროცედურების დროს შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში იდება ისეთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც ხელოვნურად იზღუდება ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური დაგროვების ზღვრულ ოდენობები. ანუ ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური დაგროვების ზღვრულ ოდენობები არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის 55-ე დადგენილებით განსაზღვრულს, რაც თავის მხრივ წარამოადგენს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის საორგანიზაციო და კომერციულ საქმიანობაში უხეშ ჩარევას და ცალსახად ზღუდავს კონკურენციას. ზედნადები ხარჯებისა და მოგების ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს ცალკეული კომპანიის შიდა სტრუქტურულ და საორგანიზაციო საკითხს. მაგალითად, კომპანიების

რომლებაც გააჩანიათ მუდმივმოქმედი სტრუქტურა და მენეჯმენტი, მათი ზედნადები ხარჯები უფრო მაღალია ისეთ კომპანიებთან შედარებით, რომლების მუშაობენ ე.წ. დაკვეთიდან-დაკვეთამდე პრინციპით, ანუ მხოლოდ დაკვეთის მიღების შემდეგ ადგენენ სტრუქტურას და ქმნიან პროექტის მენეჯმენტს. სატენდერო პროცედურების დროს, ზედნადები ხარჯებისა და მოგების ოდენობის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა, ხშირ შემთხვევაში აიძულებს კომპანიებს ხელოვნურად გაზარდონ მასალის, შრომითი და სატრანსპორტო ხარჯები, რადგან მათში აკუმულირებული ე.წ. დამალული მოგებით შესძლონ სრულად დააფინანსონ ორგანიზაციის ზედნადები ხარჯები.

ამასთან, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს შემდეგი: პროექტირების მიმართულებით არ არსებობს ლიცენზიის ან/და აკრედიტაციის გამცემი ორგანო რომელიც მონიტორინგს გაუწევს საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს შეუძლია საქმიანობის სფეროში მიუთითოს პროექტირება. აღნიშნული ფაქტი ხშირ შემთხვევაში იწვევს არაკვალიფიციური სპეციალისტების მიერ დაბალი ხარისხის მქონე პროექტების მომზადებას, რაც ხელს უშლის სამშენებლო სამუშაოების წარმატებით განხორციელებას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულება. აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად, ხორციელდება საექსპერტო მომსახურების სფეროში მოქმედი კომპანიების და ლაბორატორიების აკრედიტირება.¹⁹⁶ აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-

¹⁹⁶ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2018 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანება

ერთ გზას წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციების სავალდებულო ექსპერტიზა, რომლებსაც შესაბამის სფეროში აკრედიტირებული კომპანიები განახორციელებენ. ასევე, სავალდებულო უნდა გახდეს საპროექტო კომპანიების მიერ იმ საინჟინრო ლიცენზირებული პროგრამების შექმნა, რომლებსაც საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად იყენებენ. აღნიშნული უზრუნველყოფს საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხის მნიშვნელოვნად ამაღლებასა, რაც შესაბამისად დადებითად აისახება მშენებლობის განხორციელების პროცესზე.

ქვეყნის მასშტაბით სტანდარტების არ არსებობა ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. ამ კუთხით არც სამშენებლო სექტორი წარმოადგენს გამონაკლისს. სამშენებლო სექტორში შესაბამისი ნორმებისა და სტანდარტების არ არსებობა სირთულეებს ქმნის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროსაც. მაშინ როდესაც მთავრობის სტრატეგიას დიდი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, სამშენებლო სფეროში შესაბამისი ნორმები და სტანდარტები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ქვეყანაში სამშენებლო და საპროექტო სახელმწიფო შესყიდვების სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი რეგულაციების შემუშავება. საჭიროა დადგინდეს შესაბამისი სტანდარტები და ნორმები, რომლებიც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელ და ხარისხიან წარმოებას. მოძველებული ნორმები და სტანდარტები ვერ უწყობს ხელს დარგის განვითარებას შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამშენებლო სამუშაოების დარგში შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის შეუფერხებელ განვითარებას.

3.2 კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების ერთ მხარეს შემსყიდველი ორგანიზაციები, ხოლო მეორე მხარეს ბიზნეს სექტორი წარმოადგენს. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება კომპანიების მაღალი ჩართულობის გარეშე წარმოდგენილია, შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბიზნეს სექტორზე არსებული სიტუაციის გავლენის ანალიზი. შესაბამისად, ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავს სამშენებლო სექტორის სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით არსებული ვითარების შესწავლას და კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის ფარგლებში მოხდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება. პირველადი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე მოხდა შედეგების განზოგადება და შესაბამისი რეკომენდაციის დამუშავება. კვლევის ინსტრუმენტად არჩეულია რესპოდენტების წერილობითი გამოკითხვა.

საკვლევი პოპულაცია და შერჩევის მოცულობა განისაზღვრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. კვლევის დაწყებამდე და რეპრეზენტატულობის ხარისხის განსაზღვრამდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა სამშენებლო სექტორის სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული კომპანიების შესახებ, რომელთა რიცხვმა 2018 წელს 2 700 ორგანიზაცია შეადგინა. სალანტზე და დილმანზე დაყრდნობით¹⁹⁷, მსგავს კვლევებში მიღებულია 90%-იანი სანდობის მაჩვენებელი +/- 10% ნდობის ინტერვალით, რაც აღიარებულია ბიზნეს სფეროში მოღვაწე მკვლევარების მიერ. ამიტომ, ზემოაღნიშნული საკვლევი პოპულაციიდან მინიმუმ შერჩევის ზომა არის 66 შემთხვევა.¹⁹⁸ გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის რისკის გათვალისწინებით, კითხვარი 130 ორგანიზაციას დაეგზავნა. მათგან 126 კომპანია გამოეხმაურა.

¹⁹⁷ Salant, P., Dillman, D., How to Conduci Your Own Survey. New York: John Wile, 1994

¹⁹⁸ <https://www.surveymonkey.com/mp/sample-size-calculator/>

კითხვარის შედეგების სამუშაო პროცესში აქტიურად ჩართულნი იყვნენ, როგორც აკადემიური ისე პრაქტიკული სფეროს წარმომადგენლები. კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა გამოკითხვის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება და შესაბამისი სამიზნე რესპოდენტების შერჩევა. შემუშავდა კითხვარი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გავანალიზოთ საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ვითარება და გაუმჯობესების მიზნით წარმოვადგინოთ რეკომენდაციები. შეთავაზებული კითხვარი ადვილად კითხვადი იყო და 21 კითხვას მოიცავდა (იხ. დანართი №3), რომელთაგან 19 დახურული, ხოლო 2 ღია სახის კითხვას წარმოადგენდა. დახურულ შეკითხვებში რესპოდენტებისათვის მოცემული იყო პასუხების ყველა შესაძლო ვარიანტი. ღია კითხვების შემთხვევაში კი გამოკითხულებს საშუალება მიეცათ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია დასმულ საკითხთან მიმართებაში.


ყველა გამოკითხული ორგანიზაცია საქართველოს რეზიდენტ კომპანიას წარმოადგენდა. მათ 90 %-ს სრულად ქართული კაპიტალის მქონე ორგანიზაციები შეადგენდნენ, ხოლო 10 %-ს - შერეული კაპიტალის მქონე (იხ. დიაგრამა 3.2.1).

დიაგრამა 3.2.1



გამოკითხული ორგანიზაციების სამართლებრივ ფორმას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) წარმოადგენდა. ბაზარზე ოპერირების გამოცდილებით კი სამ ჯგუფად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ მათგან 66 %-ი უკვე 10 წელზე მეტია სამშენებლო სექტორშია ჩართული (იხ. დიაგრამა 3.2.2).

დიაგრამა 3.2.2



მცირე და საშუალო ბიზნესს სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკის განვითარებაზე პოზიტიური ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საგულისხმოა, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის სამუშაო ძალის დაახლოებით 64 %-ს ასაქმებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბრუნვის წილი მთლიანი ბრუნვის დაახლოებით 56 %-ს შეადგენს.¹⁹⁹ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განხორციელებული კვლევების თანახმად, ტიპიურ

¹⁹⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

სირთულეებს, რომლებსაც, როგორც წესი, აწყდებიან მცირე და საშუალო საწარმოები სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, განეკუთვნება:

- ⇒ შესყიდვის ობიექტის მოცულობასა და არაერთგვაროვნებასთან დაკავშირებული სირთულეები;
- ⇒ არასაკმარისი დრო სატენდერო წინადადების შემუშავებისათვის;
- ⇒ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული სპეციფიკაციებით საჭიროების დაკმაყოფილების ზოგიერთი ალტერნატივის შეზღუდვა;
- ⇒ არაპროპორციულად მაღალი საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები;
- ⇒ არაპროპორციულად მაღალი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები;
- ⇒ დაგვიანებული გადახდები.²⁰⁰

ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის დიდი მოცულობა აღემატება მცირე ბიზნესის ზოგად შესაძლებლობებს, რის გამოც ესა თუ ის მცირე საწარმო ვერ ახერხებს ტენდერში მონაწილეობის მიღებას. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ერთი საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად.²⁰¹ შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა საშუალებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციებს მსხვილი შესყიდვების შემთხვევაში გამოიყენონ ეგრეთწოდებული ლოტებად დაყოფის სტრატეგია, რაც ნიშნავს ორგანიზაციების შესაძლებლობას, დაყონ დაგეგმილი დიდი მოცულობის ტენდერი რამდენიმე შედარებით მცირე ტენდერად (ლოტად) „ხარისხობრივი“, „რაოდენობრივი“ და/ან „გეოგრაფიული“ ფაქტორების გათვალისწინებით. „გეოგრაფიული ლოტები“ გულისხმობს შესყიდვის ობიექტის დაყოფას მიწოდების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. სავსებით შესაძლებელია, რომ შესაბამის ბაზარზე მომუშავე ტიპიურ საწარმოს არ გააჩნდეს


²⁰⁰ Evaluation of SMEs' Access to Public Procurement Markets in the EU, Specific contract No ENTR/E4/04/93/1/07/11, Coordinated by DG Enterprise and Industry of the European Commission, Final Report, submitted by GHK and Technopolis within the framework of ENTR/04/093-Lot 1

²⁰¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

საკმარისი რესურსი, იმისათვის, რათა მან ერთდროულად გაწიოს მომსახურება, ან განახორციელოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. „რაოდენობრივ ლოტებად“ დაყოფა გულისხმობს დიდი მოცულობის შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად, რამდენიმე ტენდერის საშუალებით შესყიდვას, როდესაც ყოველი ცალკეული ტენდერის შესყიდვის ობიექტს იდენტური შინაარსის და მახასიათებლების მქონე საქონელი, მომსახურება თუ სამშენებლო სამუშაო განეკუთვნება. ბუნებრივია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ ტენდერში მონაწილეობა მიმწოდებლების მხრიდან გარკვეულ ხარჯებს საჭიროებს. შესაბამისად, სასურველი შედეგი ვერც შესყიდვის ობიექტის გადაჭარბებულად დანაწევრების შემთხვევაში იქნება მიღწეული.²⁰² შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია შესყიდვის ობიექტზე და არსებულ ბაზარზე მორგებული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა.

რაც შეეხება საშუალო წლიური ბრუნვას. ამ მიმართულებით კომპანიები დაიყო: 30 000 – 500 000, 500 000 – 1 500 000 და 1 500 000 და მეტი ლარის წლიური ბრუნვის მქონე კომპანიათა ჯგუფებად. მათგან 17 %-ის წლიური ბრუნვა ნახევარ მილიონზე ნაკლებია, ხოლო 96 %-ის - 1 500 000 ლარს აღემატება (იხ. დიაგრამა 3.2.3).


დიაგრამა 3.2.3



²⁰² მეთოდური მითითებები მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გარკვეული როლი სახელმწიფო შესყიდვების სფეროს აკისრია. უკანასკნელ წლებში საქართველოში დანერგილმა შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ მნიშვნელოვნად გაამარტივა საჯარო ტენდერებზე წვდომა. მიუხედავად ასეთი ხელმისაწვდომობისა, დღესდღეობით, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის სათანადო სურვილისა და განწყობის ჩამოყალიბება ტენდერებში მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობის სტიმულირებისათვის. შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მცირე და საშუალო საწარმოთა ფართო ჩართულობა, როგორც წესი, დადებითად აისახება არა მხოლოდ ცალკეული შესყიდვის შედეგებზე, არამედ იგი თავის კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს დასაქმებასა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე.²⁰³ შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში ბიზნეს სექტორის განვითარების საკითხს. გამოკითხული ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული პასუხების შედეგად დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით კომპანიები ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყო. გამოკითხულთაგან 10 %-ს დასაქმებული ჰყავს 2 დან 20 კაცამდე, 15 %-ს - 20 დან 100 კაცამდე, ხოლო 75 %-ს 100 კაცზე მეტი (იხ. დიაგრამა 3.2.4).

დიაგრამა 3.2.4




²⁰³ მეთოდური მითითებები მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის

რაც შეეხება თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხს მეტ-ნაკლებად დიფერენცირებულია განაწილება ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და დამხმარე პერსონალთან მიმართებაში.


გამოკითხულ კომპანიებში ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასი ყველგან 500 ლარს აღემატება და ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა. დასაქმებულთა 6 %-ის ხელფასი 500 – 1000 ლარამდე, 10 %-ის – 1000 – 1500 ლარამდე, 17 %-ის - 1500 – 2000 ლარამდე მერყეობს, ხოლო გამოკითხულ კომპანიათა 67 %-ში ადმინისტრაციული მიმართულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ხელფასი 2000 ლარზე მეტია (იხ. დიაგრამა 3.2.5).

დიაგრამა 3.2.5



დამხმარე პერსონალთან დაკავშირებით კი გამოკითხულთა შედეგად ხუთი ჯგუფი ჩამოყალიბდა და აღსანიშნავია, რომ არცერთი მათგანის დამხმარე პერსონალისთვის გაცემული საშუალო ხელფასი 300 ლარზე ნაკლებს არ შეადგენს. ხოლო რაც შეეხება ჯგუფებს შორის პროცენტულ გადანაწილებას მონაცემები ასე გამოიყურება: გამოკითხულ კომპანიათა დამხმარე პერსონალის საშუალო ანაზღაურება 5 %-ს შეადგენს ხელფასი 300 - 600 ლარის, 39 %-ს - 600 – 900 ლარის, 28 %-ს - 900 – 1200 ლარის, 19 %-ს - 1200 – 1500 ლარის ფარგლებში, ხოლო კომპანიათა 9 %-მა მიუთითა, რომ დამხმარე პერსონალისათვის განსაზღვრულია 1500 ლარზე მეტი საშუალო ანაზღაურება აქვს (იხ. დიაგრამა 3.2.6).


დიაგრამა 3.2.6



აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სფერო მეტად მრავალფეროვანია და სახელმწიფო სექტორის გარდა კერძო სექტორის ნაწილსაც მოიცავს, შესაბამისად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს რა ნაწილს

შეადგენს სახელმწიფო დაკვეთები გამოკითხული კომპანიებისათვის. ამ მიმართულებით შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები გამოიკვეთა. გამოკითხულ კომპანიათა 29 % - ში სახელმწიფო დაკვეთები მოიცავს საქმიანობის 10-20 %, 24 % - ში კი 90-100 %-ს. მხოლოდ ორგანიზაციათა 13 %- ში სახელმწიფო პროექტები საქმიანობის 10 %-ზე ნაკლებია (იხ. დიაგრამა 3.2.7).


დიაგრამა 3.2.7



ერთ-ერთ საინტერესო საკითხს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებში განსაზღვრული მოთხოვნები წარმოადგენს. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლების მიმართ წაყენებული მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბება სანდო, ფინანსურად, აგრეთვე ტექნიკურად შეძლებული და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული მიმწოდებლის შერჩევის და, შესაბამისად, შესყიდვის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას

წარმოადგენს.²⁰⁴ ამ მიმართულებით კითხვარში ჩამოყალიბებული იყო ოთხი შეკითხვა და ეხებოდა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მოთხოვნების განსაზღვრას კომპანიების გამოცდილების, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების, შესასრულებელი სამუშაოს ვადებისა და საგარანტიო პირობების ადეკვატურობასთან მიმართებაში. აღნიშნულ კითხვებზე მითითებული იყო პასუხის სამი შესაძლო ვარიანტი: ადეკვატურია, არაადეკვატურია და მეტ-ნაკლებად ადეკვატურია. გამოცდილების მოთხოვნასთან მიმართებაში არცერთმა გამოკითხულ კომპანიათაგან არ მიიჩნია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები არაადეკვატურ მოთხოვნებს აწესებენ კომპანიების გამოცდილების თაობაზე შესასრულებელ სამუშაოებთან მიმართებაში. ამასთან, გამოკითხულთა 53 %-ს ადეკვატურად, ხოლო 47 %-ს მეტ-ნაკლებად ადეკვატურად მიაჩნია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული მოთხოვნები შესასრულებელ სამუშაოებთან მიმართებაში გამოცდილების თაობაზე (იხ. დიაგრამა 3.2.8).

დიაგრამა 3.2.8




²⁰⁴ „რეკომენდაცია შესყიდვის ობიექტის ანალოგიური მიწოდების მოთხოვნასთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების შეფასების მიზნით განსაზღვრული მოთხოვნები უნდა ჩამოაყალიბოს ნათლად, იმისათვის, რომ თავი აარიდოს სადაო საკითხებს. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბუნდოვანი/ორაზროვანი მოთხოვნების განსაზღვრის შემთხვევაში, ჩნდება დამატებითი კითხვები არა მხოლოდ კომპეტენტური მაკონტროლებელი უწყებების მხრიდან, არამედ მნიშვნელოვნად მატულობს სატენდერო კომისიის ამა თუ იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების რისკი, რაც საბოლოო ჯამში შემსყიდველ ორგანიზაციას უხანგრძლივებს შესყიდვის პროცედურებს. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო დოკუმენტაციით საჭიროა დააკონკრეტოს, თუ რა ჩაითვლება ანალოგიურ გამოცდილებად. ამასთან, ყოველი ცალკეული მოთხოვნა საჭიროა იყოს ობიექტური, თვლადი და პროპორციული, რაც ნიშნავს პირობის დაწესებას გააზრებულად და არა შაბლონურად, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ უნდა ახდენდეს კონკურენციის უსაფუძვლოდ შეზღუდვას.²⁰⁵ შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს უშუალოდ შესყიდვის ობიექტიდან გამომდინარე საჭიროებებზე და სატენდერო კომისიის მიერ მოთხოვნები გაიწეროს მაქსიმალურად მკაფიოდ ყველა პრეტენდენტისათვის გასაგებად.

დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა დაფიქსირდა სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან მიმართებაში. გამოკითხულთაგან არცერთ კომპანიას არ მიაჩნია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული მოთხოვნები შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ნაწილში არაადეკვატურია. მათგან 59 %-ს ადეკვატურად, ხოლო 41 %-ს მეტ-ნაკლებად ადეკვატურად მიაჩნია სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (იხ. დიაგრამა 3.2.9).

²⁰⁵ „რეკომენდაცია შესყიდვის ობიექტის ანალოგიური მიწოდების მოთხოვნასთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“




ცალკეულ შემთხვევებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის წარმოების მომსახურების გაწევისა ან სამშენებლო სამუშაოების შესრულების სანაცვლოდ განსახორციელებელი ფულადი ანგარიშსწორების ვადები განისაზღვრება არაგონივრულად. კერძოდ, აღნიშნული ვადები საკმაოდ გახანგრძლივებულია და ბევრად აღემატება ფულადი ანგარიშსწორებისათვის საჭირო აუცილებელ პერიოდს. შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი მიდგომა, ფინანსური თვალსაზრისით, წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს მიმწოდებელთათვის. დაგვიანებული გადახდები განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება მცირე და საშუალო ბიზნესს.²⁰⁶ შესაბამისად, მიზანშეწონილია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ოპტიმალური ანგარიშსწორებისათვის საკმარისი ვადების განსაზღვრა ისე, რომ კერძო სექტორის ფუნქციონირებას საფრთხე არ შეექმნას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შემსყიდველ ორგანიზაციებს აძლევს რეკომენდაციას, რათა მათ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელონ ხელშეკრულების შესრულების

²⁰⁶ „რეკომენდაცია ანგარიშსწორების ვადებთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ მითითებული ვადა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და საკანონმდებლო დონეზე გაწერილია


ამასთან შემსყიდველი ორგანიზაციები ყოველი შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე განსაზღვრავენ იმ პერიოდს რა ვადაშიც უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა კომპანიამ სატენდერო მოთხოვნების დაკმაყოფილება და სამუშაოს დასრულება. აღნიშნული მიმართულებით გამოკითხულ კომპანიათა შეხედულებები ასე გადანაწილდა: ორგანიზაციათა 65 %-ს მიაჩნია რომ განსაზღვრული ვადები ადეკვატურია, 29 %-ის აზრით მეტ-ნაკლებად ადეკვატურია, ხოლო 6 % მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები სატენდერო დოკუმენტაციაში უთითებენ არაადეკვატურ პერიოდს შესასრულებელ სამუშაოსთან მიმართებაში (იხ. დიაგრამა 3.2.10). აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია სატენდერო მოთხოვნების გაწერისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიექცეს შესასრულებელი სამუშაოს მომსახურების ვადების ოპტიმალურ გაწერას, რაც ხელს შეუწყობს კომპანიებს განსაზღვრულ პერიოდში უზრუნველყოს ვალდებულებების შესრულება

დიაგრამა 3.2.10



ხოლო რაც შეეხება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განაზღვრულ საგარანტიო მოთხოვნებს გამოკითხულთა 39 % მიიჩნია, რომ პირობები ადეკვატურია, ხოლო 61 % მათ მეტ-ნაკლებად ადეკვატურად მიიჩნევს. შესაბამისად, არცერთმა კომპანიამ არ მიიჩნია რომ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი საგარანტიო პირობები შეუსაბამო და არაადეკვატურია (იხ. დიაგრამა 3.2.11). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საგარანტიო პირობები მნიშვნელოვანია სამუშაოს დასრულების შემდგომ პერიოდში, რა დროსაც აღმოჩენილი ხარვეზები მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან აღმოიფხვრება.

დიაგრამა 3.2.11



ელექტრონულ ტენდერს ატარებს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია. სატენდერო კომისია მოქმედებს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით და მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო

კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:


- სატენდერო კომისიის დასახელება;
- სხდომის დრო და ადგილი;
- სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა (მათ შორის, დათქმა იმ წევრზე, რომელიც არ ესწრება სხდომას);
- განხილვის საგანი;
- სატენდერო კომისიის მსჯელობა;
- სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული ექსპერტებისა და კონსულტანტების მოსაზრება (არსებობის შემთხვევაში);
- ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომელსაც ეყრდნობა სატენდერო კომისია;
- კენჭისყრის შედეგები;
- მიღებული გადაწყვეტილება.²⁰⁷

იქიდან გამომდინარე, რომ სატენდერო პროცედურების განხორციელებისას ყველა გადაწყვეტილებას იღებს კომისია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემსყიდველი ორგანიზაციებში არსებული კომისიების საქმიანობის შეფასების საკითხს. შემსყიდველი ორგანიზაციების სატენდერო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გამოკითხული კომპანიები ამგვარად აფასებენ: ორგანიზაციათა 63 %-ი მეტ-ნაკლებად ადეკვატურად, 32 %-ი - ადეკვატურად, ხოლო 5 %-ი არაადეკვატურად მიიჩნევს კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს (იხ. დიაგრამა 3.2.12). სატენდერო კომისიების გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც კონკრეტულად შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობაზე, ასევე ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების სისტემაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კუთხით აღმოიფხვრას მიკერძოებისა და შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების


²⁰⁷ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

ფაქტები და დამკვიდრდეს ერთიანი ჯანსაღი მიდგომები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


დიაგრამა 3.2.12



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ კომპანიათაგან არცერთს მათგანს არ დაურღვევია სახელმწიფო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და უზრუნველყოფენ ვალდებულებების პირნათლად შესრულებას. შესაბამისად, გამოკითხული ორგანიზაციები კეთილსინდისიერ მიმწოდებლებს წარმოადგენდნენ, რაც ხელსაყრელია, როგორც კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, ასევე ზოგადად სახელმწიფო შესყიდვების სფეროსათვის. რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ დავებს გამოკითხულთა მხოლოდ 29 % ჰქონია დავა (იხ. დიაგრამა 3.2.13).



აღსანიშნავია, რომ დაგების საბჭო კანონის საფუძველზე შექმნილი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის მიზანს ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის ჩატარებისას წარმოშობილი დაგების სწრაფად, ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვეტა წარმოადგენს. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საბჭო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს ან/და თანამდებობის პირს. გამოკითხული კომპანიების პასუხები ვისაც გამოცდილება აქვთ სახელმწიფო შესყიდვებში დაგების წარმოების ნაწილში კითხვაზე თუ როგორ შეაფასებდნენ დაგების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს პასუხები ასე გადანაწილდა: 14 % - არაადეკვატურად, 25 % - ადეკვატურად, ხოლო 61 % მეტ-ნაკლებად ადეკვატურად აფასებს მიღებულ შედეგს (იხ. დიაგრამა 3.2.14).




„ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით განსაზღვრულია სამუშაოების საწყისი სავარაუდო ღირებულებების დასადგენად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა არაუმეტეს 10 %-ით, ხოლო ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისათვის გეგმიური მოგება ყველა სახის სამუშაოსთვის არაუმეტეს 8 %-ით.²⁰⁸ აღნიშნული ნორმები განსაზღვრულია როგორც ელექტრონულ ტენდერებში, ასევე გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის დამოკიდებულება დადგენილებით განსაზღვრული ნორმებთან მიმართებაში. ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებულ შესყიდვებთან

²⁰⁸ „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება

დაკავშირებული ნორმებზე გამოკითხულ კომპანიათა აზრი ასე გადანაწილდა: 14 %-ს აღნიშნული ნორმები არაადეკვატურად, 39 %-ს - ადეკვატურად, ხოლო 47 %-ს ნაწილობრივ ადეკვატურად მიაჩნია (იხ. დიაგრამა 3.2.15).

დიაგრამა 3.2.15



კომპანიებს ასევე უნდა ჩამოეყალიბებინათ ის პრობლემები, რაც მათ სამუშაო პრაქტიკაში გააჩნდათ. ორგანიზაციებმა წამოჭრეს ისეთი საკითხები, როგორცაა ერთ კომპანიაზე მორგებული გამოცდილების საკითხი, რომელიც ძირითადად დიდი ღირებულების შესყიდვის ობიექტებზე იჩენს თავს. ამასთან, კომპანიებს პრობლემას უქმნის ის ფაქტი, რომ ხარჯთაღრიცხვაში ერთი ციფრის გამორჩენა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ტენდერიდან და კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტებას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს იმ საკითხს, რომ ზოგიერთი კომპანია უმიზეზოდ ასაჩივრებს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებებს, რითიც ჭიანჭურდება შესყიდვების პროცედურები. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ჩაშლილი ხარჯთაღრიცხვები რომელიც შედგენილია მოძველებული სნიპების საფუძველზე. ამრიგად, კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ⇒ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა;
- ⇒ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტების გარეშე დისკვალიფიკაცია ხარჯთაღრიცხვაში განფასების გამორჩენის გამო;
- ⇒ უმიზეზოდ გასაჩივრებული ტენდერების გამო გაჭიანურებული სატენდერო პროცედურები;
- ⇒ საქართველოში ეროვნული სამშენებლო ნორმებისა და წესების არარსებობა.

3.3 სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკის და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.²⁰⁹ შესაბამისად საინტერესოა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფისა და განვითარების საკითხი. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითი მიმართულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, აქტუალურია თუ რამდენად რაციონალურად ხდება შესყიდვის განხორციელება. ამერიკელი ეკონომისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი განასხვავებს ფულის ხარჯვის ოთხ გზას²¹⁰:

1. როდესაც ხარჯავ საკუთარ ფულს საკუთარი თავზე;
2. როდესაც ხარჯავ საკუთარ ფულს სხვაზე;
3. როდესაც ხარჯავ სხვის ფულს საკუთარ თავზე;
4. როდესაც ხარჯავ სხვის ფულს სხვაზე.

როდესაც საკუთარ ფულს საკუთარ თავს ახარჯავ, ხარჯვის დროს ძალიან ფრთხილობ და აუცილებლად ცდილობ მაქსიმალური შედეგი მიიღო. მაშინ როდესაც საკუთარ ფულს ხარჯავ სხვაზე ფრთხილობ, რომ ძალიან ბევრი არ დახარჯო და საბოლოო შედეგზე ბევრს არ ზრუნავს. საკუთარი ფულის ნაცვლად სხვისი ფულის ხარჯვისას მდგომარეობა განსხვავებულია. ასეთ დროს, როდესაც სხვის ფულს საკუთარ თავზე ხარჯავთ აქცენტი კეთდება მაღალ ხარისხზე, მაგრამ არ ზრუნავთ ეკონომიაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვის ფულს სხვაზე ხარჯავთ სიფრთხილე მინიმუმამდეა დაყვანილი. აღნიშნულის უკეთ აღსაქმელად ქვემოთ მოცემული ცხრილი (იხ. ცხრილი 3.3.1).

²⁰⁹ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

²¹⁰ Milton Friedman, in a Fox News interview in May 2004

ფულის ხარჯვის ოთხი გზა

ვისთვის ხარჯავ ფულს

| | | საკუთარი თავისთვის | სხვისთვის |
|-------------|-----------------|--|---|
| ვის ფულს | საკუთარ ფულს | აქცენტი კეთდება ეკონომიასა და ხარისხზე | აქცენტი კეთდება ეკონომიაზე, მაგრამ არა ხარისხზე |
| ხარჯავ | სხვის ფულს | აქცენტი კეთდება მაღალ ხარისხზე და არა ეკონომიაზე | აქცენტი არც ეკონომიაზე კეთდება და არც ხარისხზე |

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვები ფულის ხარჯვის ყველაზე კრიტიკულ მიმართულებას წარმოადგენს, რა დროსაც სხვისი ფული სხვისთვის იხარჯება და შესაბამისად ხშირ შემთხვევაში აქცენტი არც ეკონომიაზე კეთდება და არც ხარისხზე. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემსყიდველი პირების ცნობიერების ამაღლების გარდა ქვეყანაში შეიქმნას

სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფილი სისტემა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს აღნიშნულ სფეროში ფინანსური რესურსების არარაციონალურ ხარჯვას.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის, ვინაიდან გამართული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით შესაძლებელია დაიზოგოს სახელმწიფო სახსრები და თავიდან იქნეს არიდებული მათი არარაციონალური ხარჯვა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს კორუფციისადმი ერთ-ერთ ყველაზე მიდრეკილ სფეროს. არაეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა აფერხებს ბაზარზე კონკურენციას და შედეგად იწვევს საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გადახდილი თანხის ზრდას. ეს კი, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ დასახული ამბიციური პროექტების და გეგმების განხორციელებაზე, ასევე იწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ გაუცხოებასა და ნდობის დაკნინებას.²¹¹ აქედან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში დაცულ უნდა იქნეს ეთიკური ქცევის პროფესიული სტანდარტები და ჩამოყალიბდეს მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და ღია სისტემა, სადაც თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ და მართლზომიერ ხარჯვას.

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. შესყიდვის ობიექტისა და მიმწოდებელ ორგანიზაციაზე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები აუცილებელია ესმიანებოდეს ბაზარზე არსებული სიტუაციის რეალურ შედეგებს. მნიშვნელოვანია მოთხოვნები განსაზღვრული იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის რეალური საჭიროებების შედეგად და შესაძლებლობას იძლეოდეს არა კონკრეტული არამედ შესაძლებლობის შემთხვევაში ალტერნატიული შესყიდვის ობიექტის მიღებას. ტენდერში მონაწილე კომპანიაზე გამოცდილების, საგარანტიო პირობების, მიწოდების ვადა ან სხვა

²¹¹ სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი

მნიშვნელოვანი პირობების მორგება ხელოვნურად უზრუნველყოფს კონკურენციის შეზღუდვას და ზრდის მიუკერძოებლობის რისკს. აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების გარდა საჭიროა მასტაბური ტიპის შესყიდვის ობიექტებზე შემუშავდეს ერთიანი მინიმალური მოთხოვნები და შესაბამისი რეკომენდაციები რასაც კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას სახელმწიფო ორგანიზაციები გამოიყენებენ. აღნიშნული გარკვეულწილად აღმოფხვრის მორგებული სატენდერო მოთხოვნების რისკს და უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი საბაზრო მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის საწინდარია.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად, პრეტენდენტი, რომლის ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება დასაშვებია, თუ იგი არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომლის დაზუსტება არ გამოიწვევს მის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ხარჯთაღრიცხვა, თუ იგი არ არის ატვირთული სისტემის სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ ველში ან სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი იგი.²¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის მიხედვით შემსყიდველ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ, რომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მთავარი შემადგენელი დოკუმენტი - ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთონ Excel-ის დოკუმენტის სახით. თავის მხრივ, მიმწოდებლებს შესაძლებლობა

²¹² „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება

აქვთ აღნიშნულ ტენდერებში ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) წარადგინონ Excel-ის დოკუმენტის სახით. ზემოხსენებული ტენდერებში შერჩევა/შეფასების დროს მინიმუმამდღა დაყვანილი ტექნიკური ხასიათის შეცდომები და უზუსტობები (მაგალითად, Excel-ის დოკუმენტის ფორმატში გადაყვანის დროს ხდება რიცხვების დამრგვალება), რაც PDF ფორმატის დოკუმენტის შემთხვევაში საკმაოდ ხშირ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, დაგების საბჭო საკუთარი განზოგადებული პრაქტიკის შესაბამისად მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი Excel-ის დოკუმენტით. ამასთან, პრეტენდენტის მიერ ფორმატში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემთხვევაში უნდა მოხდეს აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული რიცხვების გადამოწმება Excel-ის ფორმულის მიხედვით. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად დაზუსტების გარეშე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ხარჯთაღრიცხვაში ერთი პოზიციის განფასების გამორჩენის გამო ხშირ შემთხვევაში ორგანიზაციების პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია უმნიშვნელო ხარვეზის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნით მიმართონ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას უმიზეზოდ გასაჩივრებული ტენდერების გამო გაჭიანურებული სატენდერო პროცედურები წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში ზარალდება, როგორც შემსყიდველი ასევე ტენდერში მონაწილე კომპანიები. სატენდერო პროცესის გაჭიანურება ხელს უშლის შესყიდვის ობიექტის დროულ მიწოდებას და საერთო ჯამში უარყოფითად აისახება სახელმწიფო ორგანიზაციების შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დაგების საბჭოში გასაჩივრება უფასო იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, თუმცა დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღეისათვის მიღებულია სახელმწიფო შესყიდვების გასაჩივრების ახალი წესი, კერძოდ, სატენდერო პირობების გასაჩივრების საშუალება აქვს ნებისმიერ მსურველს და პრეტენდენტს, ხოლო შერჩევა-შეფასებას, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს ის

პრეტენდენტი, რომლის უფლებების შეილახა. სატენდერო პირობების გასაჩივრება უფასოა, ხოლო შერჩევა-შეფასების ეტაპზე გასაჩივრება ფასიანია და შეადგენს შესყიდვის ობიექტის ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარს, საფასური უკან უბრუნდება მომჩივანს, გარდა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევისა. აღნიშნული ცვლილების ძირითად მიზეზს საჩივრების წარდგენით ხელოვნურად გაჭიანურებული სატენდერო პროცედურები წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს დაუსაბუთებელ საჩივრებს და დღის წესრიგში დგას შესყიდვის პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების საკითხი. აღნიშნულის პრობლემის უზრუნველსაყოფად საჭიროა გადაისინჯოს საბჭოს მიერ განხილვის ვადის საკითხი და შესყიდვის ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე მოხდეს გადაწყვეტილების შედარებით მოკლე ვადებში განხილვა.

გარდა ამისა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში ეროვნული სამშენებლო ნორმებისა და წესების არარსებობა წარმოადგენს. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს საბჭოთა კავშირის დროს დამტკიცებული სნიპ-ები, რომლის მოქმედებაც ჯერ კიდევ საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებითა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული. სამშენებლო საქმიანობისას გამოიყენება ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში 1992 წლამდე გამოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა ალტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით.²¹³ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევებში მშენებლობის დროს ხარჯთაღრიცხვებში გამოყენებულია ისეთი მანქანა მექანიზმები რომლებიც უკვე მოძველებულია, რაც თავის მხრივ მათი ექსპლუატაციის ხარჯებს ზრდის და ხარჯთაღრიცხვებში

²¹³ „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანება

გამოყენებული მანქანა მექანიზმების ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავებულია რეალურად სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გამოყენებულ მანქანა-მექანიზმების ხარჯებთან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შემუშავდეს ახალი ეროვნული სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც აღმოფხვრილი იქნება დღეისათვის არსებული ხარვეზები და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ევროკავშირში მოქმედ მოთხოვნებზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

სახელმწიფო შესყიდვების ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. სახელმწიფომ უნდა შექმნას კონკურენტული გარემო და უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების სფერო გამართული სამართლებრივი ბაზით.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფინანსური რესურსები სწორედ იყოს მიმართული ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფილ იქნას მათი რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სექტორის სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესების საკითხს, რადგან სახელმწიფო შესყიდვები პირდაპირ მონაწილეობას ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში. გამომდინარე აქედან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების მაქსიმალური ჩართულობა და დაინტერესება შესყიდვების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და კომპანიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში 2010 წლის შემდგომ გატარებულმა რეფორმამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა. სისტემამ ძირეული ცვლილება განიცადა პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. მსოფლიო ბანკის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა შეფასებული იყო, როგორც კორუფციის მაღალი რისკის მატარებელი სისტემა. სახელმწიფო შესყიდვების ახალმა ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ უზრუნველყო საზოგადოების ნდობის ამაღლება და გამჭვირვალე გახდა სახელმწიფო ფინანსური რესურსების ხარჯვის მექანიზმი. შესყიდვების პროცესების ელექტრონიზაციამ ტენდერებში მონაწილეობა არაბიუროკრატიული და გამჭვირვალე გახდა. დღეისათვის ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია უმოკლეს ვადაში მოიძიოს

ინფორმაცია თუ რომელი შემსყიდველი რა ობიექტისა და ტიპის შესყიდვას ახორციელებს. აღნიშნული ამცირებს კორუფციის რისკებს და ქმნის სამართლიან გარემოს. მიმდინარე ეტაპზე მუდმივად ხდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტონული სისტემის დახვეწა და მოდიფიკაცია, რაც მომავალში უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიმართულებას. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ მიმართულებებს, რომელიც საერთოდ არ რეგულირდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით. შეთანხმების შედეგად, გარდა იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შედეგად დაიხვეწება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფერო, ორმხრივი ბაზრის გახსნა ხელს შეუწყობს ქართულ კომპანიების ჩართულობას ევროკავშირის ქვეყნების საჯარო შესყიდვებში. ამასთან, ევროპის საჯარო შესყიდვების ბაზარზე გასვლა ქართულ ბიზნეს სუბიექტებს მისცემს საქმიანობის გაფართოების საშუალებას და ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ქართული კომპანიისათვის და ქვეყნის მსოფლიო ასპარეზზე არსებით გასვლას გულისხმობს. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფორმირება ამჟამადაც მიმდინარეობს, რაზეც საკანონმდებლო ბაზის მუდმივი ცვლილება მეტყველებს. საქართველოში გატარებული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ, მიზნობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას. ამათან, მნიშვნელოვნად ზრდის კერძო სექტორში კონკურენციის დონეს და უზრუნველყოფს ბიზნეს სუბიექტების მაქსიმალურ ჩართულობას.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯებისა, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მაინც გვევლინება შესყიდვის ობიექტების ხარისხის პრობლემა. შემსყიდველი ორგანიზაციები თავისუფალნი არიან შესყიდვის ტიპის არჩევის მიმართულებით და ელექტრონული შესყიდვების ძირითადი წილი ისეთი ტიპის შესყიდვებზე მოდის, სადაც შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად ფასი გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზით სახელმწიფო სახსრების მაქსიმალური ეკონომია მიიღწევა, პრობლემა იქმნება ხარისხის თვალსაზრისით. შესაბამისად, საჭიროა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ უფრო მეტად ისეთი შესყიდვის ტიპების გამოყენება, სადაც მნიშვნელობა ფასის გარდა გარკვეულ სპეციფიკურ კრიტერიუმებს მიენიჭება. რადგან სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუკი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხდება უხარისხო საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს შესყიდვა, რომელიც მომავალში გამოიწვევს ხელახალ დანახარჯებს. მიუხედავად დღეისათვის არსებული ისეთი შესყიდვის საშუალებებისა, სადაც ფასის გარდა შესაფასებელ კრიტერიუმს ხარისხი წარმოადგენს, შემსყიდველი ორგანიზაციები აქცენტს მაინც მხოლოდ ფასის კრიტერიუმზე აკეთებენ. აღნიშნული პროცედურულად და შეფასების თვალსაზრისით უფრო მარტივია, რაც სახელმწიფო ორგანიზაციების არჩევანს განაპირობებს. შესაბამისად, იმ შესყიდვის საშუალებათა რიცხვი, რომელშიც სატენდერო წინადადების შესაფასებლად ფასის გარდა სხვა კრიტერიუმებიც გვევლინება მნიშვნელოვნად მცირეა და შემსყიდველი ორგანიზაციები უმეტესწილად მხოლოდ ღირებულების კლების საკითხზე აკეთებენ აქცენტს და შესაბამისად არჩევანსაც აკეთებენ. იმისათვის, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მიიღონ მაქსიმალური სარგებელი საჭიროა მაღალი სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონელი, მომსახურება ან სამუშაო მიიღონ, რაც თავისთავად იმავე შესყიდვის ობიექტზე უმოკლეს დროში ხელახალი შესყიდვის განხორციელების რისკს აღმოფხვრის. ყველა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის მიზანს უნდა წარმოადგენდეს, სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ფასისა და ხარისხის ადეკვატური შესაბამისობით შესყიდვა, ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი აქტიურობით გამოიყენონ შესყიდვის ის საშუალებები, სადაც პრეტენდენტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას

აზარტული ვაჭრობის შედეგად ხელოვნურად, და რაც მთავარია, არაადეკვატურად შეამცირონ შესყიდვის ობიექტის ფასი. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა შედეგებზე ორიენტირებული შესყიდვის განხორციელება, რაც გულისხმობს შედარებით ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვას და შესაბამისად, სახელმწიფოს კუთვნილი სახსრების რაციონალურ ხარჯვას. აქედან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით საჭიროა განისაზღვროს ის შესყიდვის ობიექტები, რომელთა შესყიდვის პროცედურები ფასის გარდა ორიენტირებული იქნება ხარისზე. ამ შემთხვევაში სტანდარტული ტენდერის ნაცვლად შემსყიდველი ორგანიზაციები აქცენტს სატენდერო წინადადების შეფასების დამატებით კრიტერიუმებზე გააკეთებენ, რაც კომბინირებული იქნება ფასისა და ხარისხის მოთხოვნების მიმართულებით.

საქართველოს არ გააჩნია ეროვნული სამშენებლო ნორმები და წესები, ამიტომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების დამტკიცებამდე, სამშენებლო საქმიანობისას გამოიყენება ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში 1992 წლამდე გამოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა ალტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევებში მშენებლობის დროს ხარჯთაღრიცხვებში გამოყენებულია ისეთი მანქანა მექანიზმები რომლებიც უკვე მოძველებულია (დაკავშირებულია ექსპლუატაციის დიდ ხარჯებთან), ამიტომ, ხარჯთაღრიცხვებში გამოყენებული მანქანა მექანიზმების ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავებულია რეალურად სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გამოყენებულ მანქანა-მექანიზმების ხარჯებთან. სამშენებლო სფეროში გარკვეული რეგულაციების შემოღების მცდელობა არის „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55

დადგენილებით განსაზღვრულია სამუშაოების საწყისი საგარეულო ღირებულებების დასადგენად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული დადგენილების მოქმედების არეალი ვრცელდება სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებზე, შესყიდვის საგარეულო ღირებულების დადგენის დროს. აღნიშნული დადგენილება ასევე განსაზღვრავს სამშენებლო სფეროში გამარტივებული შესყიდვის დროს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური დაგროვების ზღვრულ ოდენობებს. ქვეყნის მასშტაბით სტანდარტების არ არსებობა ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. ამ კუთხით არც სამშენებლო სექტორი წარმოადგენს გამონაკლისს. სამშენებლო სექტორში შესაბამისი ნორმებისა და სტანდარტების არ არსებობა სირთულეებს ქმნის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროსაც. მაშინ როდესაც მთავრობის სტრატეგიას დიდი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, სამშენებლო სფეროში შესაბამისი ნორმები და სტანდარტები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ქვეყანაში სამშენებლო და საპროექტო სახელმწიფო შესყიდვების სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი რეგულაციების შემუშავება. საჭიროა დადგინდეს შესაბამისი სტანდარტები და ნორმები, რომლებიც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელ და ხარისხიან წარმოებას. მოქმედებული ნორმები და სტანდარტები ვერ უწყობს ხელს დარგის განვითარებას შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამშენებლო სამუშაოების დარგში შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის შეუფერხებელ განვითარებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემუშავდეს ახალი ეროვნული სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც აღმოფხვრილი იქნება დღეისათვის არსებული ხარვეზები და მიახლოებული იქნება ევროკავშირში მოქმედ მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფას, რაც საერთო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე.

საქართველოში პროექტირების მიმართულებით არ არსებობს ლიცენზიის ან/და აკრედიტაციის გამცემი ორგანო რომელიც მონიტორინგს გაუწევს საპროექტო

ორგანიზაციების საქმიანობას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს შეუძლია საქმიანობის სფეროში მიუთითოს პროექტირება. აღნიშნული ფაქტი ხშირ შემთხვევაში იწვევს არაკვალიფიციური სპეციალისტების მიერ დაბალი ხარისხის მქონე პროექტების მომზადებას, რაც ხელს უშლის სამშენებლო სამუშაოების წარმატებით განხორციელებას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულება. აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად, ხორციელდება საექსპერტო მომსახურების სფეროში მოქმედი კომპანიების და ლაბორატორიების აკრედიტირება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციების სავალდებულო ექსპერტიზა, რომლებსაც შესაბამის სფეროში აკრედიტირებული კომპანიები განახორციელებენ. ასევე, სავალდებულო უნდა გახდეს საპროექტო კომპანიების მიერ იმ საინჟინრო ლიცენზირებული პროგრამების შექმნა, რომლებსაც საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად იყენებენ. აღნიშნული უზრუნველყოფს საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხის მნიშვნელოვნად ამაღლებასა, რაც შესაბამისად დადებითად აისახება მშენებლობის განხორციელების პროცესზე.

სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას გამოცდილება წარმოადგენს. ყოველი კონკრეტული შესყიდვის ობიექტიდან გამომდინარე შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია თავად განსაზღვრავს რა ტიპისა და მოცულობის ანალოგიური გამოცდილება უნდა გააჩნდეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს. ხშირად აღნიშნული მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასა და გონივრულად მოსათხოვ თანხას. ასეთ დროს ტენდერში ერთი ან რამდენიმე მსხვილი კომპანია იღებს მონაწილეობას, რომელთაც კონკურენციას ვერ უწევს შედარებით ახალი და პატარა, მაგრამ პერსპექტიული ორგანიზაციები.

შესაბამისად, იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია და არ ხდება სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვა. არამართლზომიერად მაღალი გამოცდილების მოთხოვნა ხელს უშლის სახელმწიფო შესყიდვების მიზნების განხორციელებას და მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით შესაბამისი რეგულაციების განხორციელება. ანალოგიური გამოცდილების მოთხოვნის მიმართულებით კიდევ ერთ პრობლემას უშუალოდ ანალოგიური პროექტებზე მოთხენის მიმართულება წარმოადგენს. ძირითად შემთხვევებში ტენდერებში განსაზღვრულია მოთხოვნა, რომ მონაწილე კომპანიებმა შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. კომპანიებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ არა ანალოგიური და მსგავსი ხასიათის, სირთულისა და სპეციფიკაციის გათვალისწინებული პროექტების განხორციელების გამოცდილება, არამედ უფრო მაღალი კვალიფიკაციის, რომელიც არ მიეკუთვნება ანალოგიურისას. შესაბამისად, უფრო რთული კატეგორიის გამოცდილების მქონე კომპანიები ვერ ახერხებენ ტენდერში მონაწილეობის მიღებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ყოველი ცალკეული ტენდერის გამოცხადებებისას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მკაფიოდ განისაზღვროს რა მიეკუთვნება ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს, რითიც დაინტერესებულ კომპანიებს ეცოდინებათ რეალურად აქვთ თუ არა შესაძლებლობა დააკმაყოფილონ ტენდერით განსაზღვრული მოთხოვნები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით აქცენტი გაკეთდეს მინიმალურად მოსათხოვი ანალოგიური გამოცდილებისა და ანალოგიური სამუშაოების განსაზღვრის თაობაზე, რაც უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან არარეალური მოთხოვნების დაწესების რისკის შემცირებას. აღნიშნული, საერთო ჯამში დადებითად აისახება სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის ფორმირების მიმართულებით და უზრუნველყოფილი იქნება სატენდერო პროცედურებში მონაწილე კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.

ამასთან, გამოცდილების ნაწილში მნიშვნელოვან პრობლემას ამხანაგობის ტენდერში მონაწილეობის საკითხი წარმოადგენს. ამხანაგობის სახით ტენდერში

ერთი ან რამდენიმე კომპანიის ერთობლივად მონაწილეობისას დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება. გამოცდილების შეკრების შეზღუდვა ხელს უშლის დაინტერესებულ მცირე კომპანიებს დააკმაყოფილონ ტენდერით განსაზღვრული მოთხოვნები. თუმცა გამოცდილების დაჯამების ნებადართულობის შემთხვევაში შეიძლება თავი იჩინოს ტენდერში ამხანაგობის სახით ბევრი კომპანიის ერთად მონაწილეობისა და მინიმალური გამოცდილებების დაჯამების შემთხვევამ, რომელთაგან არცერთს ექნება რეალურად შესაძლებლობა უზრუნველყონ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობა. შესაბამისად, საჭიროა შესაბამისი ცვლილების განხორციელება, რომლის უზრუნველსაყოფად საჭიროა ამხანაგობის წევრებისათვის ცალკეული სამუშაოების მიერ დიფერენცირებული გამოცდილების მოთხოვნა, ან შესყიდვის ობიექტის ღირებულებიდან გამომდინარე ანალოგიური გამოცდილების მინიმალური პროცენტული მოთხოვნის განსაზღვრა. აღნიშნული უზრუნველყოფს მცირე და საშუალო კომპანიების დაინტერესების ზრდას, ამავდროულად შემსყიდველი ორგანიზაციები კონტრაქტორად მიიღებენ გამოცდილი კომპანიებით დაკომპლექტებულ ამხანაგობას.

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. შესყიდვის ობიექტისა და მიმწოდებელ ორგანიზაციაზე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები აუცილებელია ეხმიანებოდეს ბაზარზე არსებული სიტუაციის რეალურ შედეგებს. მნიშვნელოვანია მოთხოვნები განსაზღვრული იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის რეალური საჭიროებების შედეგად და შესაძლებლობას იძლეოდეს არა კონკრეტული არამედ შესაძლებლობის შემთხვევაში ალტერნატიული შესყიდვის ობიექტის მიღებას. ტენდერში მონაწილე კომპანიაზე გამოცდილების, საგარანტიო პირობების, მიწოდების ვადა ან სხვა მნიშვნელოვანი პირობების მორგება ხელს უწყობს უზრუნველყოფს კონკურენციის შეზღუდვას და ზრდის მიუკერძოებლობის რისკს. აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების გარდა საჭიროა მასტაბური ტიპის შესყიდვის ობიექტებზე შემუშავდეს ერთიანი მინიმალური

მოთხოვნები და შესაბამისი რეკომენდაციები რასაც კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას სახელმწიფო ორგანიზაციები გამოიყენებენ. აღნიშნული გარკვეულწილად აღმოფხვრის მორგებული სატენდერო მოთხოვნების რისკს და უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი საბაზრო მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის საწინდარია.

შემსყიდველი ორგანიზაციები სატენდერო დოკუმენტაციითა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრავენ საჯარიმო სანქციებს. აღნიშნული პირგასამტეხლოს ოდენობა, რიგ შემთხვევებში, არაპროპორციულად მაღალია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შემსყიდველ ორგანიზაციებს აძლევს შემდეგ რეკომენდაციას, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვაღდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) ან/და ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში. მიუხედავად მოცემული რეკომენდაციისა, ხშირად შემსყიდველი ორგანიზაციები განსაზღვრავენ არაპროპორციულად მაღალ პირგასამტეხლოს ოდენობას, რომელიც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კერძო სუბიექტების საქმიანობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემსყიდველმა ორგანიზაციებმა დაიცვან თანაბარზომიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც არ დააკისრებს შეუსაბამოდ მძიმე ტვირთს ხელშეკრულების მეორე მხარეს. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია დადგენილი ოდენობები ატარებდეს არა სარეკომენდაციო არამედ ნორმატიულ ხასიათს, რითიც აღმოიფხვრება შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან შეუსაბამოდ და არაპროპორციულად მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც დადებითად აისახება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჩართული კერძო ორგანიზაციების საქმიანობის პროცესში.

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ მორგებული სატენდერო მოთხოვნების განსაზღვრა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. შესყიდვის ობიექტისა და მიმწოდებელ ორგანიზაციაზე სატენდერო დოკუმენტაციით

განსაზღვრული მოთხოვნები აუცილებელია ეხმიანებოდეს ბაზარზე არსებული მდგომარეობას და მნიშვნელოვანია მოთხოვნები განსაზღვრული იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის რეალური საჭიროებების შედეგად. ამასთან, შესაძლებლობას იძლეოდეს არა კონკრეტული არამედ შესაძლებლობის შემთხვევაში ალტერნატიული შესყიდვის ობიექტის მიღებას. ტენდერში მონაწილე კომპანიაზე გამოცდილების, საგარანტიო პირობების, მიწოდების ვადა ან სხვა მნიშვნელოვანი პირობების მორგება ხელოვნურად უზრუნველყოფს კონკურენციის შეზღუდვას და ზრდის მიუკერძოებლობის რისკს. აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების გარდა საჭიროა მასტაბური ტიპის შესყიდვის ობიექტებზე შემუშავდეს ერთიანი მინიმალური მოთხოვნები და შესაბამისი რეკომენდაციები რასაც კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას სახელმწიფო ორგანიზაციები გამოიყენებენ. აღნიშნული გარკვეულწილად აღმოფხვრის მორგებული სატენდერო მოთხოვნების რისკს და უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი საბაზრო მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის საწინდარია.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას უმიზეზოდ გასაჩივრებული ტენდერების გამო გაჭიანურებული სატენდერო პროცედურები წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში ზარალდება, როგორც შემსყიდველი ასევე ტენდერში მონაწილე კომპანიები. სატენდერო პროცესის გაჭიანურება ხელს უშლის შესყიდვის ობიექტის დროულ მიწოდებას და საერთო ჯამში უარყოფითად აისახება სახელმწიფო ორგანიზაციების შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დავების საბჭოში გასაჩივრება უფასო იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, თუმცა დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღეისათვის მიღებულია სახელმწიფო შესყიდვების გასაჩივრების ახალი წესი, კერძოდ, სატენდერო პირობების გასაჩივრების საშუალება აქვს ნებისმიერ მსურველს და პრეტენდენტს, ხოლო შერჩევა-შეფასებას, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას გასაჩივრებს ის პრეტენდენტი, რომლის უფლებების შეილახა. სატენდერო პირობების გასაჩივრება უფასოა, ხოლო შერჩევა-შეფასების ეტაპზე გასაჩივრება ფასიანია და შეადგენს შესყიდვის ობიექტის ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500

ლარს, საფასური უკან უბრუნდება მომჩივანს, გარდა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევისა. აღნიშნული ცვლილების ძირითად მიზეზს საჩივრების წარდგენით ხელოვნურად გაჭიანურებული სატენდერო პროცედურები წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს დაუსაბუთებელ საჩივრებს და დღის წესრიგში დგას შესყიდვის პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების საკითხი. აღნიშნულის პრობლემის უზრუნველსაყოფად საჭიროა გადაისინჯოს საბჭოს მიერ საჩივრების განხილვის ვადის საკითხი და შესყიდვის ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე მოხდეს გადაწყვეტილების შედარებით მოკლე ვადებში განხილვა.

დღეისათვის საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ინფრასტრუქტურის სრულყოფა და პროექტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელება. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია, სახელმწიფო შესყიდვების როლი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. გარდა ეროვნული სამშენებლო ნორმებისა და წესების არარსებობისა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების მიმართულებით ერთიანი მიდგომების არარსებობა გარკვეულწილად აფერხებს ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვებს. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია შემუშავდეს დოკუმენტი გზამკვლევის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების შეუფერხებელ განხორციელებას. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი იქნება ყველა მიმართულება და სტანდარტული ტექნიკური საკითხები რეკომენდაციის სახით. მიზანშეწონილია აღნიშნული გზამკვლევი მორგებული იყოს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების ასევე სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებული კერძო კომპანიების საჭიროებებზე. შესაბამისი გზამკვლევის შემუშავება სამომავლოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი და თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას და მისი საშუალებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

საქართველოში 2010 წლის დეკემბრიდან გაუქმდა ქაღალდური წესის ტენდერები და ყველა სახელმწიფო ტენდერი მხოლოდ ელექტრონულად ტარდება. გამჭირვალე სისტემის შექმნამ მარტივად აღსაქმელი გახადა შესყიდვებთან დაკავშირებული

პროცედურები და საზოგადოება ჩაერთო სისტემაში, როგორც მონაწილის, ასევე დამკვირვებლის როლში. ასევე, მოგვარდა გეოგრაფიული უთანასწორობის პრობლემა, რადგან ქალაქური წესის ტენდერების დროს რეგიონებში განთავსებული საწარმოები პრაქტიკულად ვერ ახერხებდნენ მონაწილეობის მიღებას მაღალი დანახარჯების გამო. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავებამ უზრუნველყო შესყიდვების პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობა, სახელმწიფო ფინანსების რაციონალური ხარჯვა, პრეტენდენტებს შორის კონკურენციის ზრდა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. დღეისათვის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა სამენოვანია და მასში განთავსებული მონაცემები ხელმისაწვდომია სისტემის მომხმარებლისათვის ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. აღსანიშნავია, რომ სისტემის ღიაობა მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის, თუმცა აღნიშნული მიმართულებით არსებობს კომპანიებისათვის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც საერთო ჯამში ღია სისტემის პირობებში კონკურენტული უპირატესობის სხვა ორგანიზაციებისათვის გაზიარების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების სატენდერო წინადადებების წარდგენისას სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიები ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით წარადგენენ დეტალურ ხარჯთაღრიცხვას, რაც ხშირ შემთხვევაში კომპანიის პირად ინფორმაციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია სატენდერო დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასების ეტაპზე აღნიშნული დოკუმენტი საჯარო იყოს მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის და ღია გახდეს სხვა დაინტერესებული პირთათვის იმ შემთხვევაში თუკი შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდება. ამით თავიდან აცილებული იქნება კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების რისკი, ამასთან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩევა-შეფასების განხორციელების შემდგომ ღია იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის გადაწვეტილების საფუძველი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფინანსური რესურსები სწორედ იყოს მიმართული ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფილი იქნას მათი რაციონალური და მიზნობრივი ხარჯვა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სექტორის სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესების საკითხს, რადგან სახელმწიფო შესყიდვები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში. გამომდინარე აქედან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების მაქსიმალური ჩართულობა და დაინტერესება შესყიდვების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და კომპანიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბედინაშვილი გ., კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი საქართველოში, ახალი ეკონომისტი №4, თბილისი 2016, გვ. 26-32
- 2) ბედინაშვილი გ., გოგიაშვილი შ., პავლიაშვილი ს., ევროპული ინტეგრაცია და კონკურენციის ინსტიტუციური ასპექტები, გლობალიზაცია და ბიზნესი, №1 სპეციალური გამოშვება, გვ. 26-34
- 3) „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება
- 4) გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია საქართველოში, ახალი ეკონომისტი №2, თბილისი 2012
- 5) გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო №4, თბილისი 2012, გვ. 91-96
- 6) გაფრინდაშვილი გ., შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2015
- 7) გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, საგამომცემლო სახლის „ინოვაცია“, თბილისი 2009
- 8) გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., სახელმწიფო შესყიდვები და კონკურენციის უზრუნველყოფის პირობები, ეკონომიკა და ბიზნესი, მაისი-ივნისი, თბილისი 2014, გვ. 69-86
- 9) გოგნაძე თ., სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2013
- 10) გოგნაძე თ., სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირება, ეკონომიკა და ბიზნესი ნოემბერი-დეკემბერი №6, თბილისი 2011
- 11) ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, ევროკავშირისა და საქართველოს ელექტრონული მმართველობის მექანიზმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველო, სექტემბერი 2014

- 12) „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება
- 13) „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანება
- 14) კიკვაძე ო., გეთია შ., კონკურენცია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 118-122
- 15) კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრატეგიული გეგმა, Policy and Management Consulting Group (PMcG), მაისი 2013
- 16) მგელაძე ლ., კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები საქართველოში, ახალი ეკონომისტი №3, თბილისი 2016, გვ. 56-66
- 17) მგელაძე ლ., „შავი“ და „თეთრი სია“ – სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში კონკურენციის შემზღუდავი თუ წამახალისებელი ფაქტორები, ახალი ეკონომისტი №4, თბილისი 2016, გვ. 69-76
- 18) მეთოდური მითითებები მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 19) მეთოდური მითითებები სამშენებლო პროექტის განხორციელების მეთოდთან დაკავშირებით, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 20) მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 21) მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბილისი 2011
- 22) მესხია ი., გაბელაშვილი კ., საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, ლექციების კურსი, თბილისი 2010
- 23) მემარიაშვილი თ., ევროკავშირის სტანდარტები და სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, ეკონომიკა და ბიზნესი №4, თბილისი 2017, გვ. 40-47
- 24) მემარიაშვილი თ., ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი სახელმწიფო შესყიდვების ფორმირებაში (საქართველოს მაგალითზე, საერთაშორისო

- სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“ შრომების კრებული, თბილისი 2015, გვ. 229-233
- 25) მექმარიაშვილი თ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2016, გვ. 39-43
- 26) მექმარიაშვილი თ., საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ძირითადი მიმართულებები, სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გზა ევროინტეგრაციისკენ“ შრომების კრებული, თბილისი 2017, გვ. 61-63
- 27) მექმარიაშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ანალიზი, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თბილისი 2017, გვ. 329-332
- 28) მექმარიაშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი №3, თბილისი 2017, გვ. 109-112
- 29) მექმარიაშვილი თ., სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების მოდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ახალი ეკონომისტი №3, თბილისი 2017, გვ. 50-53
- 30) მექმარიაშვილი თ., სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საქართველოში, როგორც საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის საშუალება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი 2016, გვ. 200-205

- 31) „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანება
- 32) რამაზაშვილი ნ., კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მიმართებით, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 208-212
- 33) „რეკომენდაცია ანგარიშსწორების ვადებთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 34) „რეკომენდაცია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 35) „რეკომენდაცია შესყიდვის ობიექტის ანალოგიური მიწოდების მოთხოვნასთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 36) „10 რეკომენდაცია მიწოდების ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 37) „სასარგებლო რჩევები შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების (სპეციფიკაციების) შემუშავებისათვის“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 38) „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანება
- 39) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- 40) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
- 41) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო www.procurement.ge
- 42) სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი
- 43) სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი, თბილისი 2015 წელი
- 44) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, თბილისი 2016, ვერსია 5.02

- 45) სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა
- 46) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, ივნისი 2013
- 47) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2018 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანება
- 48) სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2011 წლის ანგარიში
- 49) სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2012 წლის საქმიანობის ანგარიში
- 50) სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2013 წლის საქმიანობის ანგარიში
- 51) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2014 წლის საქმიანობის ანგარიში
- 52) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2015 წლის საქმიანობის ანგარიში
- 53) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში
- 54) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში
- 55) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2016
- 56) სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ E-Newsletter 2017
- 57) „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება
- 58) დალანიძე გ., კონკურენტუნარიანობისა და სტრატეგიის ურთიერთკავშირის საკითხები, ეკონომიკა და ბიზნესი, ივლისი-აგვისტო №4, თბილისი 2013, გვ. 59-70

- 59) შაბურიშვილი შ., მეძმარიაშვილი თ., კონკურენციის რეგულირების მეთოდები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 255-259
- 60) „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება
- 61) შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვის მეთოდოლოგია, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 62) „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანება
- 63) ჩაგელიშვილი ა., ბაზრის კვლევის თავისებურებები სახელმწიფო შესყიდვების პროცესში (საქართველოს მაგალითზე), ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XI, №1, თბილისი 2018, გვ. 159-165
- 64) ჭელიძე ლ., ჭელიძე დ., სახელმწიფო შესყიდვების სისტემა – კონკურენტული გარემოს ფორმირების ერთ-ერთი ბერკეტი, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი 2017, გვ. 299-306
- 65) ხარხელი მ., კიკვაძე ო., საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: მიღწევები და ნაკლოვანებები, ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი IX, №2, თბილისი 2016, გვ. 132-144
- 66) ხოდელი გ., ბროლაძე ზ., ჯულაყიძე შ., საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო, დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა, თბილისი 2014
- 67) ხომერიკი თ., სახელმწიფო შესყიდვები, თბილისი 2006
- 68) ჯულაყიძე შ., მეძმარიაშვილი თ., ელექტრონული შესყიდვების ეფექტურობა, ახალი ეკონომისტი №2, თბილისი 2017, გვ. 46-49
- 69) Adotevi S., Public Procurement Performance, International Public Procurement Conference Proceeding Vol. 3, 2004, p 243-261

- 70) Alhazmi, T., McCaffer, R., Project procurement system selection model, *ASCE Journal of Construction Engineering and Management*, 126(3), 2000, p. 176-184
- 71) Al-Tabtabi, H. M., Construction procurement selection strategy using analytical hierarchy process, *Journal of Construction Procurement*, 8(2), 2002, p. 117-132
- 72) Ambrose, M., Tucker, S. N., Procurement system evaluation for the construction industry, *Journal of Construction Procurement*, 6(2), 2000, p. 121-134
- 73) Anderson R. D., Pelletier P., Osei-Lah K., Assessing the Value of Future Accessions to the WTO Agreement on Government Procurement (GPA): Some New Data Sources, Provisional Estimates, and an Evaluative Framework for Individual WTO members Considering Accession, *World Trade Organization (WTO)*, October 2011
- 74) APP, Procurement and Project Delivery in the Building and Construction Industries – Initial Report to the Department of Industry Science and Tourism and National Building and Construction Committee, APP, Australia 1998
- 75) Appelt S., Galindo-Rueda S., Measuring the Link between Public Procurement and Innovation, *OECD Science, Technology and Industri Working Paper*, March 2016
- 76) Arrowsmith S., Treumer S., Fej J., Jiang L. Public Procurement Regulation: an Introduction/Ed. by Arrowsmith S. – The EU Asia Inter University Network for Teaching and Research in Public Procurement Regulation, 2010.
- 77) Baldi S., Vannoni D., The Impact of Centralization, Corruption and Institutional Quality on Procurement Prices: An Application to Pharmaceutical Purchasing in Italy, *Carlo Alberto Notebooks No. 379*, ISSN 2279-9362, December 2014
- 78) Benchmarking Public Procurement 2016, Assessing Public Procurement Systems in 77 Economies, *World Bank Group, International Bank for Reconstruction and Development/The World Bank*, 2016
- 79) Beuchelt T., Buying green and social from abroad: Are biomass-focused voluntary sustainability standards useful for European public procurement?, *ZEF Working Paper Series, Working Paper 156*, ISSN 1864-6638, April 2017
- 80) Bowen, P.A., Hindle, R.D., Pearl, R.G., The effectiveness of building procurement systems in the attainment of client objectives. In C.H. Davidson (Eds.) *Procurement – the Way Forward: Proceedings of the CIB W-92 Montréal Conference*, CIB Publication 203, Université de Montreal, Montréal, Canada 1997, p. 39-49

- 81) Central Public Procurement Structures and Capacity in Member States of the European Union, Sigma Papers No. 40
- 82) Cernat L., Kutlina-Dimitrova Z., International Public Procurement: From Scant Facts to Hard Data, Chief Economist Note, Issue 1, April 2015
- 83) Chan A.P.C., Towards an expert system on project procurement. Journal of Construction Procurement 1(2), 1995, p. 111-123
- 84) Chang, C.Y., Ive, G., Transaction –Cost-based Procurement Route Selection Technique: A Conceptual Framework, Bartlett School of Graduate Studies, University College London, London 2001
- 85) Chicot J., Mireille M., Public Procurement of Innovation: A Review of Rationales, Instruments and Design, Laboratoire d’Economie Appliquee de Grenoble, Jel Codes: H57; O33; 038, March 2015
- 86) Chicot J., Rationales of public procurement of innovation: When demand-side instruments address supply-side gaps, Paper to be presented at the DRUID Academy conference in Rebild, Aalborg, Denmark on January 21-23, 2015
- 87) Choi J. W., A STUDY OF THE ROLE OF PUBLIC PROCUREMENT – CAN PUBLIC PROCUREMENT MAKE SOCIETY BETTER?, the 4th International Public Procurement Conference „TOWARDS FRONTIERS IN PUBLIC PROCUREMENT“, August 2010
- 88) Cohen L., Manion L., Morrison K., Research Methods in Education, sixth edition
- 89) Collusion and Corruption in Public Procurement, POLICY ROUNTABLES, The OECD, February 2010
- 90) CRC Constuction Innovation, Building Procurement Methods, Reasearch Project No: 2006-034-C-02, June 2008
- 91) Dahwa M. P., Al-Hakim L., Ng E.,The importance of trust in procurement practices and its impact on business performance: an empirical investigation from the perspective of the buyer-supplier dyad, Journal of Relationship Marketing 12 (4), ISSN 1533-2667, 2013, p. 280-300
- 92) Davis, P.R., Love, P.E.D., Baccarini, D., Building Procurement Selection Review. Report No. 1 (Project no. 2006.034-C report no.1) For the CRC in Construction Innovation. Australia 2008
- 93) Davis, P.R., Walker, D.H.T., (In press) Building Human Capital through Relationship- Based Procurement Across Projects. Curtin University of Technology, Perth WA, Australia 2009
- 94) Detelj K., Markovic-Hribernik T., Possibilities for Using Public Procurement for Innovation in Small Transition Countries, Proceedings of the 6th GCMRM, 2015, p. 197-205

- 95) Directive 2014/24/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014, on public procurement and repealing Directive 2004/18/EC, Official Journal of the European Union, L 94/65, 2014
- 96) Dissanayaka, S.M., Comparing Procurement and Non-Procurement Contributors to Project Performance, Unpublished Master of Philosophy, The University of Hong Kong, Hong Kong SAR, 1998
- 97) Edquist C., Vonortas N., Zabala-Iturriagagoitia J. M., Edler J., Public Procurement for Innovation, Edward Elgar Publishing, USA 2015
- 98) EL-Gayed Y., The influencing Factors of Public Procurement Policy Development; The Case of Libya, PhD thesis, 2013
- 99) Eriksson, P., Pesämaa, O., Modelling procurement effects on cooperation. Construction Management and Economics, 25(8), 2007, p. 893-901
- 100) Eriksson, P.E., The Influence of Partnering and Procurement on Subcontractor Involvement and Innovation Facilities, 25(5/6), 2007 p. 203-214
- 101) Eriksson, P.E., Procurement effects on competition in client-contractor relationships. Journal of Construction Engineering and Management, 134(2), 2008, p. 103-111
- 102) Erixon F., Sally R., Trade, Globalisation and Emerging Protectionism Since The Crisis, Ecipe Working Paper No. 02/2010
- 103) European Code of Best Practices FaCilitating Access by SMEs to Public Procurement Cotracts, Commission Staff Working Document, Commission of the European Communities, Brussels, 25.6.2008, SEC (2008) 2193, 2008
- 104) European Commission, (2008b), Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Euro[eam Economic and Social Committee and the Committee of the Regions Public procurement for a better environment, COM (2008) 400, Brussels
- 105) Evaluation of SMEs' Access to Public Procurement Markets in the EU, Specific contract No ENTR/E4/04/93/1/07/11, Coordinated by DG Enterprise and Industry of the European Commision, Final Report, submitted by GHK and Technopolic within the framework of ENTR/04/093-Lot 1
- 106) Ezeh, E., Review of specific procurement issues and challenges confronting MDAs. Being Text of Paper Delivered at one-day stakeholders" workshop for Ministries, Departments and Agencies (MDAs), January 2011
- 107) Flick U., An Introduction to Qualitative Research, Berlin: SAGE Publications, 2014

- 108) Franks J., *Building Procurement Systems*. Chartered Institute of Building, Englemere, Kings Ride, Ascot, U.K, 1990
- 109) Franks, J., Harlow P., *Building procurement systems : a client's guide*. Harlow, Essex. Ascot, Berks, Addison Wesley Longman, 1998
- 110) Gaprindashvili G., *Public Procurement Development Stages in Georgia*, World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering Vol:9, No:3, 2015, p. 955-958
- 111) Gaskarth G., *Gamekeeper or poacher? Britain and the application of State aid and procurement policy in the European Union*, Civitas: Institute for the Study of Civil Society, March 2013
- 112) *Government at a Glance 2015*, OECD publishing, Paris 2015
- 113) Hamza, A., Djenarni, R., Hibberd, P., *The implication of partnership success within the UK construction industry supply chain in Profitable partnering in construction procurement*, CIB W92 (Procurement System) and CIB TG 23 (Culture in Construction) Joint Symposium, Edited by Stephen Ogunlana. London: E&F Spon, 1999, p. 39 - 46
- 114) Handler H., *Strategic public procurement: An overview*, Research Report, WWWforEurope Policy Paper, No. 28, November 2015
- 115) Hoppe E., Schmitz P. W., *Public-private partnerships versus traditional procurement: Innovation incentives and information gathering*, RAND Journal of Economics, Vol. 44, No. 1, Spring 2013, p. 56-74
- 116) Jefferies M., Rowlinson S., *New Forms of Procurement – PPP and Relational Contracting in the 21st century*, Routledge Taylor & Francis Group, 2016
- 117) Julakidze Sh., Medzmariashvili T., *Expected Results of Reforms Conducted in Sphere of State Procurements*, International Journal of Innovative Technologies in Social Science 2 April 2018, ISSN 2544-9338, p.3-5
- 118) Kestenbaum M. I., Straight R. L., *Procurement Performance: Measuring Quality, Effectiveness, and Efficiency*, Public Productivity & Management Review, Vol. 19, No. 2, December 1995, p. 200-215
- 119) Kidalov M., V., *Small Business Contracting in the United States and Europe: A Comparative Assesment*, Public Contract Law Journal, Vol. 40, No. 2, Winter 2011, p. 443-509
- 120) Kochanova A., Hasnain Z., Larson B., *Does E-Government Improve Government Capacity? – Evidence from Tax Administration and Public Procurement*, Background Paper to the 2016 World Development Report, April 2016

- 121) KS J., Chowdhury A., Sharma K., Platz D., Public-Private Partnerships and the 2030 Agenda for Sustainable Development: Fit for purpose?, Department of Economic & Social Affairs, Working Paper No. 148, February 2016
- 122) Kumaraswamy M. M., Profiting from harmony in Construction procurement and management in Profitable Partnering in construction procurement, *CIB W92 (Procurement System) and CIB TG 23 (Culture in Construction) Joint Symposium*, Edited by Stephen Ogunlana. London: E&F Spon, 1999
- 123) Lenard D., Moshini, R., Recommendations from the organisational workshop. In C.H. Davidson (Eds.) Procurement – the Way Forward: Proceedings of the CIB W-92 Montréal Conference, CIB Publication 203, Université de Montreal, Montréal, Canada 1998, pp.79-81
- 124) Lundberg S., Marklund P. O., Stroembaeck E., Sundstroem D., Using public procurement to implement environmental policy: an empirical analysis, *Environmental Economics and Policy Studies*, October 2015, Volume 17, Issue 4, pp 487–520
- 125) Masterman J. W. E., *Introduction to Building Procurement Systems*, second edition, Spon Press, 2002
- 126) Mayhew A., *The Economic and Financial Crisis: impacts on an emerging economy – Ukraine*, Sussex European Institute Working Paper No 115, June 2010
- 127) McFalls R., *The impact of procurement practices in the electronics sector on labour rights and temporary and other forms of employment*, International Labour Organization, WP 313, 2016
- 128) Mcurmury J. J., *The Political Economy of Procurement*, Canadian Public Policy/Analyse de politiques, Strengthening Communities Through Government and Social Economy Partnerships, April 2014, p. 26-38
- 129) Medzmariashvili T., *State Procurement Electronic System Efficiency in Georgia*, *European Journal of Economics and Business Studies (EJES)*., Vol 10 - № 1, Rottenburg., 2018 (January-April), pp. 152-155., (ISSN: 2411-4073; online)
- 130) Mela C., F., *Data Selection and Procurement*, *Marketing Science*, Vol. 30, No. 6, November-December 2011, p. 965-976
- 131) Miller G., Furneaux C., Davis P., Love P., O'Donnell A., *Built Environment Procurement Practice: Impediments to Innovation and Opportunities for Changes*, Built Environment Industry Innovation Council, May 2009

- 132) Morton B., Paget G., Mela Dr. C., What role does Government procurement play in manufacturing in the UK and internationally and how might this change in the future?, Future of Manufacturing Project: Evidence Paper 24, October 2013
- 133) Moshini, R., Davidson, C. H., Building procurement – Key to improved performance, Journal Building Research & Information, May 2007, p.106-113
- 134) Navas-Aleman L., Guerrero T., Good Procurement Practices and SMEs in Global Supply Chains: what do we know so far?, A literature review, International Labour Organization, May 2016
- 135) Organising Central Public Procurement Functions, Sigma, September 2016
- 136) Ochieng M. M., Oginda M., Oteki E. B., Analysis of Sustainable Procurement Practices and the Extent Of Integration In Lake Victoria South Water Services Board, Kenya, IOSR Journal of Business and Management (IOSR-JBM) e-ISSN: 2278-487X, p-ISSN: 2319-7668. Volume 18, Issue 3 .Ver. I (Mar. 2016), PP 109-115
- 137) Palaneeswaran, E., Kumaraswamy, M., Ng, T., Targeting Optimum Value in Public Sector projects through = best value‘ – focused contractor selection, Engineering, Construction and Architectural Management, 10(6), 2003, p. 418-431
- 138) Public Economics, American Economic Association, Journal of Economic Literature, Vol. 51, No. 2, June 2013, p. 610-613
- 139) Public Procurement Best Practice Guide, Public Procurement Directorate, www.publicprocurementguides.treasury.gov.cy
- 140) Public Procurement for Sustainable and Inclusive Growth – Enabling reform through evidence and peer reviews, OECD
- 141) Public Procurement Training for IPA Beneficiaries, SIGMA, 2010
- 142) Public Integrity and Trust in Europe, European Research Centre for Anti-Corruption and State-Building (ERCAS), Hertie School of Governance, Berlin 2015
- 143) Public Procurement, POLICY ROUNDTABLE, The OECD Competition Committee, 2007
- 144) Public Procurement in the EU: Legislative Framework, Basic Principles and Institutions, Sigma, September 2016
- 145) Public Procurement in EU Member States – The Regulation of Contract Below the EU Thresholds and in Areas not Covered by the Detailed Rules of the EU Directives, Sigma Paper No. 45, May 2010

- 146) Public Procurement in International Trade, European Parliament, Directorate-General for External Policies – Policy Department, 2012
- 147) Public Procurement as a tool for promoting more Sustainable Consumption and production patterns, Sustainable Development Innovation Briefs, United Nations, Issue 5, August 2008
- 148) Rickard S. J., Kono D. Y., Think globally, buy locally: International agreements and government procurement, Springer Science+Business Media, New York 2013
- 149) Rigby J., Review of Pre-commercial Procurement Approaches and Effects on Innovation, Nesta Working Paper 13/14, November 2013
- 150) Rothwell R., Technology-Based Small Firms and Regional Innovation Potential: The Role of Public Procurement, Journal of Public Policy, Vol. 4, No. 4, November 1984, p. 307-332
- 151) Rowlinson S., Mcdermott P., Procurement Systems – A Guide to Best Practice in Construction, E & FN Spon, 1999
- 152) Salant, P., Dillman, D., How to Conduci Your Own Survey. New York: John Wile, 1994
- 153) Scheener J., Corporate Responsibility in Different Varieties of Capitalism: Exploring the Role of National Institutions, Bertelsmann Stiftung (HRSG.), 2016
- 154) Schropp S. A. B., Trade Policy Flexibility and Enforcement in the WTO – A Law and Economics Analysis., Cambridge University Press, August 2009
- 155) Sinha R., Government Procurement and Technological Capability: Case of Indian Electrical Equipment Industry, Economic and Political Weekly, Vol. 29, No. 48, November 1994, p. 142-147
- 156) Skurovec J., Soudek J., zln dex – Benchmarking Municipalities in Public Procurement, Centre for Applied Economics, April 2015
- 157) Sljepcevic S., Budak J., Rajh E., Challenging Competition at Public Procurement Markets: Are SMEs Too Big to Fail? The Case of BiH and Croatia, Radni materijali EIZ-a, EIZ Working Paper EIZ-WP-1504, October 2015
- 158) SME Development – Government Procurement and Inclusive Growth, Asian Development Bank, November 2012
- 159) Soreide T., Corruption in public procurement – Causes, consequences and cures, Chr. Michelsen Institute, Report R, 2002
- 160) Ssennoga F. Examining discriminatory procurement practices in developing countries, Journal of Public Procurement. Vol. 6. Issue 3. - PrAcademics Press, 2006. P. 218-249

- 161) Stroembaeck E., A Comparison of Techniques to Evaluate Policies in Public Procurement, Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies, #928, Jun 2016
- 162) Stroembaeck E., Contract Size and Small Firm Competition in Public Procurement, Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies, #914, August 2015
- 163) Stroembaeck E., Policy by Public Procurement: Opportunities and Pitfalls, Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies, #915, August 2015
- 164) Stroembaeck E., The Role of Buyer Power in Public Procurement Auctions: An Empirical Analysis, Manuskriptet tidigare publicerat i serien: Umea Economic Studies, #913, August 2015
- 165) Sundstroem D., The Competition Effect in a Public Procurement Model: An error in variables approach, Umeå University, Department of Economics, Jun 2016
- 166) Supply Market Analysis, Guidance Note General 2, NPPPU National Public Procurement Policy Framework, 2005
- 167) Sustainable Public Procurement: A Global Review, United Nations Environment Programme, 2013
- 168) Telgen J., Lohmann MSc, W., A contribution to the consultations in the Netherlands within the framework of the World Bank Procurement review, Issues paper World Bank Procurement Guidelines, August 2012
- 169) Thai K. V. Challenges in public procurement. In Thai, K. V., et al. (Eds.), Challenges in Public Procurement: An International Perspective. PraAcademics Press, Boca Raton, Florida, USA. 2005
- 170) The Power of Procurement – A global survey of Procurement functions, KPMG International Cooperative, 2012
- 171) Turner, A., Building Procurement. Macmillan, U.K., 1990
- 172) Vyklicky M., Man P., Heidt R. F., Jurek R., Qualification Requirements for Foreign Supplies in Public Procurement – Evidence from The Czech Republic, Danube: Law and Economics Review, 7 (1), 2016, p. 19-39
- 173) Walker D., Rowlinson S., Procurement Systems - A cross-industry perspective, Taylor & Francis Group, 2008
- 174) Walker D., Rowlinson S., Procurement Systems - A project management perspective, Taylor & Francis Group, 2008
- 175) Walker D. H. T., and Hampson, K.D. (2003). Developing Cross Team Relationships. Procurement strategies : a relationship based approach. Walker, D.H.T., and Hampson, K. D. Oxford, UK, Blackwell Science: 297.

- 176) Walker D.H.T., and Maqsood, T. (2008). Procurement Innovation and Organisational Learning. Procurement Systems - A Cross Industry Project Management Perspective. London, Taylor & Francis: Chapter 8.
- 177) Bhend J., Wann liegt eine öffentliche Beschaffung vor?, walderwys rechtsanwaelte, VergabeNews Nr. 8, Februar 2013
- 178) Bundesministerium fuer Wirtschaft und Energie, Innovative Oeffentliche Beschaffung, Leitfaden, 2, Auflage 2017
- 179) Eßig M., Öffentliche Beschaffung: Bedeutung und Ansatzpunkte zur konzeptionellen Weiterentwicklung, In: Bundesverband Materialwirtschaft, Einkauf und Logistik (eds) Best Practice in Einkauf und Logistik. Gabler, 2008
- 180) Gentsch J., Staatliche Beschaffung und Korruptionspraevention (ISBN 9783832975104), 2012
- 181) ÖFFENTLICHE BESCHAFFUNG NACHHALTIG GESTALTEN - Ein Wegweiser für Kommunen, kleine und mittlere Unternehmen, Leuphana Universität Lüneburg, Juli 2015
- 182) Абрегова А. А., ПРОБЛЕМА ОПРЕДЕЛЕНИЯ ПРАВОВОЙ ПРИРОДЫ ГОСУДАРСТВЕННОГО КОНТРАКТА, Известия высших учебных заведений. Поволжский регион № 3 (27), 2013, стр.46-55
- 183) Бальсевич А.А., Подколзина Е.А., Причины и последствия низкой конкуренции в государственных закупках в России, ЭКОНОМИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ ВШЭ, стр.563-585
- 184) Белокрылов К. А., Контрактный механизм экономического взаимодействия государства и бизнеса как фактор предупреждения оппортунистического поведения, Диссертация, 2009
- 185) Буинцева Н.В., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ КАК ИНСТРУМЕНТ СТИМУЛИРОВАНИЯ ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ В РОССИИ, Вестник Иркутского государственного технического университета №10 (105), 2015, стр. 212-216
- 186) Гущин А. Ю., Государственный заказ как форма государственного регулирования и поддержки предпринимательской деятельности тема диссертации и автореферата по ВАК 08.00.05, 2013
- 187) Иванова В.О., Государственные закупки как инструмент «принуждения к инновациям» промышленного сектора экономики, «Российское предпринимательство» № 15 (237) за 2013 год, стр. 77-84
- 188) Лымарь Е. Н., ЭФФЕКТИВНОСТЬ ГОСУДАРСТВЕННОЙ ПОДДЕРЖКИ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА КАК УЧАСТНИКОВ РЫНКОВ С МОНОПОЛИСТИЧЕСКОЙ КОНКУРЕНЦИЕЙ,

Вестник Челябинского государственного университета. 2012. № 10 (264), Экономика. Вып. 38. С. 95–101

- 189) Мальцева О.В. ГОСУДАРСТВЕННАЯ КОНКУРЕНТНАЯ ПОЛИТИКА КАК ФОРМА ПОДДЕРЖКИ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСКИХ СТРУКТУР 2011 г.
- 190) Олейник А.Н., Институциональная экономика. М.: ИНФРА-М, 2000
- 191) Пономарева О. В., Государственные закупки как инструмент торговой политики в развивающихся странах, Российский внешнеэкономический вестник, 9-2014, с.УДК 339.13.025.87 ББК 65.42 П-564, стр. 101-119
- 192) ПОПОВА О.А., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ КАК ЭФФЕКТИВНЫЙ ИНСТРУМЕНТ РЕГУЛИРОВАНИЯ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ РЕГИОНА, ГРНТИ 06.61.33, 2014
- 193) Спицына Л.Ю., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ КАК МЕХАНИЗМ СТИМУЛИРОВАНИЯ ПРОИЗВОДСТВА ИННОВАЦИОННЫХ ТОВАРОВ, РАБОТ И УСЛУГ, Вестник науки Сибири № 4 (5), 2012
- 194) Шабуришвили Ш.Т., Государственные закупки как инструмент повышения конкурентных преимуществ национальной экономики, МАТЕРІАЛИ ІІІ Міжнародної науково-практичної конференції, присвяченої 25-річчю Маріупольського державного університету. стр. 139-144
- 195) Шадрин Е. В., ГОСУДАРСТВЕННЫЕ ЗАКУПКИ ДЛЯ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ: МЕЖДУНАРОДНЫЙ ОПЫТ, журнал Вопросы государственного и муниципального управления 2017 № 1, стр. 149-172

დანართები

დანართი №1: სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი

▼ შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

(1) სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც წარმოდგენს სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილს და დანართების სახით თან ერთვის მას (იხ. დანართი N1-ის ფორმები). სატენდერო დოკუმენტაციის დანართებში ჩამოთვლილ საქონელზე, სადაც მითითებულია კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი იგულისხმება „მსგავსი“ ან "ექვივალენტური" (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

(2) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო ადგილის შემოსაზღვრა და დამცავი გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება. სამშენებლო მოედანზე დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები;

(3) შენობის ინტერიერის და ექსტერიერის მოსაწყობად გამოსაყენებელი მასალები, ასევე შენობაში დასამონტაჟებელი მოწყობილობები და დანადგარები უნდა შეუთანხმდეს შემსყიდველს, ამასთან, კონდიციონერებისა და გათბობის სისტემების შიდა და გარე აგრეგატების მწარმოებელი კომპანი(ებ)ის სახელზე გაცემული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის (მაგ.: ხარისხის მართვის ISO) სერთიფიკატი;

(4) მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე უნდა გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

(5) მიმწოდებელმა უნდა დაამზადოს და სამშენებლო მოედნის მიმდებარე ადგილებზე განათავსოს საპროექტო ობიექტის შესახებ სათანადო ინფორმაციის შემცველი ბანერი;

(6) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% დაკომპლექტებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეებით, რის დასტურადაც, მიმწოდებელმა შემსყიდველს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს მშენებლობის პროცესში დასაქმებულ პირთა უწყისები;

(7) მშენებლობის პროცესში მოხმარებულ ენერგორესურსებსა და წყალზე კომუნალური გადასახადების გადახდა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა;

(8) ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს ფარული სამუშაოების დამადასტურებელი წერილობითი აქტები, ამასთან ფარული სამუშაოები წარმოებულ უნდა იქნეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ინსპექტირების განმახორციელებელ პირთან/პირებთან ერთად;

(9) შესრულებული სამუშაოების მოცულობები დადგინდება სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტირებული პირის მიერ მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება. (პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);

(10) მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სამუშაოს შესრულება ტექნიკური დავალებით დადგენილი პირობებისა და წესების, ასევე მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით;

(11) სამუშაოს მასშტაბის შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაოს შესრულება უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით;

(12) მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სამშენებლო და სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა;

(13) სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;


(14) სამუშაოს შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;


(15) ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს;


(16) სამშენებლო სამუშაოებისას გამოყენებული ნებისმიერი მასალა ან/და მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. შემსყიდველი უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევებში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოდგენა;


(17) მიმწოდებლის მიერ, სამშენებლო სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნას „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის #62 დადგენილების შესაბამისად;


(18) პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვების წარმოდგენისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების შესაბამისად.


 [დანართი_N1_არქიტექტურა_1.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_2.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_3.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_4.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_5.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_6.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_7.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_8.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_9.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_10.pdf](#)


 [დანართი_N1_არქიტექტურა_11.pdf](#)


 [დანართი_N1_არქიტექტურა_12.pdf](#)


 [დანართი_N1_არქიტექტურა_13.pdf](#)

 [დანართი_N1_არქიტექტურა_14.pdf](#)


 [დანართი_N1_არქიტექტურა_15.pdf](#)


 [დანართი_N1_გათბობა-გაგრილება_ვენტილაცია_1.pdf](#)

 [დანართი_N1_გათბობა-გაგრილება_ვენტილაცია_2.pdf](#)


 [დანართი_N1_ელექტრობა_1.pdf](#)


 [დანართი_N1_ელექტრობა_2.pdf](#)


 [დანართი_N1_ელექტრობა_3.pdf](#)

 [დანართი_N1_იატაკი_კორექტირებული.pdf](#)

 [დანართი_N1_მეორე_სართულის_გეგმა_კორექტირება.pdf](#)

 [დანართი_N1_პირველი_სართულის_გეგმა_კორექტირებული.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_1.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_2.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_3.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_4.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_5.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_6.pdf](#)

 [დანართი_N1_წყალკანალიზაცია_7.pdf](#)

 [მშენებლობის_ორგანიზაციის_პროექტი_1.pdf](#)

 [მშენებლობის_ორგანიზაციის_პროექტი_2.pdf](#)

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა





1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

(1) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა შეადგენს - ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 5 (ხუთი) თვეს, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

(2) შესრულებული სამუშაოების შემსყიდველისათვის ჩაბარება უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოების დასრულებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

სამუშაოს შესრულების ადგილია: [REDACTED]

1.6 შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა

(1) მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს შემდეგი სახის საგარანტიო ვადები: ა) რკინა-ბეტონის სამუშაოებზე და ელ. გაყვანილობის მოწყობაში გამოყენებული მასალების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან - არანაკლებ 20 წელს; ბ) გათბობის, კონდიციონერის, ვენტილაციის, წყალმომარაგების, წყალსარინების და სახანძრო წყალმომარაგების სამუშაოებში გამოყენებული დანადგარები და მასალები - არანაკლებ 3 წელს; გ) ყველა სხვა სახის სარემონტო სამუშაოსა და გამოყენებულ მასალებზე - არანაკლებ 2 წელს;

(2) საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის პირობების დაცვის პირობებში, დეფექტის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოვლენილი დეფექტი გამოასწოროს შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, თავისი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე;

(3) მიმწოდებლის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის 1.6 პუნქტის (2) ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება.

▼ ტექნიკური მოთხოვნები

2.2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ



(1) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების, კერძოდ შენობის სამშენებლო (რომელიც მოიცავს რკიბა-ბეტონის მოწყობის, გადახურვისა და ფასადის მოწყობის სამუშაოებს) და სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომელთა ჯამური ღირებულებაც 2014-2017 წლების პერიოდში არ უნდა იყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარზე ნაკლები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულებები და შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ფორმა N2, მიღება-ჩაბარების აქტები ან ექსპერტიზის დასკვნები ან ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული სამუშაოების შესრულების ფაქტს.

(2) პრეტენდენტს 2014-2017 წლების პერიოდში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებული და დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის - შენობის სამშენებლო (რომელიც მოიცავს საძირკვლისა და რკიბა-ბეტონის მოწყობის, გადახურვისა და ფასადის სამუშაოებს) და სარემონტო სამუშაოები ერთი ობიექტის ფარგლებში, არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების ოდენობით. აღნიშნულის დასტურად, წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულებები და შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ფორმა N2, მიღება-ჩაბარების აქტები ან ექსპერტიზის დასკვნები ან ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული სამუშაოების შესრულების ფაქტს და ამგვარი ობიექტის დამკვეთი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია, რომელშიც უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად და დროულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. რეკომენდაცია გაცემული უნდა იყოს არაუადრეს 2017 წლის მე-4 კვარტლისა.


2.5.1 მოთხოვნა საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადებთან დაკავშირებით (გეგმა-გრაფიკი)



(1) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;

(2) სამშენებლო სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. მიმწოდებელს უფლება აქვს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკისგან განსხვავებული გეგმა-გრაფიკი, თითოეული ეტაპის ცვლილებების მიზეზის მითითებით. შემსყიდველი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტები და მიაწოდოს მიმწოდებელს გეგმა-გრაფიკის ცვლილებაზე თანხმობა ან დასაბუთებული უარი.



 [დანართი N3 გეგმა-გრაფიკი.pdf](#)

2.8.1 ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები



პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ქვეკონტრაქტორების გამოყენების შესახებ. მიმწოდებლის მიერ სამშენებლო სამუშაოებში ქვეკონტრაქტორების გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი ან ქვეკონტრაქტორის წერილობითი დასტური გამარჯვების შემთხვევაში მასთან ხელშეკრულების გაფორმების მზადყოფნაზე, გარდა ამისა წარმოდგენილ უნდა იქნას:

- ა) ქვეკონტრაქტორის რეკვიზიტები;
- ბ) ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დასახელება;
- გ) ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება;
- დ) ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების თაობაზე.

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1.1 მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ

(1) ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდებული იქნას სსიპ "ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების/აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნით, რომლიც შედგენილი იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადგენილებით დამტკიცებული "ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდის" შესაბამისად.

(2) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების/აკრედიტაციის მქონე

პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენი შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

(3) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა უნდა დასტურდებოდეს როგორც პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული წინადადების ფასთან (ხარჯთაღრიცხვის ჯამურ ღირებულებასთან), ასევე ხარჯთაღრიცხვის ერთეულებთან მიმართებით.

4.1.2 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში

▼ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1.1 მიუთითეთ, თუ რამ განაპირობა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის მოთხოვნის აუცილებლობა

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა, გამორიცხავს ან/და მინიმუმადე ამცირებს ისეთი გარემოებების არსებობას, რომელიც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების პირობების სათანადო შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორი.

5.1.2 იურიდიული პირისთვის

(1) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

(2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

5.1.3 ინდივიდუალური მეწარმისთვის

(1) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

(2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

5.1.4 ფიზიკური პირისთვის

(1) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

(2) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.

5.1.5 ამხანაგობისთვის

(1) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

(2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

შენიშვნა: სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების შესახებ.

5.1.6 არარეზიდენტი პირისთვის

(1) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტმა, 5.1.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, დამატებით უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება არარეზიდენტი იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

(2) არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში 5.1.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები (ცნობები) უნდა იყოს დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5.1.7 წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის

იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი ან/და ფილიალი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, დამადასტურებელი დოკუმენტები ან/და სხვა), ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე სათაო კომპანიის 5.1.2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები. ასევე, დამატებით უნდა წარმოადგინოს სათაო კომპანიის ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება სათაო კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

▼ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

4 პროცენტი

6.2 სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში მოითხოვება გარანტია

8 პროცენტი

6.3 გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა მინიმუმ 12 (თორმეტი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას ვადას.

6.4 გარანტიის პირობები

(1) მიმწოდებელი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან;

(2) თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს;

(3) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, აგრეთვე ნაწილობრივი ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საბანკო გარანტიის სრული ოდენობით გამოყენება;

(4) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის

წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

▼ ანგარიშსწორების პირობები

7.1.1 წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები



(1) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 40%-ის ანაზღაურება დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორების გზით. საავანსო ანგარიშსწორების გამოყენების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 30 დღის ვადაში წარუდგინოს შემსყიდველს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საავანსო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან. თეთრ სიაში რეგისტრირებული პრეტენდენტისთვის საბანკო გარანტიის ოდენობა ნახევრდება. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

(2) ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (წინასწარ გადახდილი თანხის ამოწურვამდე) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული სამუშაოს ღირებულების 60% შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

(3) წინასწარ გადახდილი თანხის გათავისუფლება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველ ეტაპზე მიღებული სამუშაოს 40%-ის ოდენობით, იმ პირობით, რომ თეთრ სიაში რეგისტრირებული მომხმარებლისთვის ჯერ გაიქვითება წინასწარ გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელზედაც არ არის წარმოდგენილი საბანკო გარანტია;

(4) წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვის შემდეგ ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული სამუშაოს ღირებულებასა და მიმწოდებლისთვის გადახდილ თანხებს შორის სხვაობას;

(5) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისი ღირებულების შესყიდვის ობიექტის მოწოდებას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს საავანსო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული შესაბამისი თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

(6) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების, კერძოდ წინასწარი ანგარიშსწორების საჭიროის ან/და არსაჭიროების შესახებ.

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

(1) ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

(2) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, როგორც ეტაპობრივი, ისე საბოლოო შესრულება, დასტურდება მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების გზით. ეტაპობრივი და შემაჯამებელი/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი სამუშაოს შესრულების დასადასტურებლად საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია - ფორმა N2 და სსიპ "ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნა;

(3) ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული სამუშაოს ღირებულებასა და მიმწოდებლისთვის წინასწარ გადახდილ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებს შორის სხვაობას;

(4) შემსყიდველი ანგარიშსწორებას განხორციელებს 2018 წლების საკუთარი შემოსავლების ფარგლებში მიღებული სახსრებით.

7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

▼ ხელშეკრულების პროექტი

8.1 ხელშეკრულების პროექტი



[ხელშეკრულების პროექტი.pdf](#)

▼ საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

საკონტაქტო პირი: 577197288, irevazishvili@psh.gov.ge

▼ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

(1) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ, (საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი);

(2) ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. დავის შემთხვევაში, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია;

(3) პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

(4) დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა ადგილზე გაეცნოს ვითარებას;

(5) ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციის ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან/და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა არ არის სავალდებულო;

(6) სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალება და პროცედურა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-8 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად;

(7) სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, სატენდერო წინადადების ფასი მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;


(8) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი უნდა დაანგარიშდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ში მოცემული ხარჯთაღრიცხვების ფორმების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით. სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეადგენდეს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების ჯამს.

(9) პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ, არ იქნება წარმოდგენილი ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) ან წარმოდგენილი იქნება განფასების გარეშე;

(10) პრეტენდენტს არ აქვს უფლება შეცვალოს ხარჯთაღრიცხვაში მოცემული გაუთვალისწინებელი სამუშაოების 5%- იანი საპროცენტო განაკვეთი.

▼ **სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი**

11.1 სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

 [ოქმი #1.pdf](#)

დანართი №2: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი

▼ შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება


1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და რაოდენობა მოცემულია დანართ N1-ში (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა) და დანართ N2-ში (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ტექნიკური დავალება), რომლებიც წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს. იხილეთ, ტექნიკური დავალება - დანართი N2.

 [დანართი N2 - ტექნიკური დავალება.pdf](#)

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა



 [დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა -საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.pdf](#)

1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.


შენიშვნა: პერიოდი, რომელიც ესაჭიროება მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნის/ინსპექტირების ანგარიშის წარმოსადგენად, ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადებში.

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ, მისივე ხარჯებით.
1.5.2 საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: [Redacted]

▼ ტექნიკური მოთხოვნები

2.2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

 პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები: ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2014 წლიდან - ტენდერის გამოცხადების თარიღამდე - უნდა გააჩნდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამოცდილება, მინიმუმ 2 (ორი) დასრულებული პროექტი. აღნიშნულის დამადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა), ან/და ინფორმაცია სატენდერო განცხადების CNT, SPA, NAT და CMR ნომრების შესახებ, ან ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ პრეტენდენტის გამოცდილებას, (დანართი N3).

შენიშვნა: წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია, პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.



 [დანართი N3 - პრეტენდენტის გამოცდილება.pdf](#)

2.7.1 მოთხოვნა ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტების შესახებ

მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, გაწეულ მომსახურებაზე (სრულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე) წარმოდგენილ უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული ორგანოს საექსპერტო დადებითი დასკვნა/ინსპექტირების ანგარიში (დასკვნასთან/ინსპექტირების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის/ინსპექტირების ანგარიშის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) (შესრულებული პროექტის ყველა ნაწილის ხარისხის ექსპერტიზის, მათ შორის ხარჯთაღრიცხვის) გაწეული მომსახურების ხელშეკრულებით

მოთხოვნილ პირობებთან, მოქმედ სამშენებლო წესებთან და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები

▼ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1.3 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის გაუთვალისწინებლობის დასაბუთება

პრეტენდენტს სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში არ მოითხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ვინაიდან, აღნიშნულ ტენდერში შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს პრეტენდენტისგან ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვას, რომლის შესრულებაზეც მიმწოდებელს არ ესაჭიროება დამატებითი ხარჯის გაწევა (გარდა საკანცელარიო და მგზავრობის ხარჯებისა, რაც უმნიშვნელოა).

▼ ანგარიშსწორების პირობები

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

7.2.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

7.2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

▼ ხელშეკრულების პროექტი

8.1 ხელშეკრულების პროექტი

 [ხელშეკრულების პროექტი.pdf](#)

▼ საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

▼ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1.1 ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

10.1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

10.1.3 იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთაღრიცხვა არ იქნება წარმოდგენილი, ან წარმოდგენილი იქნება განფასების გარეშე (თუნდაც ერთ-ერთი პოზიცია), ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნა არ გამოიყენება, შესაბამისად განხორციელდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია შესყიდვის პროცედურებიდან.

10.1.4 შესასრულებელი სამუშაოების შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით. ხარჯთაღრიცხვები შედგენილი უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებებით გათვალისწინებული სამშენებლო ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად (რესურსული მეთოდით).


10.1.5 მიმწოდებლის მიერ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნას „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის N62 დადგენილების შესაბამისად.


10.1.6 პერიოდი, რომელიც ესაჭიროება მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნის/ინსპექტირების ანგარიშის წარმოსადგენად, ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადებში.


10.1.7 მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის საპროექტო მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ (საჭიროების შემთხვევაში) მონაწილეობა მიიღოს საპროექტო გადაწყვეტილებათა დაზუსტებაში, მუშა ნახაზების და სამშენებლო მოცულობების შესაბამისი ცვლილებების მომზადება - შეთანხმებაში.


- 10.1.8 მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი (ტექსტური და გრაფიკული ინფორმაცია) შეათანხმოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოებთან.
- 10.1.9 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მიმდინარეობის მთელ პერიოდში უსასყიდლოდ გაწიოს საავტორო ზედამხედველობა და მონაწილეობა მიიღოს ფარული სამუშაოების, მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით გათვალისწინებული სხვა აქტების შედგენაში.
- 10.1.10 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.
- 10.1.11 სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალება და პროცედურა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 10.1.12 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 10.1.13 პრეტენდენტის მიერ სისტემაში სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტებია:

- | დანართი N1 (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა);
- | დანართი N2 (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ტექნიკური დავალება);
- | დანართი N3 (პრეტენდენტის გამოცდილება);
- | დანართი N4 (პრეტენდენტის რეკვიზიტები), იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებული არ აქვს ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ;
- | პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტის შესაბამისად.

 [დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა -საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.pdf](#)

 [დანართი N2 - ტექნიკური დავალება.pdf](#)

 [დანართი N3 - პრეტენდენტის გამოცდილება.pdf](#)


 [დანართი N4 - რეკვიზიტები.pdf](#)

▼ **სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი**

11.1 სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

 [ოქმი N1.pdf](#)

დანართი №3: კოთხვარი სახელმწიფო შესყიდვების სამშებლო სფეროში
ჩართული კომპანიები



2018 წელი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და მიწის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის თინათინ მემშარიაშვილის
სადისერტაციო ნაშრომის კვლევა მიზნის სექტორის წარმომადგენლების ინფრასტრუქტურული
პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის საკითხებზე.
კვლევის შედეგები გამოქვეყნდება განზოგადებული სახით, თითოეული რესპოდენტის მიერ
მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.*

1. კაპიტალის წარმომადგენლის მიხედვით თქვენი კომპანია შექმნილია:

სრულად ქართული კაპიტალით

სრულად უცხოური კაპიტალით

შერეული კაპიტალით

2. თქვენი კომპანია არის:

რეზიდენტი

არარეზიდენტი

3. თქვენი კომპანიის სამართლებრივი ფორმა:

ინდივიდუალური მეწარმე

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)

კომანდიტური საზოგადოება (კს)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)

კოოპერატივი

4. ბაზარზე ოპერირების რამდენწლიანი გამოცდილება აქვს თქვენ კომპანიას:

0 – 2 წელი 2 – 5 წელი 5 – 10 წელი 10 და მეტი წელი

5. თქვენი კომპანიის საშუალო წლიური ბრუნვა შეადგენს:

0 – 30 000 ლარი 30 000 – 500 000 ლარი

500 000 – 1 500 000 ლარი 1 500 000 ლარი და მეტი



2018 წელი

ევანგ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის თინათინ მემარიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის კვლევა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის საკითხებზე. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება განზოგადებული სახით, თითოეული რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

6. თქვენ კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს:

1 კაცს 2 – 20 კაცს
20 – 100 კაცს 100 და მეტი

7. თქვენი კომპანიის ადმინისტრაციის თანამშრომლების საშუალო ხელფასი შეადგენს:

500 ლარი და ნაკლები 500 –1000 ლარს 1000 – 1500 ლარს
1500 – 2000 ლარს 2 000 ლარი და მეტი

8. თქვენი კომპანიის დამზარე პერსონალის საშუალო ხელფასი შეადგენს:

300 ლარი და ნაკლები 300 – 600 ლარს 600 – 900 ლარს
900 – 1200 ლარს 1 200 – 1 500 ლარს 1 500 ლარი და მეტი

9. თქვენი კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოს რა ნაწილს შეადგენს სახელმწიფო დაკვეთები:

0 - 10 % 10 – 20 % 20 – 30 % 30 – 40 % 40 – 50 %
50 - 60 % 60 – 70 % 70 – 80 % 80 – 90 % 90 – 100 %

10. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით მოთხოვნილი ინფორმაცია კომპანიების გამოცდილების თაობაზე შესასრულებელი სამუშაოებთან მიმართებაში:

ადეკვატურია არაადეკვატურია მეტ-ნაკლებად ადეკვატურია



2018 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის თინათინ მემმარიაშვილის სადისერტაციო მასშრომის კვლევა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის საკითხებზე. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება განყოფილებული სახით, თითოეული რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

11. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული მოთხოვნები შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ნაწილში:

ადეკვატურია არაადეკვატურია მეტ-ნაკლებად ადეკვატურია

12. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული მოთხოვნები შესასრულებელი სამუშაოს ვადებთან დაკავშირებით:

ადეკვატურია არაადეკვატურია მეტ-ნაკლებად ადეკვატურია

13. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული საგარანტიო პირობები:

ადეკვატურია არაადეკვატურია მეტ-ნაკლებად ადეკვატურია

14. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია შემსყიდველი ორგანიზაციების სატენდერო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებთან მიმართებაში:

ადეკვატურია არაადეკვატურია მეტ-ნაკლებად ადეკვატურია

15. დაგირღვევიათ თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გადადით მე-17 შეკითხვაზე):

დიახ არა

16. მე -15 შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში რა ტიპის დარღვევას ჰქონდა ადგილი და რით იყო გამოწვეული აღნიშნული დარღვევა:



2018 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტის თინათინ მემზარიაშვილის
სადისერტაციო ნაშრომის კვლევა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ინფრასტრუქტურული
პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის საკითხებზე.
კვლევის შედეგები გამოქვეყნდება განთავსებული სახით, თითოეული რესპოდენტის მიერ
მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

17. გპონიათ თუ არა დავა (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გადადით მე-19 შეკითხვაზე):

დიახ არა

18. მე-17 კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში: თქვენი აზრით რამდენად ადეკვატური იყო
დავების საბჭოს გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები თქვენ დავასთან/დავებთან მიმართებაში:

ადეკვატურია არაადეკვატურია ნაწილობრივ ადეკვატურია

19. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ნარეგებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით
დაწესებული ნორმები ელექტრონულ ტენდერებთან მიმართებაში:

ადეკვატურია არაადეკვატურია ნაწილობრივ ადეკვატურია

20. თქვენი აზრით რამდენად ადეკვატურია „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ნარეგებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით
დაწესებული ნორმები გამარტივებულ შესყიდვებთან მიმართებაში:

ადეკვატურია არაადეკვატურია ნაწილობრივ ადეკვატურია

